

ରଖାତ୍

11

2016



რეზო შეროზია

პოეზია ქართველური

პოეზია ქართველური
ნიჭისფერი მადლია,
ნათქვამს ციდა მტკაველურს კი
გულის გული აკლია.
აი, მოველ,
მთაში, ბარში,
ნიავს ვსტუმრობ,
დავქრი ზღვაში,
ოკეანეც გადავლახე...
ჯგიროვორდა!
გამარჯობა!
ხოჩალადელ!
ყველგან მე ვარ,
ყველა მელის,
ტალღებს ვაპობ ორჩხომელით,
ქართველი ვარ, თავსაც დავდებ.
ჯგიროვორდა!
გამარჯობა!
ხოჩალადელ!
ხმალს არ ვაგებ!

ლიტერატურული, სამეწნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი უურნალი

უურნალის გამოსკრინი

სამწევ-კავახეთის

სახელმწიფო

უნივერსიტეტი

არა30

11

2016

რედაქტორი - მერაბ ბერიძე

მოადგილე - მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე

სარედაქციო საბჭო: გიორგი ბუცხრიკიძე

ლია ზაზაშვილი
ვახტანგ ინაური
მალხაზ ლომსაძე
ვასილ მამულაშვილი
ლერი ნოზაძე
ირინა ჯიშვარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი
რეზო შეროზია, ზუგდიდი
ზაირა კელოშვილი, ათენი

უცხოეთთან თანამშრომლობის

ბიურო: ლალი ბერიძე
მაია ქუჩჩიშვილი

**მხატვარი: ნანა ყორანაშვილი
ლელა ფერაძე**

მდივანი - ზაირა გელაძე

მენეჯერი - ნონა საანიშვილი

**საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე
ლარისა გურგენიძე**

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016

ISSN 2346-836X

პოვიტი

კობა იაკობ-აბა არაბული

დაიბადა პირაქეთა ხევსურეთის თემში, სოფელ დათვისში 1945 წელს.

პროფესია: პოეტი, ესეისტი, კინოდრამატურგი, ეთნო-კულტურათა მკვლევარი.

დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ფილოლოგიისა და ხელოვნების ფაკულტეტის.

1972-92 წლებში მსახურობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მწერალთა სასცენარო შემოქმედებით გაერთიანებაში და სტუდიის პირველი შემოქმედებითი გაერთიანების უფროს რედაქტორად. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია მხატვრული და დოკუმენტური ფილმები.

90-იან წლებში დაარსა გაზეთი „წუთისოფელი“ – მშობლიური მინის მოვლისა და ტრადიციათა აღირძნების ხელშემწყობი გაზეთი. 2004-2008 წლებში დააბუქნა და დაბეჭდა უურნალი „მითი და ტრადიცია – იბერიის ცივლი ზაცალი“. მას ეკუთხნის საპატრიარქოს რადიო „ივრიის“ გადაცემათა ციკლის პროგრამა: „ეთნო-კულტურა და ტრადიციები, ერის საკრალური ცოდნა“.

კობა არაბული არის ეროვნულ ტრადიციათა დაცვის ცენტრის დამფუძნებელი, ხალხური რენტვის ოსტატთა კორდინატორი, არაგვის ხეობის თემთა დარბაზის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა შესწავლის კომისიის ნევრი, მნერალთა ეროვნული აკადემიის დამფუძნებელი და ვიცე პრეზიდენტი.

გამოცემული აქტების პოეზიის და ესეისტური კრებულები.

დასახელდად მზადდება მისი ახალი ლექსების წიგნი – „უცნობი მთვარის მოდელი“, და ესსები: „ჩანაწერები მთვარის ბერში“, აგრეთვე: ხევსურული ტალავრისა და აღჭურვილობის კატალოგი და თემის ეთნო-კულტურულ სივრცის გზამკვლევი.

არის ჩარგლის საპატიო სტუმარი, ვაჟა-ფშაველასი და დავით ალმაშენებლის პრემიების ლაურეატი.



ქვის როიალი

მან ბებერი ხელი დაადო როიალზე,
მერე ეს ხელი ამოძრავდა და მუსიკა აუღერდა, -
მისი ხელი გაცოცხლდა -
მუსიკა დაემორჩილა ამ ხელს, როგორც ტალღა
მთვარის მოქცევას,
როგორც უდაბნოს ქვიშა ქარიშხლის მოძრაობას...
ვინ იყო ეს?!...
ვინ იჯდა ქვის როიალთან???

„სტუმრები“ ზურგიდან ხელავდნენ
მის მოხრილ ხერხემალს
და გახვრეტილ ბეჭს!...
და თქვა ერთმა:
„ეს გაზუას კვირისთავის ხმა არისო,
მისი იოგები და ხერხემალი ჟღერენო...“

.....

ზურგიდან ჩანდა,
ჩვენ როიალი გვეგონა -
ის თურმე აკლდამის ქვებზე უკრავდა (!?)
და მუსიკაც იქიდან მოისმოდა...
გრძელი, გაბზარული კვირისთავიდან...

.....

„ქვის როიალი“... „ქვის როიალი“!!! - თქვა მგზავრმა
და ქვის ქალაქს ზევიდან გადახედა! -
მუცოს ლურჯი აკლდამის ქვებზე -
თორლვა ძაგანი უკრავდა: იატაგნით...
თითქოს ფარს დააგორებდა და აუღერებდა...
„ფარს კი არა, ეგ კაცი მთვარეს აუღერებსო!“
წამოიძახა უცებ ერთმა მგზავრთაგანმა...
„არა, არა! ეს თავის ქალების ხმაა...“ - თქვა მეორემ -
ეგენი გამოსცემენო „სფეროთა მუსიკას“ -
თითქოს, რომელილაცა პლანეტა გუგუნებდეს!“...
ეს დანგრეული აკლდამები
რომელილაც უცნობი სიცოცხლის სამყაროდან რეკავენ...

.....
მართლაც!

მართლაც! -

ეს იყო თორლვას ბეჭიდან ამოსული წითელი მთვარე -
თავის ქალის იმაგინალური ტიხრებით,
რომელიც ჟღერდა ...

და ჭიუხებიც როკავდნენ ამ ხმაზე...

იგი თითქოს ამოფრენილ იყო აკლდამათა ბუდიდან,
როგორც მამალი ნოეს კიდობნიდან - წარლვნის მერე ...
და ფრიალოებიდან ანატორის წყლებში

ჟრიალით ვარდებოდა!!

მერე, თითქოს, ვარსკვლავთა ჩაშლის ხმა სივრცეში გაიფანტა
და ყველაფერი ჩაცხრა...
.....

უცხო მგზავრი „ქვის როიალთან“ ხერხემალმოლუნული იდგა:
და ზურგიდან უნათებდა ანატორის თეთრი მთვარე...

„ქვის კიდობნები“ სდუმდნენ ჩამცხრალ სიჩუმეში...
არავინ იცოდა და ვერც ვერავინ იტყვის:

რა იქნება ამის მერე,
ამ სიჩუმეზე უფრო მძაფრი და დიადი?!
.....

„მოგვეჩვენა, “- თქვა მგზავრთაგანმა - უცნობმა,
აქ არავინ არის, ეს ხილვა იყო!

აქ ყოველთვის ასე ხდება:

უცხო მგზავრები ხედავენ და ისმენენ რაღაც ხმას
და რაღაც მუსიკას,

რომელიც ჩნდება და ქრება...

ქრება და ჩნდება...

იშვება და ინთემება იდუმალი კოსმოსის წიაღში...”

გირება

დაარქვი და დაუძახე -

თუნდაც საპა,

თუნდაც - აბა,

თუნდაც - აკია ...

გაზარდე და დააწვინე -

თვალჭრელ დიაცთან ...

„ნუ ლალე - ლალე ...

ნუ, ნუ-ლალე!“ - ქერა დალალაც,

შემომაფრქვიე შადრევანი შენი სხეულის ...

მაკოცნინე ქალდინინო

ძუძუს კერტები ...

გაჯირითებ -

ვეფხვზე მალი ცხენით გაგიტაც ...

მთაზე აგიყვან ...

ჩამოგიყვან - ისევ აგიყვან ...

არ დაგაძინებ,

მთვარის შუქზე სინისფერ სხეულს

რვალის სიმტკიცეს ვაგრძნობინებ

„ვეფხვი“ კისკასი!

დაგარქვან თუნდაც სეფე ლელე,

თუნდაც - თამთინი ...

თუნდაც - ხოშექი -

სამძივარა დევთან მწოლარი ...

ყელს აწყვეტილი

ჩაგეშლება სხივთა ოლარი

და მთვრალი ვხების კარს გაგიხსნის

სულ სხვა ნინველი...

„ნუ, ლალე - ლალე ...

ნუ ლალე ...

ნუ, ნუ ლალე!!“ ...

ნუ დაიდენ ცრემლის ლულუებს -

„ქალწულის ლელვი“ - ნატყვევნარი-

არ ხამს საწუხრად, -

თუ ყმა ქალდელი დაგიკოცნის

ზღურბლზე ნაქუსლარს ...

შეტაქულება

სირსვლიანი დღე იყო,
ცხენს ჭედდა ხონდათ ბათირი...
„არ მაჲკლათ, ხალხო, არ მაჲკლათ!“ -
მოლი ტიროდა ნათიბი...
„არ მოჲკლათ, ხალხო, არ მოჲკლათ,
არ იყო სხვებზე ნაკლები,
კაცი თემს გამეტებული!..
ყანა დარჩება ნამკელი...“
სირსვილიანი დღე იდგა,
ცხენს ჭედდა ხონდათ ბათირი
გაგთელავთ ცხენის რემებით -
მტრის ბედისწერით გათვლილი...
ცაზე მზე იყო ნამგლევი,
სვე იყო სისხლით ნათრთვილი...
თემს ჭამდა შურის ჩირჩილი -
მწარე ლუდ-ადულებული -
ლალატნარევი სიცილი -
გულს ბოლმა დაგუბებული...
არ მოჲკლათ ხონდათ ბათირი -
კაცია თემის პატრონი!!!-
დარალეების ქათიბი
იყო ცრემლებით ნათოვლი...
დარჩება ტყვიის დამთვლელი
ცხენის რემებით ნატორი ...
არ მოჲკლათ ხონდათ ბათირი
კაცობა წაუხდენელი...
ილბალი გაგვიმრუდდება
გზაში მტერ დაუხდვენელი!
სისხამზე გაგვიცხადდება -
სიზმარი აუხდენელი...
ჩამოვარდება ცის კარი -
მზე მთათშუ გადუხდენელი!...
.....
სირცხვილიანი დღე იყო,
ლალატიანი სოფელი...
გაღმა-გამოლმა ხვივოდნენ -
წყურვილს იკლავდნენ თოფები!...

მზე-მანათობელი მზისა

აქ სასახლეა კოლხი მინოსის,
დრო მედეოსის
და ნეფერტიტის,
ათენგენუსის და ასპარუხის -
ქვაზე- ანბანი უფლის ნაკურთხი ...
აი, მტრებისთვის ჩემი პასუხი -
ეს არის სიტყვა ცეცხლში ნახუხი ...
ჩამოტეხილი საყდარი მითის
და სარკოფაგში - მზე სერაფიტის !..

.....

არმაზთან სისხლით მოგხატავ კედელს
და ჩემ სამ სიტყვას დავაწერ ჰაერს:
„ანსა და ჰოეს“- ცის კარის გამხსნელს-
და „ჰაო - ხოსის“ წარმოთქმულ „ჰაეს“!
არამეულს და ქალდეურ სტრიქონს, -
რომელიც ქვიდან ანათებს თითქოს
და, მერე, მზეზე გამოსვლას ითხოვს...

.....

როგორც წარწერა ქვაზე ნატვიფრი,
მზისებ კაშკამა მთვარე ნატიფი:
„მე ვარ სერაფიტი,
მე ვარ სერაფიტი“

ასული ზევახისი...

მეუღლე იოდმანგანისი აგრიპას ძისი!
ნათესავი - ფარსმანისი და ქსეფარუნგისი!
ის ვინც იყო ყველაზე ლამაზი და კეთილშობილი სისხლის,
და არავინ იყო ცოცხალთა შორის ბადალი მისი!—
იშვა 21 წლის წინ ...
და ალესრულა 21 წლისა -
მზე-მანათობელი მზისა!
ვაება ვაებისა!!!
ვაება ვაებისა!..

ათენების ღამ

ეს ხეობა ეკლესიაა ლურჯი გუმბათით,
გუმბათზე ხმელი თითბრის მთავრე
უკრავს დაფდაფებს...
ხევაის კარზე ჩამოივლის ხირჩლათ სუმბათი,
ჩემს ნასოფლართან ათენგენის ღამეს გაათევს...

არ გაგიკვირდეს, აქ არავინ შეგხვდებათ კიდევ,
ღამის კინდოლი ჩამოკანრავს მთვარეს დეზებით...
ჩამოჰკიდებენ კარატიდან შუქთა საკიდლებს,
ღამეულ ტაძარს უგალობენ თეთრი ქედნები...

მთებზე ჩაშლილი, მოფრიალე, შუქთა ლაპრები,
წამ-წამ წყვეტილად ანათებენ ბინდ-ბუნდ ხეობას....
ეს ხეობები ტაძრებია და ამ ტაძრებში -
ყვავნი იხდიან XII ჟამის დღეობას...

ჩემს ნასახლართან ორი დევი ღამეს გაათევს,
ბერი ქადაგი რიტუალებს ალარ ატარებს...
ხონდათ ვეფხვია დიდ მუხასთან საფლავს გაამტვრევს
და შვიდნი იგი მეფის მცველნი ღამეს ფატრავენ!!!

ეჱ, ესეც ესრეთ სათქმელია, თორემ ვინ იცის-
ვინ ვის მოაქცევს, ვინ დაიდებს დროთა საფარველს...
უცნობი მგლების ნაკალევი დარჩება თოვლზე....
და მიწის გარეთ გაიტანენ კაცთა საფლავებს?!.

გარდასახვა

არ იყო ცხენი -
დარჩა ჯორი და „კერძო ვირი“...
დრო იყო მრუდე (მწირი)-
წესიერი კაცის გამლლეტი ...
„ყოფნა-არყოფნა?!“ —
ამას იტყვის ისევ ჰამლეტი...

შიშველი ფეხი - ჩინურ კეტით
და „ბარომეტრი“...

არ იყო ცხენი,
იყო რაღაც ცხენის მაგვარი...
არკატაბანი, არდაბაგი ნიფხვის საშრობი,
ეს „კერძო-ვირი“ - ვირის შვილი
ცხენის ნაშობი -
„ჯორი ქალწული“...
ვირზე მჯდარი „ნყლის საქანელი...“
ნყვილი კლონები...
კენტავრები... კენტი ფალოსი!
ჰიბრიდული ეს „დედალოსი“ -
ბოზი დიაცი - ურძნის ცოცხით გამოსარეცხი?!

არც მშვილდი იყო მშვილდოსნისთის,
არც არბალეტი...
„ყოფნა-არყოფნა?!“ —
ისევ იტყვის ბერი ჰამლეტი...

მეტამორფოზა

„ჰუმანიტარული მკვდრები“
შემომეფეთნენ ქუჩის ბოლოში...
ქუჩის თავში პრომეთე იდგა...

ქალაქიდან გაძევებული -
ჩვენი მეფე- დავით IV -
ცხენზე თითქოს უკულმა იჯდა?!
სავარსამიძის ჯორის თავი
კაფეს ეხატა...

ვაზის უბნის 85-ში,
ვეფხისა და მოყმის ძეგლის უკან,
ფირმა იყო: „ზურა და გრანტი“(?!)
მეგრანტეები ქაბაბს ჭამდნენ
ზორაბაბელთან...

„ეს სვანები და ხევსურები
უძველესი ცივილიზაციის ანაფლეთნი“ —
რა ცოდვებია...
ვინ მოიყვანა ამ ბუნგალოში?! -
როგორ როკავს ქუდიანი მახვშის ჯილაგი -
ტიტორეტო-ბოზანდა რუსთან...

ხედვა

შენ ჩასახული არ იყავი დედის მუცელში -
როცა მე კოშკებს ვაშენებდი
და ქვებს ვაწყობდი!
მე შენ გიცნობდი
და ჩემ თვალწინ იდგა უცვლელი:
გარდასულიდან შემოსული -
დრო აქ ნამყოფი...

შენ ჯერ შობილი არ იყავი,
მზეზე მოსული: -
მხედავდი,
ჩემი გულის ფეთქვას ისმენდი მაინც...
და მომავალში დანახული
დრო არ მოსული -
ორსულის სუნთქვას იხსენებდა
ჟამი ორსული...

შენ ჩასახული არ იყავი
ქალის მუცელში -
როცა მე ბეჭმი
მისტერიის ღამეს ვლანდავდი ...
ქადას მიჭრიდა
სასთუმალთან მჯდარი ქადაგი:
ეს ქალდეველი მისტიკოსი -
ჩემი მისანი...

უპროპორციოდ ჩანდა დროში ჩემი ნახატი,
ზიკურატები გადახსნილი
მრუდე კოსმოსში...
ჩარჩენილიყო ცრემლიანი ჩემი ნათიბი -
მზე, მოაჯირზე ჩაფენილი
ქალის ქათიბში...

.....
უდერდა პლანეტა, როგორც დედო ზარი სამების -
მაჟრიალებდა ხმა ვარსკვლავთა ყელსაბამების...

თეთრი ღრუბლების მისტერია

თეთრი ღრუბელი დგება ჩემს კოშკთან,
თეთრი ბატყანი შემოდის სახლში...
ჩემი ცოლი კითხულობს გვრინებს
და კიდევ ლოცვებს ძილად მისვლისას...
ჩუმი ხმა მესმის ჩემი სისხლისა.

თეთრი ღრუბელი დგება ჩემს კოშკთან,
ქალი გამოდის ჩემი კოშკიდან:
სახარებით და მუცელში ბავშვით,
ერთი ყვავილით და ორი ვაშლით...

ორი სტუმარი მოდის როშკიდან -
ჩემი დედულთა ძველი სოფლიდან...
მერე სოფლიდან ისმის თოვსი ხმა:

თეთრი ღრუბელი ჩერდება - სახლთან,
ვაჟი გამოდის თეთრი ღრუბლიდან!...
ვით ვერცხლის ბურთი ... რძის შადრევნიდან -
ამოდის მთვარე ქალის უბიდან...
.....


ჩემი ცოლი კითხულობს ლოცვებს,
თენების ჟამზე - ვარსკვლავთ ჩაშლისას...
ერთი სტუმარი მოდის ქართლიდან,

და ერთი მაცნე - სულ სხვა უამიდან ...
სამი მხედარი დგება მუცოდან,
და ხირიშს ისვრის ერთი სამიდან!!?

.....

ჩვილის აკვანი მიდგას კარებთან,
მამა კითხულობს ხმალზე წარწერას...
ვინ გაითენებს ხვალე ხარებას -
ვაჟი რომელიც ქალთან დაწვება!...

ქალი რომელსაც - თუთი ერქმევა -
თუთი დაწვება ღამე მთავრესთნ...
სისხლი დაცხრება ღამის თექებთან
და დრო გარდავა პირის ფარეშთა...



მხატვარი - ლელა ფერაძე

თუკი ნისლები არ დაგაყრიან
თეთრ ჭირხლს უსისხლო ღამის პერანგზე ...
ის მეღამენი ისევ აგყრიან
ქალი გიმლერებს ჰიმნებს პელაზგურს ...

გვრინებს მოგიმლერს ძველი ადათით-
დრო ჩარჩენილი სკივრში ხვალისთვის...
კედელზე რჩება ძველი საათი
რიცხვებ წამლილი აპოკალიფსით...

თეთრი ყვავი

მიირთვით თეთრი ყავა -
დრო დაანერეთ ქვაზე -
რომ წაუშლელი დარჩეს -
ჩემი ღიმილი სხვაზე...

დრო დაახატეთ ქვებზე
და მთვარის ჩრდილი მზეზე,
რომ მდინარეებს დარჩეს
შენი ტირილი ჩემზე...

დაასხით შავი ყავა...
დრო დაანერეთ ქვაზე -
იტირებს თეთრი ყვავი -
ბოზი ქალაის ქმარზე...

მზის პალადეპი

მოკვდა ვეფხვია,
მოკვდა ძოძი,
მოკვდა ალდია -
ერთი მზე ჩაცხრა -
ერთი უამიც კიდევ გარდვიდა ...
გარდაიცვალა ხევისბერი
ძველი ქალდელი -
სოფელში დარჩა ორი კახბა,
ერთი ქალ- დევი...
ქალქვისთავ: ქვაში ჩანერილი
მზის ბალადები

იარცია

მე მომწონს შენი წერილი - ჩემზე
და შენი სიტყვა ლექსად ნათქვამი...
წყალში ნანახი მთვარე და თევზი
და ჩამოშლილი მითის საფქვავი ...

მე მომწონს შენი ღიმილი ჩემზე
და ჩემი სიტყვა - ღრუბლის ნაპრალი...
აფეთქებული ჭიუხის თხემზე
ჩემი უმზეო ღამის ლამპარი...

ვერ ჩაეტია ჩემს კიდობანში -
სინანული და ეს დრო დამპალი.

დევის ცოლები

მე თეთრი ლექსის კვერთხით
გავტეხე თორლვას კერპი...
ცხელი სტრიქონის ცეცხლით
პირქუშს დავუწვი ტერფი...
გადამეღუნა მთვარე -
ახალ გატეხილ ნეკნზე...
დაყრიან თოთხის მთაზე -
ნმიდა მწევრები ლეკვებს!?
დევის ცოლები შობენ
ძილში სისხლიან ლექსებს...
ქალი ასწავლის მშობელს -
ბოზი დიაცის წესებს!..
მე ცხენის წყალი ორჯელ
დალეული მაქვს პეშვით...
დავანთე ციხე გოჯზე -
ლექსი კოპალას კვესით!



მხატვარი - ნანა ყორანაშვილი

მოვლენა

ჩამოიარა დრომ და მდინარემ -
ორივე ერთად ჩაშრნენ ქვიშაში...
ახალშობილის ყიფლიბანდივით
სუსტი...
ძალიან სუსტი იშვა მზე...
მარცხნივ გადახრილ თოთხის მთის თხემზე
ცა დააპნელა მთვარის სიშავემ!..
გზაზე გამოჩნდა ორი თხის მწყემსი-
ორი მეძავი ეჯდა თხის რქაზე...
დევის ცოლები შობდნენ სისხამზე,
სისხლიან დამის პერანგს იცვლიდნენ...
ეს ბედისწერა იყო მწუხარე-
ქალის ტირილი დევის სიცილზე?!

მთვარის პრაგიტი

ისე გავიდა წელი სამოცი
ვერ ჩამოვკიდე სულზე სხეული...
მომყვება ჩემი ძველი სამოსი -
ლეგა ნისლივით ჩამოხეული...

ქვაზე ნაწერი შენი სახელი -
ამოუცნობი პეტროგლიფივით...
შემიდედდება თვალში ნაღველი,
როგორც უდაბნოს ტბაში რიფები...

სახეზე მიდევს ხელი ბებერი -
ხმელი ნიღაბი მუხის ფოთლების,
ერთი ნაფლეთი ძველი ვნებების,
სიტყვა ნახარში მთვარის ქოთნებში...

და შემოდგომის ფერთა პალიტრით -
გასისხლულია ჩემი ფრანგული...
66-მთავრის კრამიტი
ჩემს ზიკურატზე ჩანს დაუანგული.

სიზმარ-ცხადი

ჩამოვუარე სოფელს კარდაკარ -
სოფლის VII- სახლი დამაკლდა...
VI-სახლთან მჭედელი იდგა -
სახლზე კრამიტის სახურავს ყრიდა ...
V-სახლის პატრონი ყიდდა
IV-სახლის პატრონის მიწას...
კიბეზე ჭრელი მცურავი იწვა...
იწვოდა მიწა...
და ყვითელ ნისლში
III-სახლის ღვიოდა სისხლი!...
II-სახლის კედელი ჩანდა
აჩრილი ცაში...
და როგორც სტვირი -
უშტოვენდა ქარი...
უსმენდა მთვარე -
I-სახლის პატრონის ტირილს!...

განვება

ეს არ იქნება პეტროგლიფი ძალიან ძველი
და ეს იქნება ჩემი სიტყვა
ნამგლით ნამკელი...
ჩამოდგებინ ათენგენის სამშაბათები -
და როშკის კერპი გაიღვიძებს ღამე ნათევი!..
აუცილებლად მოვა სეტყვა კოპალას ქვებთან,
ქვის როიალზე დაუკრავენ ამანათები...

მე დამწყევლიან პალატები ჩემი ნაშენი,
ქანდაკებები...
და მონები გაღვიძებული...
ვერ ამოხსნიან ჩემს ქარაგმებს ზანგი ბუშები,
მუტრიბები
და მუტრუკები ვირის ნაშობნი!!!

ხილვა მეორე

ცოტა მოწვიმა--
მოაფრქვია ცის ცვარი მიწას...
ხვატი იყო და
ბალახებსაც უჭირდათ სუნთქვა...
არც კი მეძინა:
გველისფერი მდინარე იწვა,
ახლოს მივედი
რომ სიზმარში სიზმარი მეთქვა...

აგვისტოს წყალი იძინებდა ფშავის ჭალებზე,
უცხო ფეხის ხმას ყურს უგდებდა ვაჟას სოფელი:
აქ მე მოვედი უცნობ დროთა ამბის მთხრობელი!
მაგრამ არასდროს დაბრუნდება გველის-მჭამელი...

რა უცნაური ლამე დგება...
მთვარის კაშკაში -
კიდობნის გველი იბურთავებს „ცროლის ვარსკვლავით“...
ნოეს წყლებიდან შემოდიან დრონი მზაკვარნი
და იბერიას აძინებენ „ოქროს აკვანში“...

დაფარულია ძველი ნისლი
ახალი ნისლით -
შემოსილია დრო უცნობი აპოკალიფსით
და ორიათას სამოცი წლის -
ალდგომის სისხლით....

ლექსის სამოსელი

მეცვა ლექსი -
უკულმა გამობრუნებული სამოსელივით...
როგორც ძველი ტალავარი პაპის ნაცვამი!
როგორც თავლაში -
ისე ვცხოვრობდი ლექსში ცხენივით--
ფეხზე ნადგომი ვწერდი ქვებზე ცხენის ლურსმნებით...

სხივებს მიყრიდა
ჩემი სოფლის მზე გალურსული...
თოვლზე ჩიტების ნავალს ჰეგავდა ჩემი ნაწერი...
პიკტოგრამების სამი ქვა მედგა -
ორი სიბრძნის და ერთი ფალოსის...
მე ჩემი ლექსის სტრიქონი მეცვა
როგორც სამოსი,
იახსრის ქვებთან მომბლაოდა
ცხვარი სამოცი...

.....

გავიზარდე ლექსის სახლში
როგორც ბოსელში...
ფეხზე ნადგომი ვწერდი ქვაზე პირველ სტრიქონებს...
ტახტზე მეკიდა ორი ფარი, ერთი ფანდური,
სამი ხე მედგა: ორი მუხა და უთხოვარი...
ორი დრო მედგა:
არ მოსული და უხსოვარი...

სევდის ნიღბები

რაღაცა უკვირთ ჩემს ნაწერებს,
რაღაც უხარის...
ჩუმად მივედი
და „რაღაცა“ ყურში ვუთხარი...
გაელიმათ:
მწუხარების ღიმილი დარჩათ...
მღიმარენი იდგნენ მთელი დღე
სიპის სახლებთან -
ჟანგიანი ლრუბლის წვიმებში...

რაღაც უკვირთ ჩემს ნაწერებს,
რაღაც უხარის...
ყურში ვუთხარი -
ჩემი კარგად ყოფნის მიზეზი...
გალიმებული დარჩნენ დიდხანს ლექსის პირშებზე -
ვერ მოიხსნეს სევდის ნიღბები -
ჩემი უმწეო სიხარულით შეცბუნებული...


დანახვა

გულანშაროს ჰეგავდა ქალაქი,
დარჩენილი უჭამნაგიროდ?!

ფატმან ხათუნი საროსკიპოს აივნიდან იხედებოდა...
„რასაცა გასცემ შენია“ - ო, ესრეთ იტყოდა...

.....

მე მარტოდ-მარტო არსაიდან ვიყავ მოსული (!)...
იახსრის ცეცხლი ჩამოქონდა მთავრის ურმებით:
ლეგენდებს ვკრეფდი ქვემო-ურელს „ზემო ურელი“!!
დრო მეჭირა აპეურებით...
„ეს სვანები და ხევსურები -
უძველესი ცივილიზაციის ნაფლეთები —
იწოვენ დაღვრილ სისხლს -
საკუთარი მიწიდან (!?)
ჭედავენ ცხენებს: და იცმევენ სულ სხვა სამოსელს,
სიმართლის თქმას და სადმე წასვლას თუ აპირებენ!!?”-
მწერდა მახვშვი ხალდეს კოშკიდან...
ორიათას მეშვიდე წელს, ქრისტეს მოსვლიდან,
მესამოცე წელს ამ სოფელში ჩემი ყოფნიდან...



მხატვარი - ნანა ყორანაშვილი

- 21 -

„არამდე“, 2016, 11

ელ!

მდინარის მხარეს მე ვიქნები -
ნუ გეშინია:
შენ არ გაგიშვებ... თუნგით წყაროს მე მოგაწოდებ:
არ შეგეშინდეს
სიმარტოვის ხმას რომ მოისმენ -
ისევ მე მოვალ;
ის იქნება ჩემი ფეხის ხმა....

არც მე ვიდარდებ:
შემოვიხვევ შენი თმის ვარჯებს -
პირველი ლამის სიყვარულის ვნებას ჩავიფეხ...
რომ ამოენთოს კოცონები ქვებზე ხანდახან,
ხავსში გაჟონავს
ჩაფერფლილი ცეცხლის სინათლე...

სიახლე

შენ აღმოაჩენ უდაბნოში სულ სხვა უდაბნოს -
როდესაც ცხენით გაჩერდები დროის ბარხანზე...
ცაზე შეხედავ:
ვარსკვალვები ჩანს ნაბუდარი...
მიწას დახედავ:
დაგიცდება ფეხი საფლავზე...
ჩვენს აქ ყოფნაში ჩამოიღება უამი არყოფნის:
შრომანს მოჰყვება მარგალიტი შავი გვრიტების...
როცა მწიფდება შენს ბალებში ხილის ნაყოფი -
თანდათან ქრება ურიამული ნედლი კვირტების!...

გაფანტული ექმ

შენი ჭრელი ხარისთვალა ლექსები,
გაცხემლილი მეტაფორის ცხემლით...
მდინარეში გატოპილი ხევსური
იღლიაში ამოჩრილი ცხენით...

ჩვენი ქვეყნის მარჩენალი ხარი -
ლექსის ხნულში ჩამოლვრილი ცრემლით...
კრწანისს სისხლში ჩავარდნილი მთვარე-
ჩამოთლილი ძიბლაისძის ხმალით...

დაუკარით თუნდაც ძველი თარი,
თუნდაც საზი, თუნდაც გუდა-სტვირი...
დატიობას, როცა წყალნი ტირიან -
ამოილეთ წყლიდან ექვსი გვამი?!

მთიდან ბარში ჩამოსულთა ძვლებით-
გაძეძგილა „შავი სოფლის ველი“ ...
შავი ზეცა გაღუნული ჯვრებით
და ჭიხვინი დაფლეთილი ღრუბლის!..

.....
შეწირული იახსარის ხარის
რქებზე იდგა მარიობის მთვარე,
და სექტემბრის ნისილიანი ღამე -
ჟრიალებდა ოქა-ჯუხრას ფარით!

ზესის ხმა

გადაიარა ჩემს საფლავზე -
შენმა ფეხის ხმამ...
ორჯერ მესიზმრე:
ერთხელ, როცა შენთან ვიყავი,
და მეორეჯერ,
როცა მთვარის გზაზე წავედი-
შენ შემოხვედი
გადახსნილი ცისკრის კარედით...

„ვიცა“ და „არვიცა“

ერთმა ღრუბელმა იდარა -
ცვარი აკრიფა მიწისა:
„ვიცამაც“ ჩამოიარა -
„არვიცას“ კარზე იფიცა!
ბეჩავმაც ჩამოიარა -
ვიცაზე დარდობს ისიცა!..

მე ვერ ვიფიცე „ვიცაზე“
და ვერც „არ ვიცა“ ვიცანი...
ისევ იქ ჩამავიარე-
გუშინ რომ დავჰკარ ისარი?!

მე მერგო პაპის სახელი:
ქვაზე ნადები იღბალი -
სტრიქონი ქვების გამთლელი,
უცნობი ჟამის ნიღაბი...

2016 წლის ნოემბერი

ତରଗ୍ରାମ

ჯუმა ჯ'უმითელი

მარტოვის ოთახი

(ჩანახატები ორი პოეტის ცხოვრებიდან)

მკითხველისთვის

ხელოვანი ახალსა და ადამიანებისათვის საინტერესოს ქმნის. მწერალი, მხატვარი, მოქანდაკე, მუსიკოსი თავის ცოდნას ნარმო-სახვის ქვაბში მოხარშავს, შეკაზმავს ხელმისაწვდომი სანელებლე-ბით და თავისი ნიჭის შესაფერის ფორმას მოუძებნის. სხვაგვარად ხელოვნების ნიმუში ვერ ჩამოიძერწება. ამაზე კამათი საქარისნისე-ვილედ თუ გამოდგება.

მაგრამ, გალაკტიონი, სტენდალი, მოცარტი... რომ ამოიზარდოს, მარტო ნანახ-გაგონილ-წაკითხული საკმარისი არ არის, - ის ამოვ-ლებულ-გაულენთილი უნდა იყოს რომელიმე ხალხის (უფრო შედე-გიანი იქნება - ერის) კულტურული წარსულით, ფსიქოლოგითა და ენობრივი მსაფლებელით. ცხადია, უფლის სიყვარულის გარეშეც ვერავინ ვერაფერს მიაღწევს.

უმნიშვნელო ისიც არ არის, თუ როგორ გეოგრაფიულ გარემოში გამოწარსულდა ხელოვანის მშობელი ერი. კოკალური ხელოვნების თაყვანის მცემელი, დაკვირვებული ადამიანი იკითხავდა მაინც: რატომ არა ჰყავს და არც ჰყოლია კარგი ტენორი რუსეთს, გერმანიას, ინგლისს, სკანდინავიის ქვეყნებს? ლემეშევ-პეტროვისნაირებს ხმა ყელისაქეთიდან ამოსდით და გამომაცივრებულია. მარიო ლანცას, დავით გამრეველის... ბეგერები ყელისიქედან ამოენავებოდათ, თითქოს გულსაც თან ატანენო. ჩვეულებრივი ადამიანების მეტყველებაც ასევე ორი სახისაა. ყელსაქეთ მოლაპარაკეებზე ვიტყვით: ცივი, გამყინავი ხმა აქვსო. საინტერესო იქნებოდა, შემოქმედების მიხედვით აღგვედგინა მიქელანჯელოს, ბახის, რუსთაველის... გულიდან ამოსული ხმის ტემბრები. თუმცა, ესეც არ არის საკმარისი, - მოუსვენარი გონება იმის გაგებასაც მოინდომებს, სხვადასხვა ერის ორი შემოქმედი შეიძლება თუ არა ერთმანეთს ჰგავდეს მეტყველების მახასიათებლებით, ანუ, რაც იგივეა, მათი შექმნილი ნაწარმოებებით.

ხელოვნების ერთსა და იმავე დარგში (და, არამარტო) გავლენები თუ დამთხვევები გასაკვირი სულაც არ არის, - მწერლობასა და პოეზიაში, მხატვრობასა და ქანდაკებაში, მუსიკაში. ბეთხოვენის სონატის მეორე ნაწილის მთავარი თემა თითქმის იგივეა, რაც „იავნანა“. მსგავსებას დავინახავთ კარმენის არიასა და ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტის მთავარ თემებს შორისაც. თუმცა, ასეთი თანხვედრები შემთხვევითა.

პიროვნულად ბარათაშვილი და შოპენი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. მათი თანადროული საქართველოსა და პოლონეთის პოლიტიკური მდგომარეობაც გაჭრილი ვამლივითა. მოულოდნელი არ უნდა იყოს, ამ ორი დიდი ხელოვანი-პოეტის შემოქმედებაც ერთი ფერისა და განწყობისა აღმოჩნდეს. მითუმეტეს, რომ ორივე, იძულებით, მშობლიურ სურნელს უცხოობაში დაატარებდა. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ნიკოლოზი ფრედერიკთან შედარებით მცირე დროით იყო დაშორებული სამშობლოს. მაგრამ სინამდვილეში მან მთელი სიცოცხლე რუსული ჩექების ტყვეობაში გალია...

მოუსმინეთ ფრედერიკის პოლონური ფერებით შეზავებულ ვალსებს და წაიკითხეთ ნიკოლოზის „საყურე“; შეიგრძენით შოპენის ბალადისა და ბარათაშვილის „სული ობოლის“ ტკივილიანი სილამაზე; დააკირდით პოლონური ხალხური სიმღერით ნასაზრდოები ნიქ-ტიურნის სევდიან მელოდიასა და ქართველური პოეზიის პარმონიით გაუღენთილ პოეტურ ამოძახილს, „მორბის არაგვი არაგვიანი...“

ეჭვი არაა, ბარათაშვილის პოეზიისა და წერილების წამიკითხველი, მოაზროვნე პიანისტი ზუსტად მიხვდება შოპენის ნაწარმოებების ხასიათს, სათქმელს.... ასევე, ფრედერიკის წერილები, ვალსები, პრელუდიები, პოლონეზები გაგვიმხელენ ნიკოლოზის პიროვნებისა და შემოქმედების მრავალ საიდუმლოს.

ბარათაშვილისა და შოპენის პოეზია შეიძლება შეუდარდეს ცადანვდილ, აკონტავებულ-შელამაზებულ ნაძვის სეს; ან ახალგაშლილი ყვავილის შემოვარდისფერებულ ლოყებზე ცრემლად ჩამოკიდებული ნამის წვეთს, რომელიც არასოდეს გაქრება, სანამ დედამიწას მზის სხივი ათბობს...

ადამიანი დილის ნამივითაა. სიკვდილის შიში-კი იმის ვერთმობისაა, ხვალინდელი ნამის სილამაზეს რომ არ დაანახვებს! მცხუნვარე მზემ შეიძლება ნამს ადრე მოუსწრაფოს სიცოცხლე. შოპენს, ბარათაშვილს, მოცარტს... ძალიან მცირე დრო არგუნა „არსთაგამრიგემ“. ამასთან, ეს დრო ხიფათიან-ტკივილიანი და მარტობით შე-

მოლობილ-შემოსაზღვრული იყო. თუმცა, ხელოვანი-შემოქმედი-სათვის მარტოობა აუცილებელი პირობაა, ადამიანებისათვის რაიმე ღირებული რომ შექმნას.

დიახ, „ძნელი არის მარტოობა სულისა...“ მაგრამ მის გარეშე არ გვეყოლებოდა ბარათაშვილი, შოპენი, მოცარტი... სრულიად მოულოდნელ-მიუღებელია ფორმანის „ამადეუსი“ - სხვა ნაწარმოებებს რომ თავი დავანებოთ, „რექვიემის“ შემქმნელი ნუთუ შეიძლება იმ სახისა ყოფილიყო, როგორც ეს ნარმოგვიდგინეს ფილმის რეჟისორ-მა და მსახიობმა?!

ვინმე, პანისტ-შემსრულებელი ან რეჟისორ-დამდგმელი, მსახიობი, თუ შეეცდება „მარტოობის ოთახი“ მოაშოროს შოპენს, „სულით ობლობა“ - ბარათაშვილს, სულის ტრაგედია - მოცარტს, ის გააქრობს ამ უფლის საყვარელ და დიდებულ პოეტებს! და ეს მოხდება მხოლოდ მისთვის, თორემ დედამიწაზე ადამიანებისათვის მუდამ იხ-მიანებს „რექვიემი“, „ბალადა“, „საყურე“...



მხატვარი - ნანა ყორანაშვილი

- 27 -

„არაია“, 2016, 11

„სად არის გოგონა ან მისი სახლი...“

ხეთა კუნძულოებიდან, ფოთლებს შორის მზის სხივები ვერცხლის ძაფებივით ეშვებოდნენ ქვებზე მოხტუნავე ტალღებში, - პატარა მდინარე მხიარულად მოკეკლუცობდა. სიმმგიდისფერი ჰაერის მოლივლივე მდუმარებას ტყის სიღრმიდან წამოსული ჩიტების ხმიანობა არღვევდა.

სახლიდან საკმაოდ შორს იყო. დაღლას არ გრძნობდა. დაკანკულ ფილტვებს სასიამოგნოდ ელამუნებოდა გამჭვირვალე ჰაერი. ნელა მიბიჯებდა გარინდებული ხეების ჩრდილში. მოავადებულ-შემომწუხებელ ფიქრებს წყლის დინება თითქოს სადღაც მიაქანებდა.

გაფაქიზებული მყუდროება გოგონას ლამაზმა ტემპრმა დაარღვია. მას მეორე შეუერთდა. მერე - მესამე. სიმღერა მდინარის იქეთიდან ისმოდა: „სად არის გოგონა, ან მისი სახლი...“

ფრედერიკი პირველად ისმენდა ამ სიმღერას. მელოდიას მთელი არსებით შეიგრძნობდა. სულს უფორიაქებდა სასურველი ჰარმონიის ნაკადი. თითოეულ ბერას უნებურად თითების მოძრაობით მიაცილებდა. თავადაც გულში, უხმოდ მღეროდა. პოეტური წარმოსახვა კი როიალის კლავიატურაზე მოსრიალე ვალსის რიტმს სთავაზობდა.

გოგონების ხმა ნისლივით იფანტებოდა. მერე სულაც ტყეს შეერია და ფრედერიკი ისევ ნალვლიანმა ფერებმა დაიმარტოხელეს. მაგრამ მალევე მიხვდა, - სათუთად შეფუთული მელოდია, ველური ყვავილების თაიგულს რომ ჰგავდა, მასში დაბუდებულიყო.

მდინარეს უკანვე გამოჰყავა. თან მიჰქონდა მოულოდნელ-მოსაფრთხილებელი საჩუქარი. დაჭინჭული ფილტვები სწრაფი ნაბიჯების უფლებას არ აძლევდა, თორებ ერთი სული ჰქონდა, თავის ერთადერთ მესაიდუმლე როიალს მოჰყერებოდა.

ჭიშკარი გაიარა და გეზი სახლისკენ აიღო. დედა და მამა ხის ჩრდილებები ისხდნენ. სუნთქვაშემოჭირვებულმა ფრედერიკმა მათ ხელი დაუქნია, შუბლზე მიწებებული თმა გაისწორა და უხმოდ ავიდა თავის ოთახში. იქიდან მალე გამონიავდნენ სევდაგარეული, სიყვარულისფერი ბერები, - „სად არის გოგონა, ან მისი სახლი...?“ ეზოში სიმღერის ვარიაციები იფანტებოდა. რაღაც ახალი, მაგრამ პოლონური სურნელით შეზავებული ჰარმონია ეფინებოდა იქაურობას.

– ჩვენი ბიჭი, მგონი შეყვარებულია! – მიკოლამ ღიმილით გადახედა მეუღლეს, – იმპროვიზაციებიც კარგად გამოსდის! – დაამატა კმაყოფილმა.

– ელსნერს ხომ არ ელაპარაკე? რას ფიქრობს? – დედა ჩურჩულით შეეკითხა მეუღლეს.

– ამბობს, მე აღარ ვჭირდებიო, – მიკოლა შეფიქრიანებული იყო, ალბათ დროა, ჩვენი ბიჭი უფრო მაღალ მწვერვალს შეეჭიდოს.

– მისი ფილტვები მაგ „მწვერვალს“ გაუძლებს? – შემაჭირვებელი ფიქრი ვერ დამალა დედამ.

– უნდა გავუშვათ. ხომ გესმის, ჩვენი სიმღერა ერთ წუთში ნოქტიურნად გადააცია. თუმცა, ჯერ არ დაუმთავრებია, – მიკოლა ყურადღებით უსმენდა როიალის ხმიანობას, – გარდა ამისა, აქაურობა დენთის კასრს ჰგავს.

– მეშინია, უჩვენოდ..., – დედის ტკივილი ცრემლად ჩამოიწვეთა.

„სად არის გოგონა...“ სხვადასხვა ტონალობებები დასეირნობდა. ფრედერიკი დროს ვერ გრძნობდა, – ოთახში უკვე შემობნელდა, მაგრამ ის აგრძელებდა ვარიაციებს, ბგერებს თავის ნებაზე ალაგებდა, რომელსაც სარკმელში შემოსული მთვარის შუქი მოსასრამივით შემოჰყენოდა.

ფრედერიკის ვარშავული სალამოსაგან ნიკოლოზის თბილისური შემოლამება მხოლოდ სითბოთი მეტობდა. სხვამხრივ, ქუჩები აქაც რუსი ჯარისკაცებით იყო შემოჩექმებული. განსაკუთრებული უტიფრობით ოფიცირები გამოირჩეოდნენ, – თითქოს ისინი ლუვრის ბინადრები იყვნენ, თბილისელები კი – ტალახიანი ქალამნებით შემოხეტებული ველურები. ეს დამპყრობლებს ახასიათებს. თუმცა, ქართველებისათვის გაუგებარი დარჩა, ხიშტიზე ჩამოკიდებულ ძალას როგორ უნდა გადაეწონა დიდოსტატის მიერ სიკეთე-სიყვარულით შემოქარგულ ჩუქურთმაში ამღერებული უფლის დიდება?! ჯვარცმულის შეგონებაც ხომ ბუნებრივი იყო მოსახლეობისათვის, – ქრისტიმდეც სხვადასხვა ხალხის კეთილად მსტუმრებლებმა „ვეფხის-ტყაოსნით“ დიდებული ძეგლი დაუდგეს მეგობრობა-სიყვარულს. მაშ, საიდან მოვიდნენ ასეთი ბნელი, სულმიძინებული და მგლისფერი სიავით შემოსილი ქრისტიანები?! მათ ერთი ხელით სახრჩოებლას თოკი ეჭირათ, მეორე ხელით კი – პირველას იწერდნენ.

ნიკოლოზი სახლიდან გამოვიდა. ხიშტიანები გაატარა და ამტვერებულ გზას ქვევითკენ დაუყვა. მამის ბუზღუნს გამორიდებული და ნაღვლისფერი ფიქრებით გარშემორტყმული, ნელა მიდიოდა, –

յովლոბის დაფარვას ცდილობდა. თანაგრძნობით შემოხედვა აღიზიანებდა. ზოგჯერ ირონიულ მზერას იჭერდა, რაც თრგუნავდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა. ასეთ დროს არავის ნახვა არ უნდოდა.

ჭალისკენ ჩაუხვია. მტკვრის ნაპირას ერთი დიდი ლოდი ეგულებოდა. აქ არავინ იყო და ზედ წამოწვა. თვალს ადევნებდა მდინარის ტალღებს. თითქოს ისინი რაღაც ამბავს უყვებოდნენ და გზას მშვიდად აგრძელებდნენ.

ჩვეულებრივი ადამიანისთვის ტალღების რონინს არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. პოეტის თვალი და ყურისთვის კი – ისინი შეიძლება გონიერის სააზროვნო სივრცეში მიმნიშნებელ-შემხსენებლები იყვნენ.

– „მრავალ დროების მონამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!“ – ნიკოლოზი სივრცეს გაჰყურებდა, – არაფერს მიამბობ? რატომ?! გემინია, ჭრილობა კიდევ ერთხელ არ გამეხსნას? თუ შენ შენი გზა გაქვს და არ ნალვლობ ქართველთა ღლაბუცს მონობის ქვაბში?! – თითქოს ნაწყენმა კენჭი ესროლა ჩავლილ ტალღას, – მესმის, რომ ადამიანის გული გაუმაძღარ-თავკერძაა. იუდას მაგან ჩაადენინა ის საშინელი ცოდვა. ქართველობაში კი – ოცდაათი ვერცხლის თაყვანისმცემლები ბევრნი ყოფილან. თუ არა ისინი, ირაკლი ბოლო ომ-საც მოიგებდა. იმათ-კი შვილები და შვილიშვილები მონობისათვის განირეს. კენჭები ვეღარ მოიხელთა და ლოდზე წამოჯდა. ჭალებს ბინდი ეპარებოდა. ხეებსიქეთიდან მხარზე კომბალგადადებული მწყემსი გამოვიდა, – საქონელს დინჯად მოჰყვებოდა.

– მშვიდობა შენდა! – ნიკოლოზს მიესალმა და ლოდს მიეყრდნო.

– მშვიდობა ნუ მოგიშალოს! – ფიქრდამძიმებული პოეტი ქვიდან ჩამოხტა და გაბუტულივით გაჩერდა.

– მარტო აქ ყოფნისა არ გეშინია? რუსებმა შარი არ აგიტებონ! – მწყემსი სამოცს გადაცილებული იქნებოდა. ჭალარა შემორეოდა, მაგრამ მხნედ გამოიყურებოდა.

– ეგენი ასეთ ადგილებში არ დადიან. ქუჩებსა და ეზოებში დაძვრებიან მშიერი მგლებივით! – ნიკოლოზის ხმაში ბრაზი და ზიზლი ირეოდა.

– ჟო, ეგენი რომ შემოვიდნენ, შენხელა ბიჭი ვიყავი. – მოხუცი კომბალს დაეყრდნო. – ამბობდნენ, ისინიც ქრისტიანები არიან და არაფერს დაგვიშავებენო. შენს მტერს ეგეთი ქრისტიანები! ერთ-მორწმუნები კი არა ერთურწმუნოები გამოდგნენ!

— მაში, ომში არ ყოფილხარ? — ნიკოლოზმა უიმედოდ ჩაჰუიდათვი.

— არა. მაშინ ათისა ძლივს ვიყავი, — მოხუცმა ნაღვლიანად გახდა მდინარეს, — მამამ ადრე გაგვხიზნა მთაში. თვითონ მეფეს იცავდა.

— გყავს ნანახი, მეფე? — ნიკოლოზი გამომცდელად უყურებდა იმ საუკუნიდან გადმოსულ მწყემსს.

— მხოლოდ ერთხელ. ომის შემდეგ ერეკლე თიანეთიდან ქალაქს ბრუნდებოდა. მამა თან ახლდა. მისი ნახვა გვინდოდა. გზაზე გამოვდით და მაშინ შევხედე ცხენზე ამხედრებულ მეფეს. ბავშვებს კეთილად გაგვიღიმა და ხელი დაგვიქნია, — მოხუცი თითქოს ახლაც აცილებდა საყვარელ მეფეს.

— მამა ომის ამბებს არ გიყვებოდათ? — ნიკოლოზი ცდილობდა იმ გაუბედურებული საუკუნის დასასრული გამოეწვია.

— აბა, მოსაყოლი რა იყო! — მწყემსის ხმა სინანულისფერ ტონებს აევსო, — სათავადოებს მებრძოლების ნახევარიც რომ გამოეშვათ, ერეკლე ურჯულოებს კუდით ქვას ასროლინებდა. დასავლელთა მცირე რაზმი რას უშველიდა!

— მაგრამ იუდაც ჟამს ეძიებდა, არა?! — თავადის შვილმა დამნაშვედ იგრძნო თავი. საუბარი ღალატზე გადაიტანა. თუმცა, შინაგანი ხმა კარნახობდა, — სადროშოების საქციელი მოღალატეზე ნაკლები არ იყო.

— ხო, შვილო, ეგ რომ არა, ვინ იცის, ქალაქი იქნებ გადარჩენილიყო! — მოხუცმა სინანულით გახედა ჭალისიქეთში შემობინდებულ სახლების სახურავებს. მერე ნახირს ადევნებულ ძალლს დაუსტვინა და კომბალი მხარზე გადაიდო.

ნიკოლოზი სევდიანად გაპყურებდა დინჯად მიმავალ მწყემსს. ეჩვენებოდა, თითქოს იმ საუკუნეს მიაცილებდა გმირი ქართველების სისხლით გაჟღენთილ ჭალაში. მტკვარი-კუ მდუმარედ მიუყვებოდა თავის მდინარულ გზას. არას ამბობდა ცხოვრების ამაოებაზე, ადამის შვილთა გაუმაძლრობა-გაუტანლობასა და ღალატზე.

— „მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი, თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?“ — ნიავს გააყოლა ნიკოლოზმა სიმწრისფერი სიტყვები, — იმ გაუკულმართებული და ოცდაათ ვერცხლად გაყიდული დღის მერე ოცდათხუთმეტმა წელმა გაიარა მეორე საშინელ ღალატამდე. ნეტა, რა მიიღეს ფალავანდიშვილებმა იმდენი, რაც

მათ საშვილიშვილო წყევლას გადასწონის?! თავისუფლების ცეცხლი ისევ ჩააქრო მოძმეთა გამცემლის იუდასფერმა სულმა.

ნიკოლოზი ნელა აუყვა ქალაქისკენ მიმავალ ბილიკს. მწუხარე ფიქრების ნისლი ნაბიჯებს უმძიმებდა. ნატკენ ფეხზე თითქოს უიმედობის დოლაპი მიებათ – მისთვის აღარც სამხედრო სამსახურის, აღარც სწავლის გაგრძელების ოცნებას ჰქონდა აზრი. რას უმზადებდა იდუმალი და დაუნდობელი საწუთრო? როგორ უნდა შეპრძოლებოდა ბედს მარტოობის ოთაში გამოკეტილი ჭაბუკის სული? მწყემსის მონაყოლმა ზღაპარმა თითქოს წინაპრების მიერ ომებში გაცვეთილი ხმლისკენ უბრივა, ჭალაში უმსედროდ ჩარჩინილი ტაჭისკენ მიახედა. მაგრამ, როდის გაჩნდებოდნენ საქართველოში ზღაპრის გმირებისნაირი ძმები? როდის ააფრიალებდნენ თავისუფლების დროშას, რომელიც რუსული ხიშტების შიშით კუთხები მიეკუნჭ-მიემალათ ქართველებს!

აღმართი აიარა ნიკოლოზმა და უკან მიიხედა. ჭალის სიღრმეში მწყემსის მხოლოდ კომბალგადადებული მცირე ლანდილა მოჩანდა. ზღაპრით გაცხადებული იმედი თითქოს ღონიერ მხარზე გადაკიდებულ ხურჯინში საგულდაგულოდ მოეთავსებინა და ცივ ნიავს არ აკარებდა.

ორი ძმის ზღაპარი

ერთი დიდი სოფლის განაპირას ორი ძმა ცხოვრობდა. ტყუპები იყვნენ, მაგრამ ერთმანეთის არ ჰყავდნენ. ორივეს ძალიან დიდი ძალა ჰქონდა – გაქცეულ ბუღას რქებით იჭრდნენ; ოთხი კაცი რომ ვერ ასწევდა, ისეთ ლოდს ბუმბულივით აიტაცებდნენ. ძმები ყველას ეხმარებოდნენ. კეთილები იყვნენ და მათგან წყენა არავის ახსოვდა.

პატარაობისას თითო ძმას თითო დედალი ჰყავდა. ქათმები ყოველდღე თითო კვერცხს დებდნენ და ძმებიც მათ ცივ ნიავს არ აკარებდნენ.

სოფელს ჩრდილოეთით და სამხრეთით დიდი და ულრანი ტყე ესაზღვრებოდა. ჩრდილოეთის ტყეში ცხრათავიანი დევი ცხოვრობდა, ბოროტი და გაუმაძლარი. სამხრეთის ტყეში-კი ასეთივე, მაგრამ ელამი დევი დათარეშობდა. სოფელს ხან ერთი ესხმოდა თავს, ხან-მეორე. რამდენჯერმე ისეც მოხდა, ორივე ერთდროულად გაჩნდა.

დასცხეს ერთმანეთს და სოფელი სულ გააჩანაგეს, – ხალხი საკვების გარეშე დარჩა. მაშინ იყო ჯერ ერთი დედალი დაკლეს, მერე – მეორე. ბავშვები ძალიან დანალვლიანდნენ. რა უნდა ექნათ! თითოეულმა თავისი ქათმის ძვლები მოაგროვა და ორივემ ღობის ძირას, ორმოში ჩამარხა, – ახსოვდათ დედინაცვლისა და გერის ზღაპარი. იქნებ ჩვენი ქათმების ძვლებმაც სიკეთე მოგვიტანოსო და ის ადგილი მონიშნეს.

წლები გადიოდა. დევები სულ უფრო და უფრო სასტიკები ხდებოდნენ. სოფლელებს გარეთ გამოსვლისაც ეშინოდათ. არავინ იყო მათი მშველელი. მხოლოდ უფალს შესთხოვდნენ შეწყალებას.

ტყუპებმა ხალხის გასაჭირო გაისიგრძეგანეს და ჩაფიქრდნენ. გაახსენდათ ღობესთან ჩამარხული ძვლები და ბედის ცდა გადაწყვიტეს. შეღამებულზე მონიშნულ ადგილას მივიდნენ. მიიხედმოიხედეს და იქ ორი მტრედი შენიშნეს. ძმებმა უიმედოდ გადახედეს ერთმანეთს და უკან გაბრუნდნენ.

– რატომ მიდიხართ. ჩვენ აქ უნდა დაგვტოვოთ? – მიაძახეს მტრედებმა. გაოცებული ტყუპები შემობრუნდნენ, – „ნეტავ, ვინ დაგველაპარაკაო“. იქ მტრედების გარდა არავინ იყო. ერთმანეთს გადახედეს.

– წავიყვანეთ და ბედს ეწევით! – მტრედებმა ერთხმად დაიღულუნეს. მერე ლიმილით თითქოს თვალიც ჩაუკრეს დამუნჯებულ ბიჭებს.

– რა დაგვემართა. ჩვენ ხომ ეს სასწაული გვინდოდა! – გადაუჩურჩულა ერთმა ძმამ მეორეს.

– ჰო, მაგრამ მტრედებს არ ველოდი! – უპასუხმა მეორემ, – კარგი, რაც არის, არის. წავიყვანოთ სახლში და იქ წახავთ.

უკვე დაღამებულიყო. ძმებმა მტრედები აიყვანეს და სახლში შევიდნენ. კარი მიიხურეს თუ არა, ოთახი განათდა, – მტრედები უმშვენიერეს ქალიშვილებად გადაიქცნენ. ერთი ოქროსთმიანი იყო, მეორე – ვერცხლისთმიანი. ტყუპებს ოცნებაშიც კი ვერ წარმოედგინათ ასეთი სილამაზე. იდგნენ და პირდალებული შეჰყურებდნენ მანათობელ ფერიებს.

– აქ რა უნესრიგობა გქონიათ. უნდა დაგალაგოთ! – გოგონები დატრიალდნენ და ძმებმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, სახლი გაკრიალებულ-დასუფთავებული იყო. ტყუპები ხმაგაკმენდილები ისხდნენ. სიხარულისაგან დამუნჯებულები შესცექროდნენ, როგორ დანიავობდნენ მოულოდნელი სტუმრები. მალე სუფრაც გაიშალა.

– მოდით, ჩვენი საიდუმლო სერობა მაგიდასთან გავაგრძელოთ!
– ოქროსთმიანმა თავისი რჩეული მიიწვია, ვერცხლისთმიანი მეორე ძმას მიუჯდა გვერდით.

– ჩვენ დღისით ისევ მტრედებად გადავიქცევით. ლამით-კი კვლავ გამოგეცხადებით! – ოქროსთმიანი ლულუნა ხმით ლაპარაკობდა. – ასე იქნება მანამ, სანამ დევებს დაამარცხებთ!

– ჩვენ თქვენი საცოლეები ვართ, მაგრამ მხოლოდ გამარჯვების მერე ვიქორწინებთ! – ვერცხლისთმიანი თაფლისფერი სიტყვებით მიმართავდა გვერდით მჯდომს.

– თქვენ გჯერათ, რომ ჩვენ ორნი დავამარცხებთ იმ ურჩისულებს? – ერთად ამოიღეს ხმა ძმებმა.

– ასე რომ არ იყოს, აქ არ ვიქნებოდით! – ოქროსთმიანი იღიმებოდა.

– ორივენი თქვენს ბაბუასთან უნდა მიხვიდეთ, ხმლები და მშვილს-ისრები გამოაჭედინოთ და ღონიერი ცხენებიც გამოართვათ.

– ყველაფერი მზად რომ იქნება, ჩვენ საგზალს ჩაგილაგებთ ხურჯინებში. – დაამატა ვერცხლისფერთმიანმა.

ტყუპების ბაბუა სოფლის მეორე ბოლოში ცხოვრობდა. მჭედელი იყო. ცისკარზე, ხარიპარია ვარსკლავი გამოჩნდა თუ არა, ბიჭები ფეხზე იდგნენ. მტრედებად ქცეულ გოგონებს დაემშვიდობნენ და სამჭედლოსკენ გასწიეს.

– ბაბუა, ორი ხმალი და ორი მშვილდ-ისარი გვჭირდება, თითოს ორი კაცი რომ ასწევს, ისეთი. – ძმებმა სულმოუთქმელად მიაყარეს ცეცხლის გახურებით გართულ მჭედელს.

– ვიცი, ვიცი, რისთვისაც გინდათ, თქვე ეშმაკებო! – მომღიმარი ბაბუა გრდემლთან მიივიდა, ფოლადის დიდი ნაჭერი აიღო და საცეცხლურში შეაგდო, – მზე ორჯერ რომ იმ გორას მიეფარება, მოდით და ყველაფერს დაგახვედრებთ.

ტყუპები მოუთმენლად ელოდებოდნენ მზის მეორეჯერ ჩასვლას. ერთმანეთს ლოდის სროლაში ეჯიბრებოდნენ, მდინარეში ბანაობდნენ და საბრძოლოდ ემზადებოდნენ. მესამე სალამოს ბაბუას მიაკითხეს. მჭედელმა ორივეს თავ-თავისი ხმალი და მშვილდ-ისარი აჩვენა.

ბაბუას ბიჭებისათვის ისეთი ქეიბურები გაემზადებინა, რკინასაც რომ გახვრეტდა. სამჭედლოსთან ორი ფეხმაგარი რაში იდგა. ბიჭები მჭედელს დაემშვიდობნენ და ცხენებს მოახტნენ.

– გამარჯვებით გევლით, შვილებო! – დალოცა ბაბუამ.

სახლში დაბრუნებულ ტყუპებს ქალიშვილები ელოდნენ. ბიჭებმა გემრიელი ვახშამი მიირთვეს და დაიძინეს. გოგონები მთელი ლამე ამზადებდნენ საგზალს. ხურჯინებში ჩაალაგეს და ცისკარიც მოახლოვდა. ტყუპები წამოხტნენ, ხელ-პირი დაიბანეს, საჭურველი აისხეს და საცოლეებს დაემშვიდობნენ. ერთმა ჩრდილოეთისკენ გაქუსლა, მეორემ – სამხრეთისაკენ.

არავინ იცის, ან ჩრდილოეთით რა მოხდა, ან – სამხრეთით. ორი დღედალამე ესმოდათ სოფლელებს ჭექა-ქუხილის ხმა. განსაკუთრებით ლამით ჩანდა, როგორ ანათებდა ელვა მთებსიქეთში. მხოლოდ მესამე დღეს, ნამუადღეეს გამოჩდნენ დალლილ-გასისხლიანებული ტყუპები. ერთი ჩრდილოეთიდან მოაჭენებდა ცხენს, მეორე – სამხრეთიდან.

– დამთავრდა თქვენი ტანჯვა-წამება! – შესძახეს ტყუპებმა სოფლელებს და ცხენებიდან ჩამოხტნენ. – დევები აღარ არიან!

ხალხი ზეიმობდა. ძმებს ლოცავდნენ და სიხარულისგან ტიროდნენ.

– უნდა განვიბანოთ! – თქვეს ძმებმა. იარაღი დაალაგეს, სახლში შევიდნენ და, ყველას გასაკვირად, იქიდან მტრედები გამოიყვანეს. ტყუპები მდინარიდან რომ ამოვიდნენ, ნაპირზე ქალიშვილები და მოგიზგიზე კოცონი დახვდათ.

– აი, ჩვენი სადღეო სამოსელი! აღარ გვჭირდება! - გოგონებმა ბუმბული ცეცხლში ჩააგდეს, ბიჭებს ხელები ჩაჰკიდეს და სოფელში დაბრუნდნენ. ყველამ გაიხარა ტყუპების ბედნიერებითა და დიდი ქორწილი გადაუხადეს უშიშარ ძმებს. სუფრის თამადა, რაღა საკითხავია, ბაბუა-მჭედელი გახლდათ.

ნიკოლოზი აფორიაქებული იყო მოსმენილ-განცდილით. ბავშვობის მეგობრისკენ გასწია. ეზოს კარი უხმაუროდ შეაღო და კითხვაში გართულს გამოღიავებული სარკმლიდან შეეხმიანა. კაკლის ჩრდილში დასხდნენ. მეგობარს ასეთი აღელვებული არასოდეს ენახა და მიზეზი ჰკითხა.

– რა შეგემთხვა? ვინმე დაიჭირეს კიდევ? – ვერ ისვენებდა მას-პინძელი.

– არა. მტკვრის ნაპირას, ჭალაში გავისეირნე და იქ ერთ მოხუცს შევხვდი, – სტუმარი მოჰყვა მწყემსთან საუბრის ამბავს. ზღაპარიც არ გამორჩენია, – უბრალო ადამიანი ასე რომ ფიქრობს და მსჯელობს, ჩვენ, ვითომ ნასწავლებს, რა გვემართება? რატომ არ გვტკივა ისე, როგორც იმ მწყემსს სტკივა ქვეყნის ბედი?!

– იმ კაცმა საკუთარი თვალით ნახა ომის საშინელება, შური, ღალატი. მოკლე დროში ქვეყნის ორჯერ დაქცევას შეესწრო, – მას-პინძელი მშვიდად ლაპარაკობდა.

– ახლა კიდევ ხელმეორე ღალატი და უბედურება ნახა, მაგრამ მაინც მხნედ არის და გმირების გამოჩენას ელოდება! ჩვენ რაღა გვემართება, ყურები რომ ჩამოგვიყრია და დიდიან-პატარიანად მონის ულელი დაგვიდგამს! – მასპინძელს მეგობარი ასეთი ჯერ არ ენახა და გაოცებას ვერ მალავდა.

ნიკოლოზი თავის „ოთახში“ იყო ჩაკეტილი და იქ მეგობარსაც ვერ შეუშვებდა. ვერც იქიდან გამოიტანდა ტკივილისფერ ფიქრებს, შე-მოზღვავებულ განცდებს თუნდაც ჩინ-მედლებზე მოვაჭრე ნათესავ-ნაცნობთა საქციელის გამო. მარტოობის ოთახში უნდა დარჩენილიყო პირადი სატკივარიც. „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან-შვილნი სოფლისა...“ – გულში იმეორებდა სევდამოძალებული პოეტი.

ინტერვიუ

ირაკლი ვაშაყმაძეს 70 წელი შეუსრულდა. მის ახალგაზრდულ სახეს არ ეტყობა ასაკი. სისრულით და სილალით გამორჩეული მისი პოეზია გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის. წინ არის შემოქმედებითი წვითა და ცხოვრებას-თან ჭიდილით ჯერ კიდევ გასავლელი გზა. „არავი“ ულოცავს ირაკლის ამ შესანიშნავ თარიღს და გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.



კარგი ყმა და სავსე კაცი

- „იცი, საიდან მოვდივარ?
ორმოცდაექვსი წლიდან,
თურმე რომ დავბადებულვარ,
შოთი ხელმეხს ცლიდა.
ანგელოზების გალობა
ჩამოისმოდა ციდან,
გახარებული ბაბუა
ჭიქას ჭიქაზე ცლიდა.
დედიკოს მკლავზე ვტიროდი
ბიჭი სულ ერთი ციდა,
ხაჭაპურის ფევილს ბებია,
ვერცხლის მერდინში ცრიდა,
თურმე, ლამაზი ყოფილა
ივლისის ერთი დილა“.

- ბატონო ირაკლი, ივლისის ამ ლამაზი დილიდან, თქვენ რომ ასე შესანიშნავად აღნერთ ლექსში, შვიდი ათეული წელი გავიდა. მთელს თქვენს შემოქმედებას ათბობს გაუხუნარი მოგონებები ბავშვობაზე, სოფელზე. გთხოვთ, გაიხსენოთ ლექსებში ცოცხლად შემონახული თქვენი ცხოვრების აღრეული წლები, გურია...

ყველას ჰგონია, რომ ვარ გურული, არადა, მე ვარ ბალდათის რაიონის სოფელ როხიდან. ერთხელ აღმაზორ თავაძე (პოეტი კაცი, საქართველოს ყველა კუთხე ფეხით აქვს შემოვლილი), ჩემს სულიერ

მოძღვრს ეკითხება: ირაკლი ვაშაყმაძის ლექსები წავიკითხე, და-მაინტერესა. თქვენი სულიერი შვილი ყოფილა, ხომ არ გამაცნობ-თო. ჩემს მოძღვარს უთქამს: აი, სწორედ ახლა მოდისო. გავიცანით ერთმანეთი. პირველი ის მკითხა, სადაური გურული ხარო. ვუთხარი: გურული არა ვარ, იმერელი ვარ, ბალდათის რაიონის სოფელ როხ-იდან-მეთქი. შემოირტყა თავში ხელი ბატონმა არმაზურმა: ეგ რა მითხარი, ვიფიქრე, გურული იყავი და ამ დუნიაზე ორი ჭკვიანი გუ-რული ვიქნებოდითო.

რა გავიხსენო ჩვენი ბავშვობიდან, რით არის გამორჩეული? იყო მის შემდგომი პერიოდი, მძიმე, ძალიან დუხტირი. რაც სინათლე შემოვიდა ჩემს სულში, უკავშირდება უნივერსიტეტს - ივანე ჯავახ-იშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ჩვიდ-მეტი წლის ბიჭი მივედი უნივერსიტეტში. ჩემს დროს იყო სტაუი-ნობა, ამიტომ ჩემზე ათი, თხუთმეტი წლით უფროსები დამხვდნენ პირველ კურსზე. იქ გავიცანი ქართული მწერლობის უდიდესი წარ-მომადგენლები, მაშინ უკვე ახალგაზრდა მწერლები: გურამ პე-ტრიაშვილი, ცხონებული თედო ბექიშვილი, გიორგი ბაქანიძე, შოთა ჩანტლაძე, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია. აი, მათ გვერდით აღმოვჩნდი პატარა ბიჭი. მახსენდება ერთი ამბავი: პირველ კურსზე ვარ. ქალბატონ ქსენია სიხარულიძეს, ფოლკლორის კათედრის გამგეს, ჩავაბარე ფოლკლორში გამოცდა. მითხრა: შვილო, რუსთაველის იუბილე მოდის და აუცილებლად უნდა დაწერო სამეცნიერო შრომა. გადადი ფოლკლორის კათედრაზეო. მიმასწავლა, სადაც იყო კათე-დრა. მართლაც, მივედი ფოლკლორის კათედრაზე. იქ დამხვდა ბა-ტონი ოთარ გამსახურდია. მომცეს საქალალდე. ქალბატონმა ქსე-ნიამ ისიც მითხრა: გასულ წელს ჩვენ ვიყავით სამცხე-ჯავახეთში და რუსთაველის ბიოგრაფიული მომენტები ჩავიწერეთო. ჩემი პირველი მოხსენება დავწერე ასეთი სათაურით: „რუსთაველის ბიოგრაფიული მომენტები ქართულ ფოლკლორში მესხეთ-ჯავახეთის მასალების მიხედვით“. ეს იყო ზუსტად წახევარი საუკუნის წინ. მოხსენება წა-ვიკითხე, მოინონეს. რომ დავამთავრე, ერთი მაღალი, მოხუცი კაცი წამოდგა და მეუბნება: შვილო, თქვენ რომ ამბობთ, - და გამამეორები-ნა: „და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხექალაქი: წუნდა და ქალაქი არტანისი, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო ან ჰეჭან ჰუ-რი“, ახლა თუ მეტყვი, სად არის ეს ქალაქი. მე ვერ ვუთხარი და იმ ბატონმა თვითონ მითხრა, სად იყო ის ადგილი. მოხსენება მოინონეს, დამაჯილდოვეს ქების სიგელითა და ფულადი პრემიით. ასე, რომ ჩემი

პირველი დიდი სიხარული არის მესახეთ-ჯავახეთის ამ მასალებთან და დიდებული ჩვენი შოთა რუსთველის იუბილესთან დაკავშირებული. ეს მაღალი, წარმოსადეგი კაცი კი აღმოჩნდა უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი - მიხეილ ზანდუკელი. მოგვიანებით ბატონმა მიხეილმა მთხოვა, რომ ბარათაშვილის იუბილესთან დაკავშირებით მასთან დამენერა სამეცნიერო ნაშრომი: „ბარათაშვილი მსოფლიო გოდების პოეტი“. ასე, რომ უნივერსიტეტი არის ჩემთვის უსაყვარლესი.

- რატომ გადაწყვიტეთ, გამხდარიყავით ფილოლოგი?

ბაგშვილიდან ვწერდი პატარ-პატარა ლექსებს, ვწერდი პიესებსაც. სამი დედმამიშვილი ვართ და მერე ამ პატარა პიესებს ვდგამდით. მახსოვს, საახალწლოდ ასეთი რამ: ბებია მოდის ჩვენთან და ჩვენ ვეკითხებით: „რა მოგვიტანე, რომ მოდი, ბებიაჩემო ანტასი?“ ბებია გვეუბნება: „ყველაფერი მაქვს, შვილებო, ჩურჩელაც, მსხალიც, ყურძნიც. ეს მოგვიტანეთ მიტომ, რომ გაგიძლოთ თქვენი მუცელი“. რომ გაიგეს, ლექსებს ვწერდი, პატარა ვიყავი, როცა ჩამომიტანეს ირაკლი აპაშიძის პოემა - „რას გადაურჩა თბილისი“. ახლაც მახსოვს სტრიქონები:

„ბრწყინაგს ახალი თბილისი,

ძველი ქალაქი ქართული... “ და ა.შ.

„მზის შუქში განათებული

ქალაქი ოქროსფერია,

ცოცხლობდეს ჩვენი სტალინი,

ცოცხლობდეს ჩვენი ბერია“, - აი, ასე ვიზრდებოდით. მაშინ არ

ვიცოდით სიმართლე ლენინზე, სტალინზე. არ ვიცოდით, რა უბედურებაში ვიყავით. მერე, დასამალი რა მაქვს და, მეხუთე კლასის მოსწავლემ დავწერე რევოლუციაზე ლექსი:

„მეფის რუსეთში იტანჯებოდა მშრომელი ხალხი,

არვინ იწევდა მტარვალთა მახვილთ შესაბრძოლებლად,

ბოლოს იფეთქა პეტროვრადში რევოლუციამ

მშრომელი ხალხის თავისუფლების მოსაპოვებლად“. გავაგზავნე ეს გაზით „ნორჩი ლენინელში“. იქიდან მომივიდა წერილი, რომ ვარ მომავალი მგზნებარე კომკავშირელი. მე მჯეროდა ეს ყველაფერი, მჯეროდა გულწრფელად, ვიდრე არ მოვედი უნივერსიტეტში და ვიდრე ჩემმა უფროსმა მეგობრებმა არ ჩამახედეს იმ ისტორიულ სინამდვილეში, რომელიც მართლა არსებობდა. ლექსების წერა გავაგრძელე უნივერსიტეტშიც.

- „დავითის თეორი ტაძარი“ - ბრძანებთ თქვენ უნივერსიტეტზე 2008 წელს მიძღვნილ ლექსში, სადაც ჩანს უდიდესი წუხილი იმის გამო, რომ „ქათქათა ტაძარის“ დაკარგა ძველი დიდება, ძალა. ვინ ასულდგმულებდა და, თქვენი აზრით, ვის მხრებზე იდგა უნივერსიტეტი თქვენი სტუდენტობის დროს, ვის გამოყოფით თქვენი პროფესორებიდან?

პირველი დიდი სიხარული და გაოგნება ჩემთვის იყო პანტელეიონი ბერაძე. ბატონი პანტელეიონი ანტიკური ლიტერატურის, ბერძნული ლიტერატურის ისტორიას გვიკითხავდა. ერთხელ მასთან გამოცდა გვეონდა. კარგად რომ ჩავაბარე, შემაქო: კარგი ბიჭი ხარო. გვერდით მიზის რაულ ბაბუნაშვილი, ახლა იგი მემამულეთა კავშირის პრეზიდენტია. კარგი ბიჭია, ლექსებსაც წერსო, - დასძინა რაულმა. აა, ლექსებსაც წერს? - და პანტელეიონი ბერაძემ მატრიკული, რომელშიც ხუთიანი უნდა ჩაეწერა, დახურა და მკითხა: აბა, დაქტილურ ჰეგზამეტრზე ვილაპარაკოთო. ვერ ვუპასუხე. ვერ დაგინერო ნიშანსო, - მითხვა. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდი პირველკურსელი სტუდენტი, რომელიც ხუთოსწობის სტიპენდიას ვიღებდი და ლექტორი ნიშანს არ მიწერდა. ვიტირე. ნიშანი არ დამინერა, წამოვედი, რაღას ვიზამდი. დამიპარა სექტემბრის თხუთმეტში. მივედი უნივერსიტეტში. ჯერ სტიპენდია ავიღე, მერე შევედი ბატონ პანტელეიონთან აუდიტორიაში. მახსოვს, აუდიტორიაში ისხდნენ მისი სტუდენტები, მათ შორის უნივერსიტეტის ულამაზესი გოგონები: ნინო ჭავჭავაძე და სხვები. რა ქნი, ბალდათელოო, - მეუბნება. მე ვუთხრი: ვიმეცადინე, ბატონო პანტელეიონ-მეთქი. კარგიაო, - მივანდე მატრიკული და ჩამინერა ხუთიანი ისე, რომ არც არაფერი უკითხავს. ასევე განსაკუთრებით დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ჩემთვის სიმონ ყაუხეჩიშვილის გამოცდა. თურმე, ყოფილა ასეთი წითელი პროფესორი ივანე ვაშაყმაძე, რომელმაც, შეიძლება ითქვას, მთელი უნივერსიტეტი გაანადგურა. სიმონ ყაუხეჩიშვილმა რომ აიღო ჩემი მატრიკული და გვარ-სახელს ჩახედა: ვაშაყმაზე ირაკლი, ცივმა ოფლმა დაასხა (მე მერე გავაცნობიერე). მეკითხება: სადაური ვაშაყმაძე ხარო? მე ვუთხარი: ბატონო სიმონ, მე ბალდათიდან ვარ, სოფელ როხიდან-მეთქი. შვებით ამოისუნთქა კაცმა, როგორც ჩანს, და: რა პატიოსანი ხალხი ცხოვრობს ბალდადშიო, - თქვა. მერე, როცა გავიგე, რომ იყო უნივერსიტეტის ასეთი წითელი რექტორი, თვალწინ დამიდგა სიმონ ყაუხეჩიშვილის სახე. ივანე ჯავახიშვილი, უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ვაშაყმაძე, ფაქტობრივად, გამოაგდო (ბოდიში ამ სიტყვაზე) უნივერსიტეტიდან. ბატონმა სიმონმა ჩემს და-

ნახვაზე - ეს პატარა ლეკვია, ალბათ, ვაშაყმაძისო, იფიქრა. აი, ასეთი ამბავიც მოხდა. მკითხეთ, რამ გადამაწყვეტინა, რომ შევსულიყავი ფილოლოგის ფაკულტეტზე - ლიტერატურისა და პოეზიის სიყვარულმა. ახლა ხსნიან, რა არის პოეზია. რას არ ამბობენ, მაგრამ დიდმა ქართველმა, ახლა უკვე წმინდანად შერაცხულმა იღია მართალმა მოკლედ თქვა: პოეზია არის ნიჭი და მადლიო. თუ ამ ორი ფენომენით არა ხარ დაჯილდოებული, მაშინ ეს ყველაფერი სიტყვების უბრალო რახარული იქნება და მეტი არაფერი. მადლობა ღმერთს, რომ უნივერსიტეტში აღმოვჩნდი ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილი მწერლების გვერდით, რომელთაც მაზნიარეს იმ მშვენიერებას, რომელიც ქართული ლიტერატურა და ქართული მწერლობაა. არ დამავიწყდება კიდევ ერთი რამ. სოფელში რომ გაიგეს, მე ლექსებს ვწერდი, თუკი ვინმე გარდაიცვლებოდა, მოვიდოდა ჩემთან მისი ახლობელი იმ გარდაცვლილზე რამის დაწერას მთხოვდა. უნივერსიტეტი დაუვიწყარია. თედო ბექიშვილმა, ან გარდაცვლილმა ჩემმა ერთმა უფროსმა მეგობარმა, თქვა ასეთი რამ: რა უნდა მოხდეს ქვეყნად ისეთი, რომ დამავიწყდე და გამახსენდეო. მე უნივერსიტეტი სულ მახსოვს. მადლობა უფალს, დღემდე, გაჭირვების ჟამს, ჩემი უნივერსიტეტელი მეგობრები მიდგანან გვერდში.

- უნივერსიტეტი ცოცხალი შემოქმედებითი ღწვით ცხოვრობდა. აქტიური და მრავალფეროვანი იყო „პოეზიის წრის“ საქმიანობა. ამ ტრადიციის გასაგრძელებლად 90-იან წლებში, როდესაც გაიხსნა თსუის ახალციხის ფილიალი, რექტორის ინიციატივით ფილიალშიც ჩამოყალიბდა ლიტერატურული წრე და ლიტერატურული ხუთშაბათობები იქცა ნამდვილ ზეიმად. როგორც მოგახსენეთ, ეს გახდათ დედაუნივერსიტეტის ტრადიციის გამოძახილი. როგორ გაიხსენებთ „პოეზიის წრეს“ და მის მესვეურებს?

დიდი სიყვარულით გავიხსენებ წრეს, დიდი სიყვარული მაკავშირებს იმ ადამიანებთან, რომლებიც „პოეზიის წრეში“ იყვნენ. ჩვენ დროს, ისინი - პოეტები, მთარგმნელები უკვე ცნობილი ადამიანები იყვნენ, მაგალითად, გიგლა სარიშვილი, დიდებული მთარგმნელი, უკვე იბეჭდებოდა. მე, თუ ძალიან არ დამაძალებდნენ, რაიმე ლექსი მეთქვა, არ ვკითხულობდი. ისე მეუხერხულებოდა შოთა ჩანტლაძესთან, ჩემს უფროს მეგობრებთან ლექსის თქმა - ეს სასწაული რამ იყო.

ოცი წლის ბიჭი ვარ, 25 ივლისია და გამოცდებს ვაბარებ. თედო ბექიშვილი მხვდება და მეუბნება: ირაკლი ვაშაყმაძე, მე დაბადების

დღე მოგილოცეო და მიკითხაეს ლექსა. ოცი წლის ბიჭისთვის ჩემზე უფროსი პოეტისგან ლექსის მიძღვნა, ეს ისეთი სიხარული იყო, ვერ აღგინერთ. მერე ვფიქრობდი, რანაირად გადამეხადა ჩემი უფროსი მეგობრისთვის სამაგიერო და მეც ოცი წლის შემდეგ დავწერე ლექსი „არაგვი ანაურთან“. იქამდე ვერა და ვერ დავწერე ისეთი ლექსი, თვითონ რომ მომენტონებოდა. ბატონ თედო ბექიშვილთან რომ მივედი და მივიტან ეს ლექსი (იქ დამხვდნენ ვანო ჩხივაძე, ავთო მიქაზე (მსახიობი). ვუთხარი: თედო, ლექსი მოგიტანე, რომელიც მოგიძლვენი-მეთქი. ძალიან მოენონა ეს ლექსი, ძალიან და მე ვიყავი მაშინ ბედნიერი. „არაგვი ანაურთან“ ბევრგან დაიბეჭდა. ეს ადამიანები ჩემი „ნათლიები“ იყვნენ, რომლებიც ჩემს ლექსებს უფრთხილდებოდნენ. მეუბნებოდნენ, რა წიგნი უნდა წამეკითხა, რომ გემოვნება ჩამომყალიბებოდა, მასწავლიდნენ. მერე სამაგიერო რომ გადამეხადა მათვის, დავწერე 40 წლის წინ ერთი „ფოტოლექსი“, რომელსაც ხშირად ვბეჭდავ. ლექსი ასე იწყება:

„გახსოვთ, ძმებო, ბალი,

უნივერსიტეტის?

ფიქრი,

საუბარი, ფრთხილი მეტისმეტი“ და შემდგომი სტრიქონები კონკრეტულ ადამიანებს ეხება, ჩემი მეგობრების გახსენებაა. „ფოტოლექსში“ ჩემთვის ძვირფასი ადამიანები, რომელებიც სწორედ იმ პოეზიის, მწერალთა წრიდან დაფრთიანდნენ, ყველა მოვიხსენე.

- გისმენთ და ვრწმუნდებით, რომ თქვენი ცხოვრება მეგობრობის მაღლითაა გაჯერებული. არ განგიცდიათ სიხარული, ტკივილი, გამარჯვება, ბედი თუ უბედობა, მეგობართან რომ არ გაგეზიარებინათ. რაც მთავარია, ასეა დღემდე. ვინ არიან თქვენი მეგობრები და როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ დააჩნია კვალი თქვენს ურთიერთობებს ცხოვრების ურთულესმა და უმკაცრესმა წლებმა?

ჩემი მეგობრები დიდებული ადამიანები არიან. ქართველი მკითხველისათვის საყვარელი ბევრი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალარ არის დღეს ჩვენს გვერდით. თედო ბექიშვილი გარდაიცვალა, გარდაიცვალა გიორგი ბაქარიძე, გიგლა სარიშვილი, ჩვენი აღმზრდელი მეცნიერები - ბატონი რევაზ სირაზე, ნოდარ ჩხეიძე, ზეციურ საქართველოში მკვიდრობენ და იქ არიან. ბატონი გურამ პეტრიაშვილი - ჩემი უფროსი მეობარი, რომელიც როგორც კი ჩამობრძანდა, მაშინვე შემეხმიანა, დიდი ეროვნული მოღვაწეა, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, ჩემთვის უსაყვარლესი და ქართველი

ხალხისთვის საყვარელი ხელოვანი... როგორ ჩამიხუტა გულში, როგორ დამეხმარა ყველანაირად, ახლაც გვერდით მიდგას. ზაურ მალაშვილი, ნომადი ბართაია, მურმან ჯგუბურია, კობა არაბული - ესენი არიან ჩემი უსაყვარლესი მეგობრები. გიზმ ზარნაძე, ეს დიდებული, 85 წელს მიღწეული მამულიშვილი ოფია იოსელიანის თაობაა. ასევე რამაზ პატარიძე, რომელიც ახლაც იღწვის, ჩემი უფროსი მასწავლებელი და მეგობარია. ასევე ჯემალ ქირია, ზეინაბ შარაძე, ნიკოლეიშვილი, კინორეჟისორებიდან ვახტანგ ხარჩილავა, რომელმაც ამას წინათ თავისი გაზეთის ფურცლებიდან მომიღოცა საიუბილეო თარიღი. ბატონები - თამაზ ნიკოლაძე, ჯარჯი ფხოველი, არ მინდა, გამომრჩეს ვინმე. იყვნენ სხვებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ეს პირადაც მითქვამს მათვის, ბევრმა, როცა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ასე განირა ბოროტმა ძალამ, მავანი და მავანი ამ საერთო სამეგობროდან გუნდრუეს უკმევდნენ შევარდნაძეს. მე მოგახსენეთ, რომ ჩვიდმეტი წლის ბიჭი მივედი უნივერსიტეტში და, საბედნიეროდ, უნივერსიტეტის დამაარსებლებს მივუსწარით. სხვაგვარი სული ტრიალებდა მაშინ, ჩვენ სხვა — ნამდვილი ურთიერთობებიდან მოვდივართ.

მე უნივერსიტეტელი მეგობრებიდან ძირითადად მწერლები დავასახელე. უკვე რამდენი აღარა გვყავს. ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს სამეცნიერო წრეებთან. ჩემი მეგობრები არიან მეცნიერები - აკადემიკოსი ავთანდილ არაბული, მერაბ ბერიძე, ჩვენი უსაყვარლესი უნივერსიტეტის რექტორი, ამირან არაბული, ლევან ბრეგაძე, მწერალი ამირან გომართელი, თამაზ ტყემალაძე, თამაზ ხმალაძე. უნივერსიტეტიდან ვმეგობრობთ თინათინ ჩხაიძესთან, გვანცა კოპლატაძესთან.

- თქვენს ერთ-ერთ ლექსს საინტერესო სათაური აქვს - „ოქროს სანმისელის სიმღერა“.

„მზე ამოდის ... ეგრისის მთებს

ქარვა სხივი შეადნა,

მზე ამოდის... ნარსულიდან

მოთქმა ამოშრიალდა“. გვიამბეთ „ოქროს სანმისით“ 1969 წელს „ნარსულიდან ამოშრიალებულ“ ძალიან საინტერესო, თუმცა, ცოტა უცნაურ მოგზაურობაზე.

ეს იყო დიდებული მოგზაურობა. მაშინ დიდი გრძნობით დიდი მეგობრობით დავახლოვდით ძალიან უნივერსიტეტის სტუდენტები, მათ შორის მერაბ ბერიძე, თამაზ ტყემალაძე, თამაზ ხმალაძე და

ჩემი უფროსი მეგობრები. იქ იყენებ ნუკრი ალხაზაშვილი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ირაკლი სურგულაძე, ან უკვე გარდაცვლილი მეცნიერი. მოგზაურობას ხელმძღვანელობდნენ გვანჯი მანია და რაულ ბაბუნაშვილი. ეს ყველაფერი იყო დაუვინარი. ჩვენ მაშინ ვჟურნალისტობდით და ვწერდით - მოგზაურობა ანმყოსა და წარსულში. ფაქტობრივად, ეს ისეთი შეხვედრები იყო, ლამის ეროვნულ გმირებად გამოგვაცხადეს. დავუყევით გზას შორაპნიდან და წავედით ფოთში. დიდი ფათერაკებით. ეს იყო დიდი სავაჭრო საქარავნო გზა, ახლა რომ აბრეშუმის გზას ეძახან. ასე გაცოცხლდა ისტორია. თითოეულ რაომნში, თითოეულ სოფელში ისეთი შეხვედრები იმართებოდა, დაუვინარი. ერთი რაღაცა მინდა ვთქვა:ყველა იდგამს ახლა მონამის გვირგვინს. ჩვენ ვსაუბრობდით, რამდენი თავდადებული, რამდენი ლირსეული პირვება გვყავდა და გვყავს, რომლებიც არასოდეს ამბობენ — მე ეს ვიყავი, მე ის ვიყავი. აგრე, თუნდაც ბატონი გურამ პეტრიაშვილი. პირველად როცა შემოვიარე მესხეთებავახეთი - ოშორა, ოთა, იდუმალა, ხიზაბავრა, სარო, ტოლოში, აფინა, მირაშანი, გოგაშენი, ნაქალაქევი, წუნდა, კუმურდო რომ ვნახე უგუმბათო, ცუდად გვხდი. მაშინ ისეთი თაობა იყო. თქვენ მინდა იცოდეთ, მინდა ახალგაზრდებმა იცოდნენ, რომ საქართველო სტკიოდა ამ თაობას, ამ თაობას მისი წარსული სტკიოდა,. აი, ამგვარი ტკივილით ვცხოვრობდით და ცხოვრობდა ჩვენი დროის საქართველო. იოლი არ იყო. ბევრი წინააღმდეგობა გვხვდებოდა. პარტისტორის ლექციებს საერთოდ ვერ ვიტანდი, მეცნიერული კომუნიზმის ლექტორი იყო მიხეილ გაფრინდაშვილი. საერთოდ არ დაესწრებივარ ამ ლექციებს, არადა, ფოლელორისტიკაში სადიპლომო დავწერე, სახელმწიფო გამოცდა ჩავაბარე და და გავედი პარტისტორის გამოცდაზე, კომისიის თავმჯდომარე იყო ენათმეცნიერი ალექსანდრე ღლონტი. მითხრა, შენ არასოდეს ნიშანს არ დაგინერო. ამ დროს, წარმოიდგინეთ, ვემზადები გამოსაშვები სალამოსთვის, მიყიდეს, გამომაწყვეს და გამოცდაზე ვიღებ თრიანს. ბატონმა აკაკი ურუშაემე, ჩემმა დეკანმა, ჩვენმა უსაყვარლესმა ადამიანმა, შეიცხადა და მითხრა: ეგ რა ქენი, ბიჭო, რატომ არ დადიოდი, ერთადერთი სტუდენტი ხარ, რომელმაც მეცნიერულ კომუნიზმში არც ლექციებზე იარე და ვერც გამოცდა ჩააბარე, თრიანი დაგინერესო. აი, ასე მეზიზღებოდა ეს მეცნიერული კომუნიზმი და ბიჭები ამბობდნენ: თუ ვინმეზე უნდა თქვან დისიდენტი, შენზე ირაკლი, რა უყავი ამ მეცნიერულ კომუნიზმსო. ამ ამბავმა, რა თქმა უნდა, უბრალოდ არ ჩაიარა.

შერიოზული პრობლემები შემექმნა. მეორე კურსიდან არჩეული ვიყავი ფილოლოგის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარის მოადგილედ. რომ არ დავდიოდი მეცნიერული კო-მუნიზმის ლექციებზე, იქაც უარი მითხრეს.

- „სისხლში ჩავმხრჩვალოთ და...

ცრემლი გვეძალება,

მსხვერპლად შენირული შვილების გვეკრძალება

დამარხვა-დატირება, მოთქმა გვეკრძალება,

მამულში მამულიშვილობა გვეკრძალება“, - 10 აპრილს დაწერილ თქვენს სტრიქონებში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია მოული თავისი სიმძაფრით შიშვლდება. გვეკრძალებოდათ, მაგრამ უკან არ დაგიხევიათ. თქვენ მოინამდეთ კიდეც იმ ავბედით ღამეს... როგორ გაიხსენებთ 9 აპრილის მოვლენებს?

ეს ისეთი თემაა, უსაყვარლესიც არის და ძალიან მტკიცნეულიც. იმ დიდი ადამიანების გვერდით ჩამოვყალიბდი პიროვნებად, რომელთაც მართლა სტყიოდათ საქართველო. დრო იყო ისეთი, ლექსა თუ დავწერდით, შეფარვით უნდა გვეთქვა, რა დღეში იყო ჩვენი ქვეყანა. ყველა ამ სულისკვეთებით იყოგა უდენობილი, ჩემი უფროსი მეგობრები ამ საქართველოთი ცხოვრობდნენ. ჰქონდათ თავიანთი ცხოვრების წესი, თავიანთი მაღალზნებრივი შეგნება, მოქალაქეობრივ შეგნებას რომ ვეძახით ხოლმე. სამშობლო სუნთქვაა სულისა და გულისა. დიდი, სულგულიანი ადამიანების საქმეა, საერთოდ, სამშობლოს სიყვარული. ასეთი ადამიანების გვერდით (სოსო პაიჭაძის გვერდით, დამავიწყდა, მეთქვა) ვცხოვრობდი. ეს ხალხი იყო ისეთი ფიქრიანი, მთელი თაობა ისეთი თავმდაბალი, ისეთი ვაჟეცები, კაცებს რომ ეკადრებათ. წელან მოგახსენეთ, ვაჟეაცი არა-სოდეს არ ამბობს, მე ეს გავკეთე, მე ასეთი ვიყავი, და ა. შ. ისინი იყვნენ თავმდაბლები, ფიქრიანები, ასეთი ხალხი უკვე თითზე ჩამოსათვლელია. დოსტოევსკის აქვს ასეთი ფრაზა ნახმარი: რუსეთი არის ორმოცი ოჯახიო. პირველად რომ ნავიკითხე ეს წინადადება, რუსული ლიტერატურის ისტორიას ნათახე გვიკითხავდა, დიდებული ადამიანი და ვკითხე: ბატონო ვახტანგ, კორექტურული შეცდომა ხომ არ არის, რას ამბობს დოსტოევსკი-მეთქი. არა, შვილოო, - მიპასუხა, - დოსტოევსკის წარმოდგენილი ჰყავს მართლმადიდებლურად მცხოვრები ოჯახებიო. მართლა რომ დავფიქრდეთ, მაშინ, ალბათ, ას მილიონამდე იქნებოდა რუსეთი. მთელ რუსეთში დოსტოევსკი ორმოც ოჯახს რომ თვლიდა, ნეტა ჩვენ რამდენი ვიქნე-

ბით? ბოლო ხანებში, ოცი წელიწადია, გვესმის: მრეწველობა გადაარჩენსო საქართველოს. მრეწველობა როგორ გადაარჩენს, ჩემო კარგო? უფალმა უნდა გადაგვარჩინოს, ღმერთისკენ უნდა გავიხედოთ, ღმერთი უნდა გვიყვარდეს უპირველესად და მერე საქართველო! როგორი მდგომარეობა გვაქვს ახლა - ძალიან მატერიალისტური. ვამბობდი, ჩამოდგა ჟამი ნივთისა, ნივთის ჟამი. ცხონებული ოთარ ჭილაძე ამბობს თავის რომანში: ჩვენი ხელობა ახლა არის მუცლის ავსება და დაცარიელებაო. რაც შეეხება 9 აპრილს, ეს ისეთი მძიმე თემაა. წერილის დანერეკა რომ მთხოვა ბატონმა მერაბმა, სპეციალურად გამოვტოვე ეგ დამე. ამაზრზენი და ჯოჯონხეთური დამე იყო, რომელიც ადამიანებზე საშინლად მოქმედებს. ბევრი ვერ უძლებს ასეთ სისასტიკეს, ასეთ სინამდვილეს რომ შეხედავს, დიდი სულიერი ტრამვის გამო ბოროტდება. 8 აპრილის დამიდან იქ იყო სხვაგვარი სულისკვეთება. მოახლოებულ საფრთხეს გრძნობდა ყველა. კოტეტიშვილის ქუჩით რომ ჩავედით, ამ ამბების დროს იყო, როგორ გითხრათ, კვნესა, გმინვა და სისხლის სუნი იდგა, ძნელი სათქმელია, რას განიცდი, როდესაც პირველად შეიგრძნობ ადამიანის დაღვრილი სისხლის სუნს. ეს იყო და დარჩა უზარმაზარ ტკივილად, არ ვიცი, რა გითხრათ.

- გადავიდეთ თქვენს შემოქმედებაზე, თქვენივე სიტყვებს დაგესესხებით — სულგულიანსა და ფიქრიან პოეზიაზე. როგორ იქცევა თქვენი სათქმელი ლექსებად, თქვენც მუზებს ემორჩილებით? გაგვიმხილეთ ირაკლი ვაშავმაძის ლექსთა თხზვის საიდუმლო...

წელან ვამბობდი, სტუდენტობისას ვისმენდით მიხეილ კვესელავას, დიდი შალვა ნუცუბიძის, პანტელეიმონ ბერაძის ლექციებსმეთქი. ისინი გამუდმებით გვეუბნებოდნენ ერთ რამეს: თქვენ ხართ ფილოლოგის ფაკულტეტის სტუდენტები. ისეთი დრო მოდის, რომ ბალზაკის, ტოლსტოის რომანების კითხვის დრო მკითხველს არ ექნება, ამიტომ ძალიან ლაკონიურად უნდა ითქვას ის, რაც თქვენ განუხებთო. ამაზესულ ვფიქრობდით. მიხეილ კვესელავამ გაგვაფრთხილა: იცოდეთ, თქვენ უნდა განათლდეთ, განათლება მიიღოთ იმ ლიტერატურისაგან, რომლესაც ჰქვია აღმოსავლური, დიდი ინდური, ჩინური, იაპონური პოეზია და უნდა იცოდეთ ჩვენი ქართულილი ტერატურა. თუ წაიკითხავ, იმავე ფსალმუნებში, ქართული ლიტერატურის ძეგლებში, მაგალითად, ასეთ სტრიქონებს: „გამრავლებითა ურჯულოებისათა, განხმეს სიყვარული მრავალთა“. ეს პოეზიაა, რომელსაც ჩვენს ქართულ სასულიერო ფსალმუნებში

ამოიკითხავს მდიდარი გონების მკითხველი, ეს თავისთავად ლექსია. როცა წავიკითხე ასეთი სტრიქონები: „ცხვარი დავკარგეო, დილით შესჩივლა ბალახმა ზეცას, რომელსაც ყველა ვარსკვლავი დაჰკარგვოდა“. ეს მოკლე, ლაკონიური პოეზიაა, ეს არის ლექსი კვაზარი, სიტყვა კვაზარი, როგორც, მაგალითად, ჩვენ გვაქვს სიტყვა „იყო“. „იყომი“ იმდენი წარსულია ჩატეული, ჩვენი იმდენი ტკივილია ამ ერთ პატარა სიტყვაში „იყო“, რომ ამას, აღბათ, ვერ აღწერ ხუთი, ათი სიცოცხლე რომ მოგცეს უფალმა. მეც ასე ვფიქრობდი, რომ ლაკონიურად მეთქვა და აი, მეორე, მესამეკურსელმა სტუდენტმა ასეთი რამ დავწერე:

„თავკერძა ქართველო, გახსოვდეს:

სიცოცხლე ლვთის ჯილდოა,

ცხოვრება — დიდი სასჯელი,

თავკერძა ქართველო, გახსოვდეს:

ერთი ფოთოლი არ შრიალებს,

არც ერთ ხეს ჰქვია ტყე“, ...ეს რომ წავაკითხე ჩემს უფროს მეგობრებს, ძალიან მოეწონათ. ყოველთვის ვცდილობდი, ლექსის მცოდნეთა რჩევა-დარიგება მიმელო მხედველობაში და ჩემს ნაცოდვილარს თედო ბეჭიშვილს, გიორგი ბაქარიძეს ან სხვებს ვაჩვენებდი. სხვათა შორის, ჩვენი ოჯახის ნათლია იყო გიორგი ლეონიძე. პატარა ბიჭი ვიყავი, პირველად რომ მთხოვეს, გიორგი ლეონიძისთვის წამეკითხა ჩემი ნაცოდვილარი და გავბედე მისი თანდასწრებით ლექსი წამეკითხა. ბატონიმა გიორგიმ მითხრა: წერე და წერე! ამ დროს ეს „წერე“ ისე ძნელია, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ხანდახან მთელი კვირები, მთელი თვეები იქმნება ლექსი... მე როცა ვნახე გუმბათმორდვეული, დანგრეული კუმურდო, როცა ჩემი მერაბ ბერიძის სამცხე-ჯავახეთი ვნახე და მოვიარე სამსარის მიდამოები, ვნახე ჭაჭქარი, არმისულმა ვარძიამდე ვნახე თამარის ვაზი, რაც შეიძლება მოკლედ უნდა მეთქვა კუმურდოს სადარდებელი და გულისტყივილი. ასეთი რამ დავწერე:

„უგუმბათო და ტანდაკანრული,

იდგა შამბნარში, ტკივილს მალავდა...

ბოლმისგან ისეც პატარა გული...

„უფრო და უფრო დაპატარავდა...“ მახსოვს, კუმურდოში რომ შევედით, სოფლელები გამოგვეგებნენ, ვინა ხართ, რანი ხართ, საიდან მოხვედითო.... თამაზ მამულაშვილთან ერთად ვიყავი (ჩემი ნათლიმამა, მწერალი, სცენარისტი). ვიღებდით ფილმს „შენ ხარ ვენახი“. .

ამ ექსპედიციაში ჩვენი მძღოლი იყო ნუგზარ მაისურაძე, ასპინძელი, რომელმაც შემოგვატარა მთელი ასპინძა-ახალქალაქის მიდამოები. პირველად ვნახე ყოველი ფეხის ნაბიჯზე ტკივილითა და საოცარი გულისტკივილით დანაღმული მესხეთ-ჯავახეთი. მე მაინც მგონია, რომ ლექსი ტკივილიდან, ემოციიდან იპადება. თედო ბექიშვილმა ერთხელ მთხოვა, რომ წამეჭითხა წიგნი „ამერიკელი მწერლები ლიტერატურის შესახებ“ (რუსულად). მე ვკითხულობდი, ცნობილი მწერლები რას ფიქრობდნენ პოეზიაზე, ლიტერატურაზე: პოეზია ეს გრძნობაა, პოეზია განწყობაა. ჩემი აზრით, ერთიც არის და მეორეც, მაგრამ, პოეზია, რაღაცა მოუხელთებელი რამ არის. ერთხელ ბაბუაჩემი ბარავდა და თავზე წაადგნენ ფოლკლორისტი თამარ ოქროშიძე, მამია დუდუჩავა, ნოდარ ალანია და თვით დიდი გიორგი ლეონიძე. შეხედეთ, რა მშვენიერებაა, რანაირად ბარავს, ბატონი ნოეო, - უთქვამთ. მართლაც, ისე იყო მიუვრილი ბარი ბარს ეს ნაბარავი მიწა, რომ, მე ახლა რომ ვიხსებენ, უმშვენიერესი რაღაც იყო ეს ყველაფერი. პოეზია მაინც არის მშვენიერება, როგორც კარგად მოგეხსენებათ, დიდი ტკივილი, დიდი სიხარულია. მე ასე მგონია, თუ ჩემს ლექსს ლექსი ეთქმის, ლექსი კი არის, მაგრამ პოეზია თუ არის მაინც ამ ჩემს ლექსში იოდისოდენა, მკითხველი თუ ხედავს იოტისოდენა პოეზიას, მე ბედნიერი ვიქენები.

- თქვენ საუბრობდით მოკლედ თქმაზე და გამახსენდა რუსთველის სიტყვები: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის...“ ნელს „ვეფხისტყაოსნის“ 850 წლის იუბილე. პირობითია წლები, რაღვან ეს დიდებული პოემა უსასრულობიდან იწყება... თქვენი აზრით, როგორ ესმის ჩვენს თანამედროვეობას „ვეფხისტყაოსანი“?

ყოველდღე უნდა იკითხოს „ვეფხისტყაოსანი“ ქართველმა კაცმა. როცა ჩვენი დიდი მეცნიერები მიმოიხილავენ ხოლმე ქართული ხალხური პოეზიის ფესვებს, შორეულ წარსულში, სადღაც შორს იყარება ეს ყველაფერი. იქიდან ამოიზარდა ჩვენი დიდებული პოეტური, ეროვნული პოეტური სახარება, რასაც ჰქვია შოთა რუსთველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. ერთხელ ენათმეცნიერული თვალსაზრისით წავიკითხე პოემა. აქ იმდენ კილოს წახავთ: რაჭულს, იმერულს, კახურს - სულიერი პორტრეტი მთელი ერისა ჩანს „ვეფხისტყაოსანში“. ეს სასაწულია! ის ჩვენი სულიერი ციხესიმაგრეა, რომელსაც ვერასოდეს ვერ დაანგრევენ, რომლის მეცნიხვნენი მე მინდა იყვნენ თანამედროვე შემოქმედნი. არა ის, ვითომ მწერლები და ვითომ პოეტები, რომლებიც ქმნიან, არ ვიცი, რა ჰქვია იმ ლი-

ტერატურას, ბილწსიტყვაობა. ისე უღერს დედის გინება, ვითომ პოეზიაში, ვითომ ლიტერატურაში, თითქოს არაფერია. ამაზე ხშირად გულისტკვილით ვსაუბრობთ ხოლმე. დღევანდელ „ქრონიკა პლუსში“ არის გურამ პეტრიაშვილის წერილი იმაზე, თუ რა ამჟები ხდება სკოლაში? ქართული სკოლა აღარ ცნობს პოეზიას, არადა, პოეზია ეს თავისთავად მშვენიერებაა და ადამიანის სულის გამამშვენიერებელია. ბავშვს რომ „ლექსს ვეფხისა და მოყმისას“ არ ასწავლი! საზეპიროები რა საჭიროა, უთქვამს ახლანდელ მინისტრს. თუ ბავშვს ჩვენ სულიერი საზრდო არ მოვაწოდეთ და სამშობლოს ემოციური ხატი არ დავუხატეთ სულში, ძალიან დაგვავინყდება საკუთარი თავი და მართლაც, როგორც ოთარ ჭილაძე ბრძანებდა, ჩვენი ცხოვრება გახდება მხოლოდ მუცლის ავსება და დაცარიელება.

- რას ფიქრობთ დღევანდელ პოეზიაზე? მიგაჩნიათ თუ არა, რომ თანამედროვე პოეზიამ გადაუხვია ტრადიციული ქართული ლექსის განვითარების გზას?

ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენ ისეთი დიდებული პოეტები გვყავს, მაგალითად ტარიელ ხარხელაური. ერთხელ, ახალგაზრდა ბიჭი ვიყავი მაშინ, კინოფილმების სტუდიაში ვმუშაობდი, იაკობ ბობოხიძემ (იყო ასეთი კომპოზიტორი), მომცა რვეული და მითხრა: წაიკითხე, არის ახალგაზრდა კაცი ცხვარში, წაიკითხე ერთი, რა ხდება. თინანეთში ასწავლიდა სიმღერას მაშინ ბატონი იაკობ ბობოხიძე, იქ რაიონულ გუნდს ხელმძღვანელობდა. მე და ცხონებულმა მარინე ფიფიამ ეს რვეული გადავათვალიერეთ და საოცარი სტრიქონებიამოვიკითხეთ ნაღდი პოეტისა. ეს აღმოჩნდა ტარიელ ხარხელაური, რომელთანაც ჩვენ მერე დავმეგობრდით, როცა უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა ტარიელი. მერე ბატონი ჯარჯი ფხოველი, თავისთავად უფროსი თაობიდან ჩვენი ბესიკ ხარანაული, რომელთანაც თედო ბექიშვილის გამოისობით დიდი მეგობრობა, თუმცა მეგობრობა არა, როგორ ვაკადრებ, დიდი სიყვარული მაკავშირებს. თემურ ჩალაბაშვილი, მარიამ წიკლაური, ჩვენი მანანა ჩიტიშვილი, კობა არაბული - შესანიშნავი პოეტები. ასე რომ, ღმერთმა ნუ ქნას, გზიდან გადახვევა. ისინი ქართული ლექსისა და ქართული პოეზიის მეციხოვნენი ბრძანდებიან. ღმერთმა ისე ინება, ის ხალხი, რომლებიც ქართულ მწერლობას, ქართულ სიტყვას ციხესიმაგრედ მიიჩნევენ და მეციხოვნენი ბრძანდებიან ამ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის, თითქმის ყველანი ჩვენი ახლობლები და ჩვენი მეგობრები ბრძანდებიან. აგერ, მთაში გვყავს ახლა ჯარჯი ფხოველი, დიდებული პოე-

ტი, უსაყვარლესი. ბევრი წავიდა ჩვენგან. უდროოდ წავიდა, მაგალითად, გოდერძი ჩოხელი როგორ უდროოდ წავიდა ჩვენგან! საბედნიეროდ, ახალგაზრდებიც არიან, მაგალითად, გიორგი ვახანიძის (რომელიც ჩემი უფროსი მეგობარია) შვილი - ლუკა. მაგრამ შენიშვნები მაქს ლუკასთან, რადგან ბილნისიტყვაობს ხანდახან. „სინამდვილეა ასეთი, ირაკლი ბიძია, სინამდვილეო“, მაგრამ უნდა შეძლო, ის სინამდვილე უნდა დახატო ისე, რომ ბილნისიტყვაობა არ დაგჭირდეს. სოსო პაიჭაძემ, დიდებულმა პროზაიკოსმა, ჩვენ ხშირად ვხვდებოდით, თითქმის ყოველ საღამოს ვიკრიბობოდით, ერთხელ მითხრა: ირაკლი, გახსოვს, როცა ანდრე ბოლკონსკი კვდება, ცოლი როგორ ადგას თავსდაჭრილს, ძალან მძიმედ დაჭრილს და რა მოქმედებებს ჩადის ეს ქალიო. რომ წავიკითხე ეს ეპიზოდი, მართლა გაოცებული დავრჩი, აი, რას ნიშნავს დიდი მწერლობა. ბელოვი ჰყავთ რუსებს, ჰყავდათ, არ ვიცი, ცოცხალია თუ არა. მისი ერთ-ერთი ნაწარმოების მიხედვით მიტოვებულ სოფელში შედის გმირი. ისეთი სიჩუმე იყო, ისეთი სიჩუმე, წერს მწერალი, მწერის ამოსუნთქვის ხმასაც გაიგონებდიო. ბატონ ოტიას, (ოტია იოსელიანთან ახლო მეზობლობა გვქონდა), ერთი ნოველა აქვს: ერთი გოგო უყვარს სკოლაში ნოველის გმირს (იგივე ოტიას) და ამბობს: მარცხენა ნაწნავზე (იმ გოგოს ორ ნაწნავად ჰქონდა თურმე თმა დაბწნული), რამდენი თმის ლერი იყო, ისიც ვიცოდი და მარჯვენა მხარეზე რამდენი იყო, ისიცო. ამას მწერალი რომ ამბობს, ეს ხომ ნაღდი, დიდი მწერლობაა.

- თქვენი პოეტური სამყარო მკითხველს იზიდავს თავისი უშუალობითა და გულწრფელობით. მკითხველი ენდობა თქვენი ლექსების ლირიკულ გმირს და მიჰყვება მას ფიქრებში, ტკივილსა თუ სიხარულში. მიჰყვება ქალაქიდან სოფელში მიმავალს დედასთან შესახვედრად:

„მე ხვალ სოფელში მივემგზავრები,

სახლში, სახლში მივემგზავრები!

ჭიშკართან დედა შემომეგებება ხელგაშლილი,

გულში ჩამიკრავს, მოვეხვევი და...

ჩუმად მეტყვის: ფრთხილად, შვილო, რამე არ მატკინო,

ძვლებილა დავრჩი“.

ჩვენი უურნალის მკითხველი იცნობს თქვენს „ბებიებს“, არაჩვეულებრივად რომ გადმოსცემს ქართული, იმერული სოფლის კოლორიტს...

„ბებიებმა“ მართლაც დიდი პოპულარობა მოიპოვა. მეუბნებიან, რატომ შენყვიტე ასე უცებ, გააგრძელეო. ხუთჯერ დაბეჭდა სხვა-დასხვა გაზითმა ეს ლექსი. მე სოფელში დავიბადე და სოფელთან ურთიერთობა არ შემიწყვეტია ბოლომდე. ექვსი წლის ვიყავი, ბა-ბუამ ვენახის გასხვლა რომ მასწავლა. ესე იგი, რაც კი სოფელს სტკიოდა, ვგრძნობდი, სულ სოფლის შუაგულში ვტრიალებდი ხოლ-მე. სოფლის ცხოვრებით ვცხოვრობდი. ერთხელ რომ მობრძანდა ჩემთან ბატონი ოტია, გაოცებული დარჩა: მე, ირაკლი, ჩემი თავი მეგონა, რომ რაღაცა ვიცოდი და შენ ვინ ყოფილხარო, - მითხრა, რომ ნახა ჩვენი ვენახი. ერთხელ დაბადების დღე ჰქონდა ბატონ ოტიას და მე ათი ლიტრი ძველშავი ჩავუტანე. საერთოდ, რომ ჩავ-დიოდი სოფელში, დამიკავშირდებოდა და მეტყოდა, არ წახვიდე უწერმოდ, აუცილებლად მნახეო. დაბადების წინა დღეს მივართვი ღვინო, გამიპრაზდა: რა გაგიკეთებია, ჰერაკლიუს, ეგა, სად ნახე შენ, რომ ათი ლიტრი ძველშავი მიართვან. ერთი-ორი ლიტრი ვერ მომიტანე, ეს რა ამბავია? მე ვუთხარი: როგორ გეკადრებათ, ბა-ტონი ოტია, როგორ გეკადრებათ, ჩემო ძვირფასო-მეთქი. მე მყავ-და ბაბუა - თედორე ხელაძე, კითხული კაცი იყო ვანის რაიონში. ეფერებოდა თავის ჭურ-მარანს, თავის ვენახს. ოქროს საწმისზე ვსაუბრობდით წელან. ბატონშა ილია ვეკუამ, როგორც ბაღდათელი ორ-სამ რაიონში გამაგზავნა, რომ მიმართვები ჩამეტანა და მეცნო-ბებინა რაიკომის მდივნებისთვის ასეთი მოგზაურობის შესახებ. ჩემთან ერთად იყო ფოტოხელოვანი შალვა ჭანტურია დ კობა არა-ბული. რომ ავედით იქ, ჩემს ბებიასთან და ბაბუასთან, დედულეთი რომ ჰქვია, ისეთი სიყვარულით მოგვიხადა ბაბუაჩემმა ჭური, კობა გაგიუდა. იქ ჭამა პირველად ჭყინტი ლობიო, ხეესურმა არ იცოდა, რა იყო ჭყინტი ლობიო. თავისთავად ჭური, მარანი, ვენახი ქართ-ველი კაცისთვის, ვაუა რომ ამბობდა: ჩემი კაცობის გვირგვინიო, ისეა. რომ შემობრძანდებოდა სტუმარი, პირველად ვენახს დაათვა-ლიერებინებდნენ, ჭურ-მარანს და იქ ჩანდა ოჯახის სახე და ხატი.

მე მყავს ძმა - მამუკა, მეღვინეა, და მყავს - მაყვალა. დიდი ოჯახიდან მოვდივართ. ბაბუას რვა დედმამიშვილი ჰყავდა, ბებიასაც რვა დედმამიშვილი. არ არის საქართველოში ადგილი, კუთხე, რომ არ გვყავდეს ნათესავი ან ახლობელი. შევარდნაძეც კი, შევარდნა-ძეების რძალი მამაჩემის მამიდაშვილის ბიძაშვილი იყო. როცა გა-ზეთი „საქართველოს სამრეკლო“ გამოდიოდა, ჩემი ერთი ლექსი „დავითის ლანდი თბილისთან“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა. თავში

წინასიტყვაობა დაერთო ჩემ შესახებ. მერე იყო შევარდნაძის კარი-კატურა ბოლოში, ისევ პირველ გვერდზე. სოფელში ვიყავი და იქ მომაწვდინეს ხმა, რომ გაბრაზებულები არიან შევარდნაძები შენზე, რა დავუშავეთ ირაკლისო. მერე უთქვამთ, რომ ირაკლი ვაშაყმაძის ლექსი დავბეჭდეთ უბრალოდ. თქვენც თუ გინდათ, დაბეჭდეთ. რას ერჩით ამ ირაკლი ვაშაყმაძესო. ეს მოვაყოლე იმას, რომ სამეგრე-ლოში, იმავე მესხეთში, იმავე კახეთში, სადაც შევდიოდი, არ არსებობდა, რომ ნათესავი ან ახლობელი არ მყოლოდა. უნივერსიტეტი დალოცოს ღმერთმა კიდევ. სად არა გვყავს საძმო-სამეგობრო, სულ ასე განვენილია ჩვენი ნაცნობ-მეგობრები.

- ადამიანი სიყვარულისთვის არის გაჩენილი. ასე მგონია, სიყვარული განსაკუთრებულად ფასობს შემოქმედი ადამიანის ცხოვრებაში. რა წილი აქვს ამ გრძნობას თქვენი პოეტური სამყაროს შექმნაში და ხშირად თუ დგებოდა წუთები, როდესაც გულწფელად ბრძანებდით: „ოქროდქცეული ეს უსაზღვრო ქვეყნიერება, შენს გაღიმებად, მშვენიერო, თურმე არა ლირს“...

იყო ასეთი და ბევრი იყო ასეთი. მახსოვს ერთი სტრიქონი ლექ-სისა, რომელიც წავიკითხე ერთ ოჯახში. ეს ლექსი ასე თავდებოდა: „იმ სიყვარულის ცხელი ალმური ძვლებს სამარეშიც არ მოასვენებს“. დასასრული კარგად მახსოვს. ატყდა ტაში და მერე ეს ლექსი დამეკარგა, თუმცა, აღვადგინე. სხვათა შორის, აღდგენილი ბევრგან დაიბეჭდა... რა თქმა უნდა, სიყვარული რაღაც ისეთი დიდებული გრძნობაა, რომელიც განუყრელია ბავშვობასთან, ახალგაზრდობას-თან. ასახევფურცლიანი კალენდრები იყო ჩემს ბავშვობაში. იქ იყო გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, ჩვენი დიდი წინაპრის ლექსები. ბავშვობაში სულ ვფიქრობდი, ნეტა, ოდესმე მეც თუ დავწერ ისეთ ლექსს, ამ კალენდარში რომ შეიტანენ-მეთქი. ამ 15-20 წლის წინ რუსთაველზე მოვდივარ და ერთი ახლობელი შემხვდა: ირაკლი, ბიჭო, აგერ, „კვირის პალიტრის“ კალენდარი ვიყიდე, გადავშალე და მუხრან მაჭავარიანის ლექსის გვერდით შენი ლექსები არ არისო? ძალინ გამიხარდა. ვნახე ჩემი ლექსები, რომლებსაც ბეჭდავდა სა-მრეკლო, როცა კომუნისტები აღარ იყვნენ, ეს ლექსები იყო: „ნი-ნონმინდა“, „ნატვრა“. ასევე „ნათელი“:

„მოსალამოვდა თებერვლის თქეშმა,
ქუჩებში იწყო მოთქმა-თარეში,
უცებ გავცოცხლდი და მომენატრე,
რომ ჩამეხედა შენთვის თვალებში...“

ხელის ცეცებით გეძებდი ბნელში,
 ქარი და ყინვა ძვლებში მატანდა,
 მღეროდი ცემში, მოთქვამდი ჩემში,
 და ვილაც ჩემში ტკბილად გხატავდა,
 მერე...

უკუნიგანათდა ლამე,
 აყვავდა ირგვლივ ვარდი და ია,
 თვალი ხარ ჩემი, სული ხარ ჩემი,
 ყველაფერს შენი სახელი ჰქვია“ - ესეც სიყვარული!
 - ბატონო ირაკლი, ლექსეპის გარდა დღიურებად თუ ინახავთ თქვე-
 ნი დროის ისტორიას?

„ფოტოლექსი“ როცა დაიბეჭდა, მაშინვე დიდი გამოხმაურება მო-
 ჰყავა ამას. პრესიდენტ გამსახურდიას რომ წაუკითხავს, უთქვამს,
 ირაკლის გადაეცით, აქ ვინ ვინ არის, ყველაფერი ჩამოარაკრაკოსო.
 მართლაც, ვინ ვინ იყო, დავწერე ეს ყველაფერი. ეს ლექსიბევრგან
 დაიბეჭდა. რეზო სირაძის 75 წლის იუბილე როცა იყო, ისტორიკოს-
 მა ვახტანგ გურულმა დამირეკა: ჩვენ ახლა შენი საყვარელი ლექ-
 ტორის რეზო სირაძის კრებულს ვცემთ და მოგვეცი ნება, ამ კრე-
 ბულში შენი ლექსიც მივამატოთო. რას ამბობთ, ბატონო ვახტანგ,
 რეზო ჩემი უსაყვარლესი ლექტორი იყო, მის ხელში გავიზარდე-
 მეთქი, - ვუთხარი. მერე წაუკითხავს ეს ყველას. როსტომ ჩემიძე
 წერს თავის უურნალში - „ჩვენს მზერლობაში“. კრებული მთავრდება
 ირაკლი ვაშაყმაძის „ფოტოლექსით“ და კარგი იქნება, თუ ჩვენი
 ირაკლი კომენტარებს გააკეთებს და მერე ცალკე ბროშურადაც გა-
 მოიცემაო. დამადგნენ თავზე: დაწერე და დაწერეო“. მეც დავინყე:
 „გახსოვთ, ძმებო ბალი, უნივერსიტეტის...“ მიდის ლექსი და თითო
 სტრიქონი არის ახლა უკვე ჩვენს დიდებულ პოეტზე. ახლა მე დღი-
 ურებს კი არა ვწერ, პატარ-პატარა ფოტოები დავარქვი, წარსულის
 ფოტოსურათები. მემუარული ხასიათისაა ეს ყველაფერი. ვწერ და
 50-მდე ავიდა უკვე. ასე ჩვენი უნივერსიტეტელები, დიდებული
 პროფესორ-მასწავლებლები და ყველანი მყავს აღწერილი.

- არ შეიძლება არ გვითხოთ უურნალი „არავის“ თაობაზე? ამ
 შემთხვევაში, გთხოვთ შეაფასოთ არა როგორც სარედაქციო საბჭოს
 წევრმა, არამედ როგორც შემოქმედმა და მკითხველმა. რამდენად მარ-
 თებულად მიგაჩნიათ ლიტერატურული, საზოგადოებრივი, სამეცნირო-
 პოპულარული უურნალის დაბადება საუნივერსიტეტო სივრცეში?

ახლა, როცა ეს უურნალი ავიღე ხელში, თითქოს, ტკივილი მეჭირა სრულიად საქართველოსი. იმიტომ, რომ აქ ბევრი პრობლემაა, ბევრი ტკივილია, რომელიც უურნალიდან იღვრება. მე ყველას ვუთხარი - ბატონ ემზარ კვიტაიშვილს, მურმან ჯგუბურიას, ჯარჯი ფხოველს, ზაურ მალაშხიას, გურამ პეტრიაშვილს, კობა არაბულს, რომ ამ უურნალს სჭირდება ჩვენი თანადგომა, დიდებულ უურნალში ამ მხარის იმდენი სიყვარულია ჩადებული! ეს არის ჩვენი დიდებული ისტორიის ფესვები ამ მხარეში გადგმული. უურნალს ჭირდება თითოეული ქართველის მოფერება. თითოეულმა ქართველმა უნდა აიღოს ხელში ეს უურნალი, რომ გაითავისოს ის ტკივილი, რომელიც სრულიად საქართველოს და ჩვენს ამ კუთხეს გააჩნია. ჩემს უნივერსიტეტს, ჩვენს უნივერსიტეტს ვეძახი მესხეთის უნივერსიტეტს, სამხრეთ საქართველოს, იქ მყოფი ადამიანები მეცინოვნებად უდგანან. ხმალამოწვდილი დარაჯობენ ქართულ სულიერებას. ცოტა წიგნური გამომივიდა, მაგრამ ასე ვფიქრობ. ემზარ კვიტაიშვილმა და სხვებმაც აღნიშნეს, რომ დიდებული უურნალიათ. „არავი“ არის მოვლენა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. უნივერსიტეტობას ყველა იჩემებს, მაგრამ დედაუნივერსიტეტი ერთია. უურნალი მისი შვილობილის წიაღში იშვა. მე უნიგნური არ გახლავართ, ყველა უნივერსიტეტელი მეგობარი თუ მწერალი აღფრთოვანებულია უურნალის დონით. ასეთი ამბავი მოხდა, როცა გაზეთები მიუტანეს ბალზაკს, უურნალ-გაზეთები, მან თქვა: დრო მოვა და უურნალიზმი კაცობრიობის მტერი იქნებაო. მართლაც, ახლა რომ უურნალ-გაზეთები გამოდის, ეს მტერი კი არა, აღბათ, მესაფლავეა კაცობრიობისა. ამ დროს არსებობს, ისეთი უურნალი და გაზეთი, რომელიც ემსახურება ქართველი კაცის სულიერების გამშვენიერებას, გაღვიძებას იმ გრძნობისას, რასაც ჰქვია სამშობლოს სიყვარული. ამ ამოცანას ხართ თქვენ ასე შეჭიდებული, უფრო სწორად, ამას ემსახურებით და შემოქმედებით წარმატებებს უურნალის სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს, მის მეთაურს და თანამებრძოლებს.

- დიდი მადლობა ასეთი შეფასებისთვის. ჩვენი საუბარი დასასრულისკენ მიდის. კიდევ ერთხელ გილოცავთ 70 წლის იუბილეს. მამულიშვილისგან, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები:

„მჯერა, კვლავ შემძრავს,
მომეახლება მწვერვალზე ასვლის,
აღმაფრენის,
აღმასვლის უინი.

მე ველი იმ ნამს...”, ჩვენი მკითხველი დაელოდება ახალ ლექსებს. ხომ არ დაამატებდით რამეს ჩვენს საუბარს?

უნივერსიტეტის სტუდენტები რომ გავხდით, გაოცებულები დავრჩით ერთი ფაქტით. მივუსწარით უნივერსიტეტის დამაარსებლებს - ბატონ შალვა ნუცუბიძეს, აკაკი შანიძეს, სიმონ ყაუხეჩიშვილს, მიხეილ ზანდუკელს. მე და კობა არაბული პირველსავე დღეს დავმეგობრდით, მე და ხევსური არაბული, ახლა უკვე ცნობილი საზოგადო მოღვაწე და დიდი მეგობარი ჩვენი, პოეტი და სცენარისტი. უნივერსიტეტში მისვლის პირველი დღეა. შემობრძანდნენ უნივერსიტეტის დამაარსებელები. მოდიან და ქულის მოხდით მთელ სტუდენტებს ესალმებიან. ჩვენ გაოცებულები დავრჩით. ასეთი თავმდაბლობის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს ვეჯიბრებოდით თავმდაბლობაში. როგორ უნდა მოვცეცულიყოთ, ეს თავმდაბლობა ახლაც მიკვირს! ჩვენ ვსაუბრობდით პოეზიაზე. პოეზიას ხომ ისეთი სასწაულები შეუძლია. მურმან ჯგუბურიას ერთი სტრიქონი გამომრჩა. ასეთ რამეს ბრძანებს მურმანი: „იმდენ ხანს იცოცხლა ცხონებულმა ბაბუაჩემმა, ბოლოს შეგვეშინდა, ვაითუ, აღარ მოკვდესო“. ამ ნათქვამს რა ფასი აქვს, კარგად მოგეხსენებათ. თავმდაბლობის კიდევ ერთ მაგალითი მახსენდება. ბატონმა სიმონ ყაუხეჩიშვილმა მიაწოდა სანდო ინფორმაცია ბატონ შალვა ნუცუბიძეს ფსევდოდიონისე არეოპაგელისა და და პეტრე იბერის იდენტობაზე. მერე ბატონი სიმონი დაიჭირეს. ამ მოსაზრების მიწოდების შემდეგ ენთუზიაზმი გაუჩნდა ბატონ შალვას და გაჩნდაპონიგმანისა და შალვა ნუცუბიძის ცნობილი თეორიაც. მე და ბატონი კობა არაბული ვეკითხებით ბატონ სიმონს: ბატონონ სიმონ, ფსევდოდიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის შესახებ რას გვეტყვით? - შვილებო მე დღეს ამ საკითხისათვის მზად არა ვარ და და მომდევნო ლექციაზე გეტყვით, მოვემზადებიო, - გვიპასუხა. ახლანდელ დროში უმეცრება ზეობს, ერთი სურვილი აქვთ ამ უნიგნურებს, შეცვივდნენ პარლამენტში და რა ხდება?! ჩვენს დროს უნივერსიტეტში ასე რომ იქცევა უნივერსიტეტის დამაარსებელი, ბუმბერაზი მეცნიერი ამბობს, რომ ის არ არის მზად დღეს, რაღაც საკითხზე გიპასუხოს და უნდა მოვემზადოო. ამ ხალხს ყველაფერზე შეუძლია ლაპარაკი, მაგრამ არაფერი რომ არ იცან?! ეს იყო ჩვენთვის დიდი გაკვეთილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, სულ წიგნებით ვიყავით გატაცებულები, რომ უნივერსიტეტის სახელი არ შეგვერცხვინა. მე სხვა თაობის შვილი ვარ, სხვა თაობიდან მოვდივართ. ჩვენ, მაგალითად, ბებიას და ბაბუას ფეხებს ვპან-

დით და მერე ზამთარში ფეხებში შევუწვებოდით ხოლმე, სიცივე რომ არ ეგრძნოთ. ჩემი და ბებიას შეუწვებოდა, მე ჩემს ბაბუას. ასეთი ტრადიცია იყო და მე ამაზე მოთხოვბა დავბეჭდე. ქალბა-ტონმა დოდო წივნივაძემ დამიბეჭდა „ბებია და შვილიშვილი“ უნდა ისწავლებოდესო სკოლებშიო. ჩვენ ასე ვღებულობდით მაგალითებს ჩვენი დიდი უნივერსიტეტის დიდებული პროფესორებისაგან და მიკვირს ეს ყველაფერი ახლა. თუ რიდი, თუ მოკრძალება არა აქვს ადამიანს და, მით უმეტეს, უნივერსიტეტებს, ძალიან ცუდადაა მაშინ ყველაფერი. ადრე თეთრისა და შავის გარჩევა იცოდნენ, მე-19 საუკუნის საქართველოში, სადაც წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ძალიან ცოტა იყო. მაგრამ იყო ეკლესია და ტრიალებდა მადლი, ძველთაძეველი ნარსულიდან მომდინარე. მე-19 საუკუნის სამოციან წლებში ნიკო ნიკოლაძემ და ახალგაზრდებმა მოილაპარაკეს, რომ ჩვენ ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი, კიდევ ერთს (წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას) ვერ გავუძღვებითო. აგერ, დუშეთში მომრიგებელ-მოსამართლედ არის ილია ჭავჭავაძე. ის არის კაცი, რომელიც ამას გააკეთებსო. სუთჯერ ააკითხეს ილია ჭავჭავაძეს, ჩამოიყანეს ძალით ეს ჩვენი, ახლა უკვე წმინდა ილია მართალი და მართლაც, მოხდა მერე სასწაული, გაიღვიძა ეროვნულმა მოძრაობამ, ეროვნულმა თვითშეგნებამ. ახლა, დღევახდელ დღეს, რომელი იტყვის, რომ მე ამ საქმის სპეციალისტი არა ვარ, აგერ არის კაცი და მოდი, ამას დავეკითხოთ, როგორი უნდა იყოს ლექსი, როგორ უნდა აღიზარდოს ეროვნული სულისკვეთებით ახალგაზრდა, რომელი იტყვის? ერთხელ, ტელევიზორი ჩავრთე და შევესწარი: აქეთ დაუმწკრივებიათ თითქმის შიშველი ქალები, იქით კაცები. ჰოდა, მიღის მსჯელობა, აი, რაზე: მარჯვენა დუნდულს კორექციას თუ გავუკეთებთ, 16-17 წლის გოგოს დუნდულივით იქნება, ახლა მარცხენა დუნდულს და... ა. შ. ვიფიქრე, სადა ვარ ახლა, ეს მართლა საქართველოა, თუ სიზმარია-მეთქი. წამოვედი და დავწერე ლექსი. მოვიდა ჩემთან გიზო ზარნაძე და მას წავუკითხე. მითხრა, სასწრაფოდ დავბეჭდოთო. დაურეკა თამაზ წივნივაძეს. იმანაც მითხრა, უნდა დაიბეჭდოსო, ვახტანგ ხარჩილავამ (დიდებული პოეტი, პუბლიცისტ) დამირეკა, წავუკითხე, მითხრა: ირაკლი ვაშავმაძე, აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს ეს ლექსიო. წავუკითხე ჩემს მოძღვარსაც, მამა დავითს, კურთხევა მომცა დასაბეჭდად. სუთმა გაზეთმა მაინც დაბეჭდა. მაგრამ ახლა მრცხვენა. ვახტანგ ხარჩილავამ შეუცვალა სათაური და დაარქეა - „სად ხარ, ჩემო საქართველო“.

ახლა რომ ვუკვირდები დღევანდელ საქართველოს, ჩვენ რომ დიდებული მამულიშვილები გვზრდიდნენ, გვაფრთიანებდნენ და იყო ქართული სინამდვილე, ახლა ეს ქართული სინამდვილე თითო-ოროლა და თითზე ჩამოსათვლელი მამულიშვილების იმედადლა იქმნება. ეს უშველის ამ გაუბედურებულ ქვეყანას?! ამ კითხვებისთვის მე პასუხი ვერ გამიცია.

ღმერთმა ინება და მე ლიტერატურულ ინსტიტუტშიც ვმუშაობდი. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, მუშაობა დავიწყე სატელევიზიო ფილმების სტუდიაშიც და თითქმის ყველა დიდ მამულიშვილს შევხვდი - ირაკლი აბაშიძეს, ლადო გუდიაშვილის ნაჩუქარი ორი სურათი მაქვს. როგორი ცხოვრების წესით ცხოვრობდა ეს დიდდებული მამულიშვილი? პირველ კურსზე ვარ და ბატონმა აკაკი ურუშაძემ მითხრა: ბარათია, შვილო, აკაკი შანიძესთან მისატანი და აგერ ცხოვრობს და მიუტანეო. მივდივარ აკაკი შანიძესთან სახლში. ოფლში ავცურდი. ზარი მივეცი გაიღო კარი, გამოვიდა ბატონი აკაკი და მკითხა: რამ შეგანუხაო. ბატონმა აკაკი ურუშაძემ გამომგზავნა თქვენთან-მეთქი. - შემობრძანდიო, მითხრა. ვაკვირდები ახლა, სად ცხოვრობს აკაკი შანიძე - პარკეტი ზოგან აცვენილი, შპალერს რომ ვეძახით, თითქმის კედელზე არც იყო. ბატონმა მერაბმა იცის, როგორ ცხოვრობდნენ შანიძეები. მაგიდაზე ეწყო წიგნები, წიგნები, წიგნები. რომ დავჯექი. სადა ვარ, რა ხდება აქ, ასეთ მდგომარეობაში როგორ შეიძლება ცხოვრობდეს პროფესორი. სულ სხვნაირად წარმომედგინა ჩემი ჭყუით. ლადო გუდიაშვილთან რომ მივედით გადაღებაზე, გაოცებული დავრჩი ბატონი ლადოს თავმდაბლობით. აღმოჩნდა გიორგი ლეონიძისა და ტიციანის მეგობარი და პოეზიაზე რომ დავუწყე საუბარი, ისე დამიმეგობრდა, მთელი გადამღები ჯგუფიდან სურათი არ უჩუქებია არავისთვის, მხოლოდ მე მაჩუქა ორი სურათი წარწერით: „ჩემს ურწმეს მეგობარს ირაკლი ვაშაყმაძეს სიყვარულით და პატივისცემით, ლადო გუდიაშვილი“. ასეთი თავმდაბლობა, მხოლოდ სულიერების ზეობა იყო ამ ადამიანებში. პარკეტი აცვენილი, შპალერი ჩამოხეული, გახეული თუ გახუნებული - აი, ასეთი სინამდვილით ცხოვრობდნენ ჩვენი დიდებული მამულიშვილები.

კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს. გისურვებთ მხნეობას, ღვთის შემნეობას. ჩვენ კი ვისურვებდით, აგვსრულებოდეს თქვენი ნატვრა: „დაგვბადე, ღმერთო, კარგ ყმებად და სავსე კაცებად!..“

ინტერვიუერი მაკა კაჭკაჭიშვილი - ბერიძე

გოგია

ნინო ალადაშვილი



დაგინერა ლექსი

დამიწერე კიდევ ერთი ლექსი,
შენი ფიქრი შემომევლოს ზღუდედ,
სიტყვა ტყვიად შემოიჭრას ჩემში
და ჩემს გულში გაიკეთოს ბუდე.

გამაპრცხინე დღეს ისეთი ლექსით,
რომ შეშურდეს ჩემი თვითონ მზესაც,
სიხარულის ნაპერწკლების ცეცხლი
ჩემს თვალებში აელვარდეს დღესაც.

დამიწერე, დამიწერე ლექსი!
ერთი, ორი, იყოს თუნდაც სამი,
დამიწერე, სანამ გული გერჩის,
სანამ გრძნობას მორევია ჟამი.

დამიწერე: „სიცოცხლე ხარ, ჩემო!“
„მე უშენოდ არაფერი მინდა“,
არ ვინანებ, რომ შენს ლექსში მერგო
დავიმკვიდრო უბინაომ ბინა.

2011 წელი

- 58 -

„*არადა*“ 2016, 11

სინაცხლის ტრიოლეტი

ისევ ვიხსენებ მოკვეცილ თმას და მენატრება
ასე უგულოდ, უმოწყალოდ გამეტებული,
ხვალ მასთან ერთად სინანულიც დამეკარგება,
ისევ ვიხსენებ მოკვეცილ თმას და მენატრება.

მიმოფანტული სადღაც მტვერში, ლამე დარდებად
ხსოვნას ინახავს ის ჩემს სხეულს მოცილებული,
ისევ ვიხსენებ მოკვეცილ თმას და მენატრება
ასე უგულოდ, უმოწყალოდ გამეტებული.

2012 წელი

გაზაფხულს მარქევ

მე მიყვარს, როცა გაზაფხულს მარქევ,
ვიცინი და მას ასე ვიფერებ:
აპრილს კვირტების სინორჩეს ვართმევ,
მაისის - ვარდის სურნელს ვიჩემებ.

შენ ამბობ, როგორ მეცვლება ფერი
როცა ვსესხულობ მარტისგან სახეს,
როგორ ჩაგესმის კისკისი ჩემი,
როცა იგონებ ჩემს ახალ სახელს.

აი, ილევა ეს გაზაფხული,
ჩემი ცელქობაც დასრულდეს იქნებ,
მოდი, დამარქვი ჭრელი ზაფხული
და მეც - პეპელა მინდორში ვიფრენ!

ხელი შემახე

ხელი შემახე... გაბედე და ხელი შემახე,
ვხედავ, ხელები როგორ გითრთის, როგორ ცახცახებს,
თითის წვერებში გტყივა სივრცე დღეს შენ ჩემამდე
და გულისცემით ზომავ მანძილს, ძნელად დასარღვევს.

ხელი შემახე, თორემ ძარღვებს, ლურჯად დაფეთქილს,
ხელის ზურგზე რომ დაგტოტვია უწყვეტ მდინარედ,
შენი სურვილი დააქვს სისხლით ურცხვად დაბერილს
და სადმე ვეღარ შეაკავებს ვნებას, მძინარეს.

ხელი შემახე... რალას უცდი?! ხელი შემახე,
ხვალ იქნებ დრომ და ულმობელმა ბედმა გაგვყაროს,
ვიცი, ეს მე ვარ ახლა შენში თხემით ტერფამდე,
ერთი შეხება... და მოვწყდებით მყისვე სამყაროს.

2012 წელი

დილა

ისევ გათენდა...
ღია სარქმელთან
დილა გაჩერდა,
სინათლით სავსე,
როცა წამწამებს მზისფერს აფენდა,
რითმად აესხა ფიქრები წამსვე.

ხეები მოჩანს,
სარქმლიდან შორად,
ნიავი ოდნავ
ათრთოლებს ფოთლებს,
გაიშრიალეს ვერხვებმა მორცხვად,
მიუალერსეს ალვის ხის ტოტებს.

ჯერ ცოტა თბილი,
ქარვისგან თლილი,
მზემ თითო სხივი
დაუშვა მიწას,
ბაბუანვერა თითებით, წვრილით,
ოქროსფერ სხივთა გვირგვინებს იწნავს.

ბალახს (ეტყობა
ვეღარ ეკეროდა)
ნამი ღეროდან
გადმოსცდა უცებ,
ააბრჭყვიალა ცვარმა მდელო და
ჩამოედვარა გვირილის ფურცლებს.

ჩიტი ჭიკიკებს...
სატრაფოს იპირებს,
უხმობს გზისპირზე,
პატარა ბაღში,
მიჯნურს ჭიკიკით გადაიბირებს,
რა გააჩერებს სიყვარულაშლილს?!

2013 წელი

ნარცერები ჩამოგლილი ნაგრევებიდან

ვაშენებ - ვანგრევ
ისევ ვაშენებ - ვანგრევ.
ვაშენებ დიდხანს, სიყვარულით,
ვანგრევ უეცრად, დაუნანებლად.
ვაშენებ თბილი გულით,
ვანგრევ ცივი ხელებით.
ვაშენებ იმედით, რომ დროს გაუძლებს ჩემი შენობა,
ვანგრევ ეჭვით, როცა ვხედავ, დასანგრევად განწირულია.
შემდეგ ისევ შენებას ვიწყებ,
კვლავ სიყვარულით,
კვლავ თბილი გულით,

კვლავ იმედით.

ვაშენებ, რომ კვლავ დავანგრიო.

უცნაურია, არ მბეზრდება შენება - ნგრევა,

არ მეზარება,

არ ვიღლები,

არ მენანება.

არ დასრულდება მშენებლობა,

სანამ იქნება მშენებელის გული და ხელი,

სანამ იქნება სიყვარული, იმედი, ეჭვი...

არ დასრულდება...

და მეც ისევ ვაშენებ - ვანგრევ.

იქნებ ამიტომ,

სწორედ ამიტომ,

მხოლოდ ამიტომ

არის ცხოვრება ასე ძლიერ საინტერესო

და სიკვდილი - უინტერესო.

საოცარია... რჩება მხოლოდ წარწერები ჩამოშლილი ნანგრევებიდან.

2012 წელი

ნოემბრის პოლოს

ნოემბრის ბოლოს,

შემოდგომის ყოველ დასასრულს

მე თითქოს ვკვდები

და ვემსგავსები

გუმბათმოშლილ, მიტოვებულ,

დაბზარულ ტაძარს,

თვალებში ქრება მზის სხივების

მოცამული ათინათები,

ჩამოლამებულ უპეებში

ისადგურებს ჩვეული სევდა,

მერე გუგებიც ჩაბნელდება

მინავლებულ ნაკვერჩლებივით,

ბაგეს დაფარავს პირმცინარი
ყვავილების ნაცვლად ხავსები,
ფერად-ფერადი,
მოფარფატე ფოთლებივით
მცვივა ფიქრები,
შემორჩენილი იმედების ნაფლეთებივით...
მეც ვიძარცვები.

ნოემბრის ბოლოს,
შემოდგომის ყოველ დასასრულს
თითქოს ვმთავრდები
და მარტობის შიშით ველი
უსაშველო, უმზეო დღეებს,
ხმელ ტოტებივით ჩამოყრილან
უნაყოფო ჩემი ხელები,
ველარ ვგრძნობ მკლავზე
მტკივან ძარღვებს, დაწყვეტილ მყესებს,
ფეხებში ქარი მიწას მაცლის,
მომიშიშვლებს დამსხვრეულ ფესვებს,
ჩემი სული კი ემსგავსება
აოხრებულ, ნასუფრალ მინდორს.

ნოემბრის ბოლოს,
შემოდგომის ყოველ დასასრულს
მე თითქოს ვკვდები
და ვრჩები ასე,
შემოდგომის ყვითელ ნეშტად...
გაზაფხულამდე.

2012 წელი

ნოემბერია...

და ილევა შენთან ყოფნის თბილი დღეები,
მოვა ზამთარი მომლოდინე, თეთრი ხელებით...
დამისაკუთრებს,
მოვა, როდესაც მზე სხივებით
ვერ დაიცავს ტოტებს ავდრისგან,
როდესაც ფოთლებს ჩამოუყრის
ჩემი სახლის წინ ქარი ჭადრის ხეს.
ნოემბერია...

შიშით ვითვლი შენთან ყოფნის უდღეულ დღეებს,
დღეებს, რომელშიც ღმერთმა იცის,
არ ვყოფილვართ ერთად არასდროს,
რომ არ გვინახავს ჩვენს სახეზე
მთვარის შუქის სიმკრთალე ღამით,
არც განთიადზე მზის სხივებით
ანთებული ჩვენი თვალები.

მე მაინც ვწუხვარ...
იწურება შენთან ყოფნის დღეები ჩუმად
და როცა ჭადარს ჩამოსწყდება
უსიცოცხლო, ბოლო ფოთოლი,
ფოთლების ნაცვლად ხის ტოტებზე
ჩამოვკიდებ ლექსებს - ჩვენს შვილებს,
ზოგჯერ ტკივილით, ზოგჯერ ლალად,
სიყვარულით დაბადებულებს.

მერე კი...
მერე ყოველ დილით მე შევხედავ ჭადრის ხის ტოტებს,
გამახსენდება ჩემს სიზმრებში ჩარჩენილი შენი ხელები.
ნოემბერია...

2013 წელი


პოვინი

ლევან ინაური

დაიბადა 1990 წელს ქალაქ თბილისში. აქვე მიიღო საშუალო განათლება. 2012 წელს დაამ-თავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გერმანიისტიკის ბაკალავრის ხარისხით. 2012-2013 წლებში სწავლიბდა გერმანიაში, კერძოდ კი მიუნხენში.

2014 წელს სწავლა განაგრძო ილიას უნივერსიტეტში მაგისტრატურაში, ხოლო 2016 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის (ქვედარგი შედარებითი ლიტერატურული) სადაც პროგრამაზე.

ის აქტიურ ლიტერატურულ-აკადემიურ ცხოვრებას ეწევა. მისი კვლევის საგანია გერმა-ნიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლებში.



პოვინი საქართველოს

ფინალური დროება უტევს გრიგალს ნამთვრალევს, ლამე უცდის სიზმართან ცრემლით გადასველებას, ქართულ პოეზიაში მეტაფორებს რა დალევს, რომ დაადგეს საშველი მარად გაპირველებას.

მართლაც, ცეცხლი ვულკანებს გამეტებით ადნება, მყინვარიდან ვუყურებთ დახოცილებს მდუმარი, ასეთია მარადი ლექსით გამოქადნება, ასეთია ქართული პოეზიის სტუმარი.

ახლა უკან გახდევა გვიანი და ძნელია, გულში ჩნდება მცირედი სიბრალული ქალური, საქართველო მგოსანთა დიდი მასპინძელია და მით უფრო დიდია ხვედრი ტრიუმფალური. ზენა ნიჭით აღსავსე ჩვენში იცის მრავალი, ბალახი სულ ამოვა, რაც არ უნდა მოცელო, ასე ბუნებრივია ჩვენი გენი, მართალი, ასე მარადმწვანეა მთები უსამოსელო. უცხო ფერთა ასწლედმა მოიხვია ლაბადა, ბოდლერსაც კი ღალატობს უსუსური ეტცელი,

გალაკტიონ ტაბიძე ღმერთმა ჩვენში დაბადა
 და მის სულში აღმოჩნდა გენის გადმომცემელი.
 ჰოდა, ნელა ვლინდება გადამწყვეტი ეპოქა,
 ახლა გამოვლინდება პირველებში წამყვანი,
 ჩვენი ლეგენდარები მთელ თაობებს ეყოფა
 და კვლავ გადაირნევა ქართვლის დედის აკვანი.
 თავმომწონე ჩიტები მტრის მახეში გაება,
 რა ყოფილა ქართული პოეზიის ქარები!
 ჩვენი დაუვიწყარი რუსთაველის ლვთაება,
 ჩვენ კი შთამომავალი სიტყვის ჯადოქარები.
 გაიყინოს დინება და გაჩერდეს საათი,
 განმეორდეს ხელახლა ძლევაი საკვირველი,
 შეწყდეს დავა ამაზე, შეწყდეს ეს მასლაათი,
 ერთა პოეზიაში თუ ვინ არის პირველი!
 თავს დაატყდეს მსოფლიოს ლექსის კატასტროფები,
 ჩვენთა გაპირველებას უფალმა უმფარველოს
 და ჩვენც მწვანე ხიდეზე გულის თეთრი სტროფები
 ბოლო ხმაზე ვუმლეროთ პოეტურ საქართველოს!

პოეტის ხეაზე

ჩამოქცეულ წვიმების მე მოვყევი თავსსხმაში,
 ვიცი, საქართველოსთვის რომ სიკვდილი მომელის,
 მე ნამდვილი პოეტის ხმას გავარჩევ ას ხმაში
 და გულს მოეფხანება სიტყვა დაუცხრომელის.
 ადრე ლერთმა წერილი ანგელოზებს მისწერა,
 ყოფილიყო ივერი პირველი და ფარული,
 ჩვენი პირველობისაც ასეა ბედისწერა,
 სპეტაკ თოვლით რომ ვიყოთ მუდამ გადაფარული.
 ტანჯულ აღმოსავლეთში სისხლისფერმა ინათა,
 გადიარა ზამთარმა თოვლით, წვიმით თუ ქარით,
 როცა მზიან სიწმინდის და ბროლისფერ მინათა
 წყლიან გადმომსკდარებას მიეგება მუქარით.
 მაშინ როგორ გვაჯობა მეოცნებე პარიზმა,
 ან და როგორ შეჩერდა უნი გამოულევი,
 თუ დაცხრა და დანებდა ჩვენი მღვრიე ქარიზმა

და მჩქეფარე მდინარე გახდა ნაკადულევი?!
 როცა ქართლის მგოსანი გულში ტყვიას დაიხლის,
 გამოდგება გვიანი გაღვიძება მძინარე,
 მაშ, ჩავბეროთ ჩვენს რითმებს მქროლვარება ქარიშხლის,
 რომ დღეს პოეზიაში არ დაგვიშრეს მდინარე!
 ჩვენ გზადაგზა მივანგრევთ სისხლიანი ომებით
 წინ აღმართულ გალავნებს და წარმავალ მტრის ხანებს,
 ჰა, შეხედეთ როგორი ძარღვით და მონდომებით
 გენი აფეთქებული ახალ ხმაზე მრისხანებს.
 გთხოვთ, მომეცით ნერვების საბურველი თრიაქი,
 რომ მომესმას სიკვდილი რეკვიემის ოპერად,
 ბოლო იყოს სიცოცხლის შფოთვა და ფორიაქი,
 თუ სამშობლოს მიაკლდეს ჩემი ძალის მობერვა.
 მთვარე ერთგულ დარაჯად თეთრ ლამეებს ათენებს,
 სხვათა რყეულ ციხეებს საძირკველი ეცლება,
 გაუმარჯოს მანავებს და ფერუმკრთალ ატენებს!
 სადაც ვნება აანთეს სიყვარულის ცეცხლებმა.
 და მეც დამწვარ-დაფერფლილს გულის წმინდა სიტყვებით,
 სულ მექნება ქრისტესთან გაბრწყინების ვედრება,
 მაისივით ფეთქილი და სიკეთის ტყვიებით
 შორეულ გზას შემორჩეს მტრების შემოხვედრება.
 ჰოდა, გვლოცე უფალო, დაგვიფარე ყოველთვის,
 დაგვანახე შორიდან გზები სარიდებელი,
 საქართველოს დიდება უკვდავებას მოელტვის
 და ჩვენ მუდამ ვიქნებით შენი მადიდებელი!

მე დავარი ოცნებას ჩემსას

სიზმარი მაინც სიზმრადვე რჩება,
 როგორც ზაფხულის დღეები ინში,
 ოცნება მქონდა, ვხედავდი შვებას,
 ვხედავდი შვებას მე საქსოფონში.

ეშვება ცაზე სილურჯის ფარდა,
 ივნისი ებრძვის ნაცრისფერ ლაქებს,

მე მქონდა სხივიც სინანულს გარდა
და ჰქონდათ ღელვა მაღალ ქალაქებს.

მე დავეწიე ოცნებას ჩემსას
და მონატრებას ქართული მთების
და ნოსტალგიამ წვრილად დანემსა
მწუხარე გული ცეცხლად ანთების.

ნეტავი დიდხანს გასტანდეს წირვა,
რომ ეს ლექსები ბოლომდე ვწერო,
მოვიდა დამე, მოვიდა წვიმა,
მოვიდა ჟამი საბედისწერო.

მარტო შოკენთან

გაარღვევს სმენას, მუსიკის ჰანგი
და გულის ფსკერზე სიმშვიდეს მოფენს,
შენ მოხვალ ჩემთან გზად დანაკარგი,
როცა მე მარტო მოვუსმენ შოპენს.

გამოიზამთრებს ვაება შენი,
იმ ადრინდელი ეკლით დაწნული,
და ჩემს გრძნობაში გაჩნდება სენი,
ვედრება, გლოვა და სინანული.

მე მივალ ხესთან, დავითვლი ტოტებს
და ქარი მიწას ფოთლებით მოფენს,
დაუკრავს წვიმა ნოემბრის ნოტებს
და ისევ მარტო მოვუსმენ შოპენს.

გუშინ გათენდა, მე დაღლილი ავდექი ფიქრით,
ნაპოვნი მარცხით დაკარგული ვქექავდი ნაგავს,
ჩემი ცხოვრება წრეგადასულ იმედებსა ჰგავს
და განწყობები იშტამპება სიცრუის გრიფით.

მე სულ ვცდილობდი, გამეხედა სამყაროს იქით,
მე სულ ველოდი, რომ მეტყოდი „მალე მე წავალ“,
მაგრამ ნერვები იგონებდნენ ათასგვარ წამალს,
რათა ურნმუნოდ დამეცალა მოთმენა ჭიქით.

ქარი მტვრისაგან შეფოთლილი ქუჩაში მიდის,
მე მტვერს ვამდიდრებ და ვაღვიძებ უგვანო ფავნებს,
ურნმუნოება ღმერთს კი არა, თავად მე მავნებს,
თუ რეზონანსი იჩურჩულებს მარტოსულ ხიდის.

დილა დაღამდა, მცირე შევება ვპოვე ნაგავში
და ინტელექტი ღმერთის არსის მიზეზებს ეძებს,
განგება ხოცავს სიმფონიურ კაეშნის თერძებს,
ქარი კი მაინც ნერვებისგან აშლილი მიდის.

31.05.2015

დაიძრა საზღვრების მაღალი კოლონა
და ქალი გადამჭკნარ გვირილებს არიგებს,
ტრიუმფი იძახის მომავლის ბოლოდან,
რომელიც მიიღებს უბრალო ტარიგებს.
გაქანდა ბზარები ნერვული ტაძარის,
ვჩერდები, ქანაობს აკორდი მინაზე,
მინდოდა მუსიკა, მუსიკა არ არის,
კლავიშებს შემორჩა ბავშვური სინაზე.
და ახლა, როდესაც მე უკვე მივანგრევ
ბოლმათა ნაკადის შურიან ბილიკებს,
მიზანი ტანჯული ცრემლებში მინარევ
სახეცვლილ ეშმაკად ნერვებში ქილიკებს.

17.10.2015

- 69 -

„არაია“ 2016, 11

როგორც პოეტი

ნებდება ჟინი და უკან იხევს,
კალამს ანებებს უღლელი ტორი,
მაგრამ უსიტყვოდ გადამღლელ შტრიხებს,
მე ვებრძვი, როგორც ლიტერატორი.

ჯერაც უფხიზლო ნაბახუსევთა,
წარმოსახვაში გსურდა ნობელი,
მიდიხარ შენ და ფეხაურევლად,
მოგდევს ქარბუქი დაუნდობელი.

ჟინი და ლხინი უშლელი კვალის,
ჩამოქცეული რჩება მარადის,
რომ უსასოო ოცნება მთვრალი,
სალხინებელის გზამდე არ ადის.

და როგორც ტანად შებილწულ მეძავს,
სულიერ სატრფოდ მაინც არ ელი,
იმ ისტორიულ კიდეებს ლენავს,
და ვინჩი, ჯოტო და რაფაელი.

გადაებმება ჯაჭვს მოგონების,
სუნთქვაშეკრული მრავალი ხანი,
მე კი სიზმრების გამოგონების,
გამოვიზამთრებ, ვით თომას მანი.

ნაზი ფიქრები ჩვეულ ფერებით,
გამოეფინენ სხივსავსე მზეზე,
და მონიზებულ კადნიერებით,
მე წინ ვიდექი, როგორც სკორსეზე.

ნებდება ჟინი და უკან იხევს,
აქ ყოფნა ხდება მარიონეტი,
მაგრამ უსიტყვოდ გადამღლელ შტრიხებს
მე კალმით ვებრძვი, როგორც პოეტი.

პედის ციცაშვილი

კვირა ლწებოდა დილის წირვებით
და უსასრულო ცის გაკვირვებით,
ჰაერს ნიღბავდა უჟამო ქარი,
ზღვა იყო წყნარი.

შენ მიდიოდი იქით ოცნებით,
ცხოვრებისეულ გამოცანებით,
თუმც გულს გიკლვდა კივილი ქორის,
ზღვა დგას ჩვენ შორის.

მე მწვავს შიგნიდან ლექსის დემონი,
სხვა ყველაფერი ჩანს უგემონი,
ამ გაგიჟებას დანებდა ყველა,
ალარ ჩანს შველა!

ჩემი მიზნების მთელი სიბრაზე,
ავადმყოფურად აკრეს აბრაზე,
და ახლა ჩემზე გიჟიც კი ითქმის,
გავთავდი თითქმის!

სახელი მე არ მეწვევა მალე
და უკვე ძლიერ გადავილალე,
მოემტვრა ზეცას მძიმე ფეხები,
მე ღმერთს ვეხები.

დაუშრეტელი კალმის მელნობა
და პოეტური მოუთმენლობა,
მტანვაგს და თესავს ლექსების ნერგებს.
რა ვუყო ნერვებს?!

სოცეტი 2

და სატანჯველად განწირული მწვანე ბალახი თვისი გახმობით ზამთარ-ზაფხულს მუდამ აერთებს, წევიმით გავსილი, განბანილი და შენალახი ვწება ამაღლებს წყლის და მიწის დიდ შენაერთებს.

ასე ყველაში დანახული კარგი და ცუდი, ქეშმარიტებას ამინანქრებს სამყაროს რკალზე, და როგორც შენს გულს ჩემი ტროფობის ახურავს ქუდი, ისე გიტაცებს ჩემი დაწვა შორეულ ალზე.

ცხადდება წამი, როგორც აწმყო გადაღლილ მიზნით, კონტრასტთა მთაზე ნაცარდება რწმენის კოცონი ანთებას ლამობს და ნებდება სიმღერა სიზმრით, ამდენად კარგი, მაგრამ შენთვის არ მოსაწონი.

ფხიზელი ცაა გატაცების ზღაპრად და ნებად, და შენ ოცნებებს აქცევს ნაპირს გაყრილ ქვებად.

სოცეტი 7

შენზე ფიქრებში მიირნევა ღამეთა კრება და ნაავდრალი მსგავსებები ცვივიან ქარში, წინ ჩემი სული მიუძღვება დღეებს და ქრება, ვით ნოემბერში მოწანებულე დეკემბრის მარში.

წვიმის ტბასავით მოეგუბა ძარღვებში განცდა, დიდი ხნის ნატვრა დაქანცული მოექცა წრეში, ეს წარმოსახვა სხვა შორეულ სამყაროს გაცდა და კვლავ დაბრუნდა სიყვარულის ძველ სიმწარეში.

ახლა ძვირფასო, ჩემს გულისთქმას ცეცხლი ედება, სველია სახე გადამდნარი თოვლით მთლიანად,

ასე აღმოჩნდა ეს ოცნება შემოქმედება,
რომ მონატრება ქარის ნოტმა შეაფრთიანა .

ჩემი სხეულის მოლანდება დგას ნატვრის ხესთან
და ჩემი ნატვრა-გამჭვირვალე შენს თეთრ სახესთან.

კვლავ ახალი შენ ღიმილის
გაგეფურჩქნა კვირტი,
მოგეამა შუქი დილის
და მზეს დააკვირდი.

ჩამქრალ გულში განალალმა
გამომიშრე ნესტი
და დადექი ისე მაღლა,
როგორც ევერესტი.

პოლიტიკური პროცესი

მალხაზ ლომსაძე

ზაფხულის ერთი დღე

ზურაბ ჯანდიერს დილით ადრე გაეღვიძა. 2005 წლის 13 ივნისი იდგა. ფეხზე წამოდგა, ფანჯარა გამოაღო და მზის სხივებს ოთახ-ისაკენ გზა გაუხსნა. ბინაში ზაფხულის სუნი დატრიალდა. ზურაბი დაღლილობას გრძნობდა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად გამოიძინა. გული გამაღებით უცემდა, თითქმის ამოვარდნას ლამობდა. ლოჯიიდან წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ხელისგულივით მოჩანდა. ფანჯრიდან გადაიხედა და პირჯვარი გადაიწერა. არ უნდოდა სამსახურში წასვლა, მაგრამ პოლიციის აკადემიის ახლად დანიშნულ რექტორთან კონფლიქტს ერიდებოდა. ის ყოველთვის გამოირჩეოდა სიმყაცრით ძველი თანამშრომლების მიმართ, ამიტომ სამსახურში წასვლა გადაწყვიტა. თავი მოიწესრიგა და ეზოში ჩავიდა. ეზო საგულდაგულოდ იყო დასუფთავებული. მეზობლებს ჯერ კიდევ ლრმად ეძინათ, თითქოს გაღვიძებას არ აპირებდნენ შუადლემდე. ავტომობილი აამუშავა და გეზი პოლიციის აკადემიისაკენ აიღო. ხასიათი გაფუჭებული ჰქონდა. ჯერ ერთი, აკადემიიდან დაითხოვეს მისი ახლო მეგობარი ნოდარ ბოლაშვილი, კაცი მეტად კეთილი და სამართლიანი, საქმის უბადლო მცოდნე. რექტორს უთქვამს, ჩვენი გუნდის წევრი არ ხარო. ასე მარტივად გადაწყვიტეს კაცის ბედი. მეორე მიზეზი, რამაც ასე წაუხდინა ხასიათი ის იყო, რომ დაიღუპა მისი მეგობარი რამაზ სიმონიშვილი, რომელიც ახალი ხელისუფლების ახლად დანიშნულმა რექტორმა სულ რაღაც ორი კვირის წინ დაითხოვა სამსახურიდან იმ მიზეზით, რომ სათანადო ინფორმაციებს არ აწვდიდა ხელმძღვანელობას, თუ ვინ ეწეოდა წარსულში მექრთამეობას აკადემიაში. არადა, შეხვეწნია რექტორს - ნუ გამიშვებთ სამსახურიდან, ორი შვილის მამა ვარ, ოჯახს ჩემი ხელფასის გარდა სხვა შემოსავალი არ აქვს და ჩემს კმაყოფაზეა ოჯახის ექვსვე წევრი - პენსიონერი მშობლები, მეუღლე და ორი შვილით. არ შეისმინა ეს მისი ვეზრება, მაინც დაითხოვეს სამსახურიდან. ოჯახი ულუკმაპუროდ დარჩა. რამაზი თავმოყვარე კაცი

იყო, მძიმედ აღიქვა მომხდარი, ძალიან განიცადა სამსახურის და-კარგვა, გულმა უმტყუნა და გადავიდა მარადიულ ცხოვრებაში.

ზურაბს იქ, სამსახურში, კაცი არ ეგულებოდა, ვისაც თავისუფ-ლად ესაუბრებოდა, ვისაც გაანდობდა გულისტკივილს.

აკადემიაში მისულმა, როგორც წესი, ავტომობილი გაჩერებაზე დააყენა და შენობაში შევიდა. ფოიეში თანამშრომელი შეხვდა, აკა-დემიის პრორექტორმა გიკითხაო, - გაფითრებულმა უთხრა. მაშინ ასე იყო, თუ ხელმძღვანელი პირი მოგიკითხავდა, ან დაწინაურება გელოდა, ან სამსახურიდან დაგითხოვდნენ. ჯანდიერი იმდენად პირდაპირი და სამართლიანი კაცი იყო, მისი დაწინაურება არავის მოუვიდოდა აზრად, ალბათ, სამსახურიდან მისი გათავისუფლება იყო დაგეგმილი.

აკადემიაში დამამთავრებელი კურსი სახელმწიფო გამოცდას აბ-არებდა კომისიას, რომლის ერთ-ერთი წევრი ზურაბი იყო. ამ კომი-სიის წევრი პრორექტორიც იყო და ზურაბმა იფიქრა, მასთან მაშინ გაისაუბრებდა აუდიტორიაში, როცა შეხვდებოდა.

გამოცდა დღის 10 საათზე დაიწყო. კომისიის წევრები მიუსხდნენ მაგიდებს, მოიმარჯვეს კალმები და უწყისები, სადაც უნდა ჩაეწე-რათ სტუდენტების შეფასებები. პრორექტორი ზურაბ ჯანდიერის გვერდით დაჯდა, მისი თვალებიდან ბოროტი განზრახვა იფრქვეო-და.

- ზურაბ, გამოცდის დასრულების შემდეგ ჩემთან შემოდი, კაბი-ნეტში, მინდა გაგესაუბრო, - უთხრა პრორექტორმა ჯანდიერს ისე, რომ მისთვის არც შეუხედავს.

- გასაგებია, - მოკლე პასუხი დაუბრუნა ჯანდიერმა.

ნეტა რა უნდა, ნუთუ, სათქმელი ადგილზე ვერ მითხრა?-ფიქრობდა იგი.

გამოცდა გრძელდებოდა და ყოველი საათი საუკუნედ ეჩვენებო-და.

ზურაბ ჯანდიერი ნიშნებს გაუცნობიერებლად, მექანიკურად წერდა, ერთი სტუდენტის პასუხიც არ მოუსმენია.

საღამოს ექვსი საათისათვის დამთავრდა გამოცდები. კომისია სავაჭმოდ სასადილოში შევიდა. ჯანდიერს არ უვასშმია, საამისოდ არც განწყობა და არც მადა ჰქონდა, უფრო სწორად ლუკმა არ გა-დაუვიდოდა ყელში, ვიდრე არ გაიგებდა, რა ჰქონდა ჩაფიქრებული პრორექტორს, რისთვის იბარებდა კაბინეტში.

ნახევარსაათში კომისია სასადილოდან დანაყრებული და კარგ ხასიათზე გამოვიდა, რაზეც მათი ხმამაღალი სიცილი მეტყველებდა. ჯანდიერი ეზოში იდგა, ნაძვის ჩრდილში ემალებოდა მზის სხივებს და პრორექტორის გამოძახებას განაჩენივით ელოდებოდა. საათს დახედა. შვიდი საათი სრულდებოდა, მზე დასავლეთისკენ გადასულიყო, ჰაერი არ იძვროდა და სუნთქვა ჭირდა.

პრორექტორმა გვერდით ჩაუარა ჯანდიერს და ხელით ანიშნა, მომყეო. კაბინეტში შევიდნენ, სკამისკენ მიუთითა, დაბრძანდიო. ჩამოწვა ავის მომასწავებელი დუმილი.

პრორექტორმა კალამი მოიმარჯვა, ქალალდი აილო და წერას შეუდგა. ყოველი წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა ჯანდიერს, ისე, როგორც გამოცდის დროს. მაინც რა აქვს ამ კაცს ამდენი საწერი, ჩემთვის რომ ვერ მოიცალა? - ფიქრობდა ზურაბი. პრორექტორმა, როგორც იქნა, წერა დასრულა, კალამი დადო მაგიდაზე, ჯანდიერს თვალებში შეხედა და მონოტონური ხმით დაიწყო:

- ზურაბ, შენს მიმართ პატივისცემით ვარ გამსჭვალული. მაინ-ტერესებს სხვა უმაღლეს სასწავლებელში თუ კითხულობ ლექციებს და რამდენი გაქვს იქ ანაზღაურება?

ჯანდიერს არ მოეწონა შეკითხვა, პრორექტორს თვალებში ჯი-ქურად შეხედა და უპასუხა:

- დიახ, ვკითხულობ ლექციებს სხვა უმაღლეს სასწავლებელში და ანაზღაურება 120 ლარი მაქვს, - დაასრულა პასუხი და გრძნობდა, ხასა როგორ უშრებოდა.

პრორექტორმა ვერ გაუძლო ჯანდიერის გამჭოლ მზერას, თავი დახარა და კალმის დაშლა დაიწყო. ჯერ დაშლიდა და მერე აწყობდა, დაშლა-აწყობის პროცესი გაიმეორა რამდენჯერმე, შესამჩნევი იყო მისი ნერვიულობა, აზრებს თავს ვერ უყრიდა, არ იცოდა, საედან დაეწყო. ბოლოს დაძაბა გონება და ალაპარაკდა:

- ჩენ ახალი გუნდი, მოვედით აკადემიაში, განსხვავებული აზროვნებისა და მენტალიტეტის მატარებელნი. გვინდა მომავალი პოლიციელები ახლებურად აღვზარდოთ, ახლებური აზროვნებით, არაკორუმბირებულებად. პატიოსანი კაცი პატიოსან ოჯახში იზრდება, აღზრდილი აღმზრდელს ემსგავსება. ძველი პროფესორები მექრთამე, ფულზე შეყვარებული ხალხია. გადავწყვიტეთ სამსახურიდან ყველას უკლებლივ დათხოვნა, - ცოტა შეისვენა პრორექტორმა და განაგრძო, - ვიცი, შენ კარგი კაცი ხარ, მაგრამ იმ „ძველებში“ გადიხარ და მოგიწევს სამსახურიდან წასვლა. ეს ჩემი პო-

ზიცია არაა, ზემოდან მოდის დავალება, - დაასრულა საუბარი და ნერწყვი ძლივს გადაყლაპა.

- თქვენ რა, გინდათ, რომ ყველა დაითხოვოთ სამსახურიდან?- აღელდა ზურაბ ჯანდიერი, - ყველა ხომ არაა კორუმპირებული? ეს ხალხი სამშობლის ემსახურებოდა ამ უბანზე, ზოგი კარგად, ზოგი - ცუდად. განასხვავეთ პირველი მეორესაგან. თან ისიც გაითვალისწინეთ, მაშინ დრო იყო ასეთი - ქრთამს თითქმის ყველა იღებდა, სხვაგვარად შეუძლებელი იყო ოჯახის რჩენა. ისიც გაითვალისწინეთ, თითოეული პროფესორის უკან ოჯახი დგას.

- ჩვენ ვერ დავიწყებთ კარგისა და ცუდის გარჩევას, ყველამ უნდა დატოვოს სამსახური. ჩვენი გუნდი კორუმპირებულ რეჟიმს ებრძოდა და ყველა მოქმედი პროფესორი იმ რეჟიმის დანიშნულია სამსახურში. წითელი პროფესურა უნდა ჩაირცხოს, - სიტყვები წარმოთქვა პრორექტორმა აკანკალებული ხმით.

- სამაგიეროდ, აქ მუშაობენ და არიან ხალხი, რომლებიც საქართველოს მტრებს ებრძოდნენ აფხაზეთში, კბილებიდან გამოსცრა ზურაბ ჯანდიერმა და გაახსენდა, როგორ წავიდა მოხალისედ სოხუმში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, გაახსენდა, როგორ დაიღუპა ათეულობით მისი თანატოლი ბრძოლის ველზე და მარჯვენა ძუძუს ქვეშ ტაშიშთან მიღებული ჭრილობა აეწვა, - თანამდებობაზე ჯდომით გამოწვეული თქვენი ტკბობა დროებითია, - განაგრძო ჯანდიერმა, - თქვენ ყველაზე მთავარი თვისება გაკლიათ - კაცომოყვარეობა, მოყვასის სიყვარული.

- შეიძლებოდა შენი დატოვება სამსახურში ჩვენი ერთი თხოვნის შესრულების შემთხვევაში, - თქვა პრორექტორმა და გამომწვევად შეხედა ჯანდიერს.

- მაინც რა გაქვთ ისეთი დავალება, რომლის შესრულების შემდეგ მპირდებით გარანტირებულ სამსახურს?

- ბევრი არაფერი, - თვალები გაუნათდა პრორექტორს, - ჩვენთან ბევრი არასასურველი პროფესორი მუშაობს, საჭიროა სამსახურიდან მათი გაშვება. თუ სათანადო, ხელმოსაჭიდი საფუძველი არ გვექნება, ამის გაკეთება შეუძლებელია. თუ გააკეთებ ჩვენთვის მიუღებელ პროფესორებზე სასარგებლო განცხადებას, შენ გარანტირებული სამსახური, კარგი ხელფასი და უზრუნველი ცხოვრება გენება, - დაამთავრა წინადადება და ჯანდიერს თვალებში მიაჩერდა ისე, როგორც გველი მისჩერებია ხოლმე თავის მსხვერპლს.

- ეგ რა მაკადრე, სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერება ავაგო? მერე როგორ გავიარო ქუჩაში, როგორ შევხედო თვალებში იმ ხალხს? დასმენა და გამცემლობა ჩემს გვარსა და მოდგმას არ ახასიათებს. პაპაჩემი ფრონტზე იპრძოდა. 1942 წელს ფაშისტებმა ტყვედ ჩაიგდეს, წამებით სცადეს მისგან გაეგოთ, სად იყო განლა-გებული სამხედრო ნაწილის შტაბი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ისე ამოხადეს სული, საბრალო პაპას ერთი სიტყვაც ვერ დაცდე-ნინეს. შენ გამცემლობას მყადრებ? მისამართი შეგეძალა ჩემი ბატო-ნო, - მრისხანებისგან თვალები აენთო ჯანდიერს და მაგიდაზე ძებ-ნა დაუწყო ისეთ ნივთს, რომელსაც დიდი სიამოვნებით ჩასცებდა თავში, თუმცა მალე აიღო ხელი განზრახვის სისრულეში მოყვანაზე. იფიქრა, თავს გამალახინებს ეს არაკაცი, მერე მიჩივლებს და ხუ-ლიგნობისთვის გამისტუმრებენ ციხეში, მომავალი ცხოვრების გზას სამუდამოდ გავიმრუდებო.

მნარედ ჩაეცინა ზურაბს და თავი აქეთ-იქით გადაიქნია იმის გა-მო, რომ უფლება არ ჰქონდა, ყბები დაემტვრია ამ კაცისათვის, რო-მელსაც ადამიანის სახე ჰქონდა დაკარგული.

ჯანდიერმა გონებაში აწონა საკუთარი მდგომარეობა. თუ გა-ჯიუტდებოდა და არ წავიდოდა შემოთავაზებულ პირობაზე, გაუ-საძლის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა სამსახურში, ამ პროფესო-რებს მაინც დაითხოვდნენ აკადემიდან და ცრუ მონაჭორს გაავრ-ცელებდნენ, თითქოს მათი გათავისუფლება ჯანდიერის დასმენის საფუძველზე მოხდა. არ უფიქრია, როგორ გაგრძელდებოდა მისი ცხოვრება. პრორექტორს კიდევ ერთხელ შეხედა თვალებში და ხმა-მალლა უთხრა:

- მომეცი კალამი და ფურცელი, მინდა აქვე დავწერო განცხადე-ბა აკადემიდან ჩემი ნასვლის შესახებ.

პრორექტორს თვალები გაუნათდა. ეამა ჯანდიერის ნათქვამი, გულში გამარჯვებას ზეიმობდა.

ზურაბმა განცხადება დაწერა სამსახურიდან წასვლის შესახებ, იქვე, მაგიდაზე დატოვა და ისე გავიდა გარეთ, პრორექტორს არც დამშვიდობებია. კარებთან ერთი წუთით შეჩერდა და მიაძახა:

- თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი განიროთ საკუთარი ინტერესე-ბის გამო, თქვენ ხაზი გადაუსვით ყველანაირ ღირებულებებს, სა-ცოდავი საქართველო თქვენისთანების ხელში, - თქვა ჯანდიერმა და შვება იგრძნო.

დერეფანში კედელზე დაკიდებულ სარკეში ჩაიხედა, თვალები ჩას-ნითლებოდა. არ იცოდა, რა ეთქვა პენსიონერი მშობლებისთვის, მათ კმაყოფაზე როგორ დამჯდარიყო სახლში იცდაცამეტი წლის კაცი. თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. ის დამე თეთრად გაათენა.

ორი თვის მანძილზე დათრგუნული და ღირსებააყრილი დადიოდა, ქუჩაში გასვლასა და ნაცნობებთან შეხვედრას ერიდებოდა. სამსახ-ურს დაეძებდა, ბევრს ფიქრობდა, ლამით ძილი არ ეკარებოდა.

ზაფხულმა გაიარა, დადგა შემოდგომა და ჯანდირს სევდა უფრო მეტად მოეძალა. დღეები დღეებს მისდევდა, ერთფეროვანი გახდა ცხოვრება. ერთი კაცის ბედი ასე ხელალებით გადაწყვიტეს იქ, ზემოთ, სკამებზე მოკალათებულმა, უზნეო და უსამართლო ადა-მიანებმა.

ზურაბს ერთ დღეს თითქოს გონების თვალი აეხილა, გაახსენდა სიმონი, კაცი, რომელთანაც კარგი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

სიმონ ლოლაძეს ყველა გზა ჰქონდა გავლილი გენერლობამდე. მას შემდეგ, რაც პენსიაში გავიდა, პარტნიორებთან ერთად ჩა-მოაყალიბა დაცვის კერძო სამსახური „ატლანტი“, რომლის ცენ-ტრალური ოფისი თავისუფლების მოედანზე მდებარეობდა. სიმონი ბედაგოთა ოჯახში იყო დაბადებული და გაზრდილი. ბავშვობიდან ეროვნული იდეალებითა და პატრიოტულ მოტივებზე იზრდებოდა, რამაც ეროვნული ცნობიერება ჩამოუყალიბა. ლეიტენანტიდან გე-ნერლობამდე ისე მოვიდა, ღირსებულად ემსახურებოდა და ემსახ-ურება სამშობლოს. არ არის მექრთამე და კორუმპირებული კაცი. ყოველთვის ცდილობდა, სიკეთე ეკეთებინა, მის განვლილ გზას თა-ვისუფლად შეიძლება „ეპთილი კაცის ნაკვალევი“ დაერქვას. არის უაღრესად ერუდირებული, განათლებული და სხარტი აზროვნების უნარით დაჯილდოებული პირი.

ჯანდირს გაახსენდა 1994 წელი. იმ პერიოდში საქართველოს ფინანსურად ძალიან უჭირდა. სწორედ იმ დროს მიდიოდა შეიარა-დებული ძალების მუხროვანის ბატალიონის ფორმირება, მაგრამ ეს პროცესი გაჭიანურდა ფინანსების არარსებობის გამო. იმ ხანებში სიმონ ლოლაძეს მეგობრებმა (რომლებიც უხვად ყავდა უცხო ქვეყ-ნებში) გამოუგზავნეს დიდი თანხა ცხოვრების მოსაწყობად. მაშინ ასეთი თანხა დიდ ფულად ითვლებოდა და შეიძლებოდა ვაკეში ექვ-სოთახიანი საუკეთესო, გარემონტებული ბინის შექნა და მისი გა-წყობა საუკეთესო ავეჯით. სიმონ ლოლაძემ პირად კეთილდღეო-

ბაზე უარი თქვა და ის ფული სახელმწიფოს ოფიციალურად გადას-
ცა მუხრანვანის ბატალიონის ფორმირებისათვის და ამით საკუთარი
წვლილი შეიტანა ქართული შეიარაღებული ძალების განვითარებაში.
რამდენი კაცი არ მოიქცეოდა ასე? - ძალიან ბევრი?!

ჯანდიერმა პირადი დოკუმენტები შეაგროვა, ჩანთაში ჩაალაგა
და სიმონთან წავიდა ოფისში. „ნეტა როგორ მიმიღებს, თუ გამომი-
ძებნის რამე სამსახურს, კარგი კაცი იყო და ხომ არ შეიცვლიდა
ზეს?“ - ფიქრობდა იგი.

ფიქრებში ისე იყო გართული, ვერც კი შეამჩნია, როგორ შევიდა
„ატლანტი“-ს შენობაში. იკითხა სიმონ ლოლაძე. მდივანმა გოგონამ
უპასუხა, თერთმეტი საათისთვის მოვაო. ჯანდიერმა მკერდზე ხელი
დაიდო, გული გამალებით უცემდა. რამდენიმე წუთში სიმონს მოჰ-
კრა თვალი, კიბეზე ამოდიოდა ჩვეული, ენერგიული ნაბიჯებით,
მიუხედავად იმისა, რომ ორმოცდაათ წელს გადაცილებული იყო,
სპორტული აღნაგობა და სიმკვირცხლე შენარჩუნებული ჰქონდა.

გულთბილად შეხვდნენ ერთმანეთს. ურთიერთმოქითხვა დაა-
სრულეს.

- ბატონო სიმონ, იქნებ დამასაქმოთ, ოთხი თვეა, უმუშევარი
ვზივარ სახლში, მრცხვენია, ამხელა კაცი მშობლების კმაყოფაზე
სადამდე უნდა ვიყო, - გაჭირვებით წარმოთქვა სიტყვები ჯანდიერმა
და ცრემლი ბურთივით გაეჩხირა ყელში.

- ვაა, აკადემიდან გამოგიშვეს? - გაუკვირდა სიმონს, - თუმცა
რაა გასაკვირი, ყველას, ვინც მაგათ გუნდში არაა, სამსახურიდან
აგდებენ და ლუკმაპურის გარეშე ტოვებენ, - დაასრულა საუბარი და
ხელი ჩაიქნია ისე, როგორც უკმაყოფილო ადამიანმა იცის ხოლმე.

- გამომიშვეს, რაც შემომთავაზეს ვერ ვკადრებდი. დამსმენი და
გამყიდველი არ ვყოფილვარ და არც გავხდები, შიმშილითაც რომ
ამომხდეს სული, - თქვა ჯანდიერმა და თავი დახარა.

- შემოდი ოთახში, იქ მოვიფიქროთ რამე, - კაბინეტის კარი გაა-
ღო სიმონმა და ხელით ანიშნა ჯანდიერს, მიბრძანდიო.

- პროფესორ კაცს დარაჯად ხომ არ გამუშავებ? - ჩაფიქრდა სი-
მონ ლოლაძე.

- თანახმა ვარ, დარჯადაც ვიმუშაო, ოღონდ ხელფასი, შემოსავ-
ლის წყარო მქონდეს.

- მოდი ასე მოვიქცეთ, იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელმა
მთხოვა სხვა სამსახურში გადაყვანა, ამიტომ იურიდიული სამსახ-
ურის ხელძღვანელს დარაჯთა ცვლის უფროსად გადავიყვან და

იურიდიულ სამსახურს შენ ჩაგაბარებ, - მიაგნო გამოსავალს სიმონ-მა.

- მადლობის მეტი რა მეთქმის, ყოველთვის მჯეროდა შენი კე-თილშობილების, - მადლიერების გრძნობით აღივსო ჯანდიერი.

- თითქმის თხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართვე-ლო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ამ ხნის მანძილზე პოლიტიკური პარტიები მოდიან ქვეყნის სათავეში და პოლიტიკური ნიშნით ინიშ-ნებიან თანამდებობაზე ადამიანები, პატიოსან, კვალიფიციურ ადა-მიანურ რესურსებს თავიდან იშორებენ იმ მოტივით, რომ მათი პო-ლიტიკის გამტარებელი არ არიან, მათი დავალებების ბრძანებულების შემ-სრულებლები არ ხდებიან, ვიდაცების პოლიტიკურ ამბიციებს ენი-რებიან ნიჭიერი თაობები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით 2003 წლიდან შესამჩნევი გახდა. თუ ასე გაგრძელდა საკადრო პოლიტიკა, საქართველო ვერც მომავალში განვითარდება. ნიჭს დაფასება და წახალისება ჭირდება. ნიჭიერი ადამიანების გამოუყენებლობა აფერ-სებს ქვეყნის განვითარებას, - თქვა სიმონ ლოლაძემ და თვალები სევდით აევსო.

ჯანდიერი თავის მხრივ ფიქრობდა, - ნეტა, ყველა შენსავით ფი-ქრობდეს და ქვეყანას მართლა ეშველება რამეო.

19 მაისი, 2016 წელი

იმიტობის გარემო

ნანა მეტრეველი - საბურძნეთი, ათენი



სიზაპუპე

წლების მიღმა დარჩენილო სილამაზევ,
სიყმანვილის გიუმაჟურო ქარებო,
ფურცელ-ფურცელ დაფლეთილო გვირილებო,
სიყვარულო, გულით დანატარებო!
მარცვალ-მარცვალ აკინძულო მოგონებავ,
შეხვედრების ვნებიანო ალებო,
გულში ჩუმად შენახულ და გაუმხელელ
სიყვარულის გადუხდელო ვალებო.
გადავლილო ჭრელა-ჭრულა ბილიკებო,
მზის სხივებო, სულ სხვაგვარად თბილებო,
თითის წვერზე ანეულო კოცნის უინო,
საკინძეზე აწყვეტილო ღილებო.
ტუჩის კიდეს შერჩენილო ღიმილებო,
მოგონების ყურში შებურბურება,
შემოდგომის ყვითელ ფოთოლთა შრიალო,
და წარსულის უკან ვერ დაბრუნებავ.

ՅԵԺՐԵՒՏԻ

Ճացալուց շոյալո, Շեցանդյ,
Ճամփոմճա լոռգույքի սածոճաճ,
Սացալուց գացրմելճա Շենամճյ,
Տուշութելյ րառճեն գափորճա...
Յուցո, Ռոմ մոմիսմեն, մեւ այց
Շենս ջերետոտ ճացանպայ լոռգույքի,
Շուշենոճ սանտեշասապ զեր Շեզմլյէ,
Նոյմը զոյո, տոյսա ճացմորճեօն.
Վամիոճ ճա լուրմլյէն մակրիօնեն,
Ար վտյա ճա րոտ Շեզմլո մոտմենա,
Մողցմաժլյ րնմենա ճա օմյժօն,
Գցակմարյ, ցլուզա ճա ցույքի.
Ռամճենչյեր ցուշչելյ ճաւեմուլտ,
Ցուլմոնպալոյնոտ ճա Շենժոնեն,
Մացրամ կալաա բալաթի զեյլոնեն,
Ար մոյզորս, Ռոմ ալար ցունժոնեն.
Տագանու ճակրուլիյ վտամաժոնեն,
Վեր համոցոյորու քուալո
Ճա հայեն լոռգույքիս սոմիմոտ,
Շուշիրս ճյամինաս քրուալո.
Շուշենոճ րաց վտեսետ շոյալո,
Տայլ սարեցելյէն զամրավլյէտ,
Շենս նոն կո նուժեթի սակենո,
Վմալյէտ ճա վերայրու ճա զմալյէտ.
Մոնուա լոռգույքի ցասենավլյ,
Ռոմ ծեղլո նատլուսցան ցազպարոտ
Ճա մոյլո սուսացսոտ Շեզոյորժնոտ
Շենցան ծոյցեթյուլո սամպարո!

გვირილებო

დილის სიო ცვრიან მინდორს ეფერება,
გვირილებს კრეფს თვალხატულა ასული,
თავბრუს ახვევს ყვავილების სურნელება
და კითხვები, გვირილებთან დასმული.

გვირილებო, მზისგულება გვირილებო,
მაგ ფურცლებში რამდენ პასუხს ინახავთ,
ამიტომაც ხან ხარობთ, ხან იცრემლებით,
ემსგავსებით მიჯნურებთან წილნაყართ.

მეცოდები, ფურცლებს როცა გაცლიან
ნეტავ ვისი დაგდებია ვალი?
ვის ვინ უყვარს, ან არ უყვარს, რას გერჩით,
ვისი არის პანანინავ, ბრალი?

უცხო მიწაზე ტანჯული წლები,
რამდენი ნატვრის ვერ ასრულება,
ძნელი ყოფილა სახლიდან წასვლა,
უფრო ძნელი კი, შინ დაბრუნება.
მომეშემოდგომე... ფიქრის ქარებია,
ღამეს შემოვრჩები, როგორც მთვარეული,
ლექსიც დამეფლითა, იმედი მივაკერე,
ჰოდა, გამოვიდა რაღაც არეული.
თუკი რამეს იგრძნობ, როცა წაიკითხავ,
ალბათ მიმიხვდები გულს რა სევდა მანევს,
ახლა მონატრება რაღაც სხვაფერია,
თურმე, თუ არ გტკივა, ლექსისაც კი ვერ დაწერ.
ფიქრში დამათენდა, გარეთ ცელქი სიო,
დაქრის აღმა-დაღმა, ფოთლებს აფრიალებს,
ხედავ? შემოდგომა კართან ატუზულა,
მოდი, გელოდები, ნულარ აგვიანებ.

შინდისის გმირები

შინდისის გმირებო, ზეცას გაფრენილნო,
ჩვიდმეტ ანგელოზად ასულხართ მამასთან,
მარადი ნათელი სხივით მოფენილნო,
თქვენი უკვდავება იქუხებს მარადუამს.
თქვენ ხართ უსამართლო ომის ზვარაკები,
თუმცა რომელ ომსა აქვს, ნეტავ, გამართლება,
თქვენი გმირობანი, როგორც არაკები,
ქართველთ არასოდეს არ დაგვავიწყდება.
მტერიც გააოცეთ თქვენი სიმამაცით,
ჰეი, თქვენ! უდრეკნო სულით და სხეულით,
ბოროტი ხარობდა, ეკონა დამარცხდით,
ზეცას სული ანდეთ, მიწას კი სხეული.
ადიდეთ სამშობლო და დედის მანდილი,
გმირნი გაუზრდიხართ საკუთარ უბეში,
გმირებისა დედობა არაა ადვილი,
მინდა მოვეფერო მათ დაჭრილ გულებში.
სამშობლო გეხატათ ზედ გულის ფიცარზე,
სიკვდილი არჩიეთ შერცხვენილ სიცოცხლეს,
ქართული დროშა არ დაუშვით მიწაზე,
გმირნო, ჩვენს გულებში მარადუამს იცოცხლებთ!

დაგიპრუნდები!

ფრთხები მომემტვრა, ემიგრანტი როცა დამერქვა, გულიც იქ დამრჩა, საზღვარზე რომ გადმოვაბიჯე, ამ უთავბოლო ხეტიალში დროც კი გაჩერდა, მაინც ჯიუტად, სამშობლოსკენ ვითვლი ნაბიჯებს.

ამ ხეტიალში გადავთელე წლები მრავალი, იმ ქვეყნის გზებზე, სადაც ჩემი არაფერია, მხრებით დამქონდა ქართველობის ტვირთი და ვალი და მონატრება იმ ქუჩების, რომ მიმელიან.

გამითენდება ალბათ ერთხელ იმედის დილა, მეც გავუყვები შინისაუკენ მიმავალ შარას, მიწას მშობლიურს ვემთხვევი და ვთხოვ პატიებას, გადავცემ მრავალ ემიგრანტის ცრემლიან სალამს.

ეს დაკლაკენილი ბილიკებიც შეერთდებიან, იმ კარიბჭესთან, სადაც ჩემი მიწა იწყება, სადაც ნისლები მთის მწვერვალებს ეფერებიან და ალიონი მზის სხივების ხელზე ირწევა.

სადაც დედა შვილს ელოდება, შვილები დედებს, სადაც ქართულად პურს ტეხენ და სიტყვას იტყვიან, სასიყვარულოდ, სამშვიდობოდ აფრენენ მტრედებს და გაზაფხულზე უმღერიან ატმებს კვირტიანს.

მოვდივარ, ჩემო, იმ ფესვების მესმის ძახილი, მამა-პაპისგან რომ დამიდის ძარღვებში სისხლად, მიმსუბუქებდა ეს ძახილი ყველა ტკივილს და იმედებს გულში მიგროვებდა სულ მისხალ-მისხალ.

დაგიბრუნდები, სიხარულით ზეცას შევწვდები, შენი სურნელით გადავივსებ გამომშრალ ფილტვებს, ღმერთო, რა ძალა ჰქონებია მამულის ძახილს, იმ ფესვების ხმას, გულის სიმებს ნაზად რომ მირხევს. დაგიპრუნდები!

დედებს!

ქალავ, ჩვილით ხელში, ო, რა ლამაზი ხარ,
სამყარო მშვენდება შენით,
ისე მოაბიჯებ, მტერსაც შეშურდება,
გული აგირსია ლხენით.
მადლი დედობისა, ღვთისგან ნაბოძები,
შენგან რამდენ პასუხს ითხოვს,
შენ ხარ სასწაული – მშობი სიცოცხლისა,
შენში გაზაფხული კვირტობს.
ცხრა თვე ღვთისმშობელმა, ხელებით გარნია,
ფარად ანგელოზი გადგას,
მეორე სიცოცხლე, შენში რომ ფეთქავდა,
ხელში აყვანილი დაგყავს.
ისეთი ლამაზი ხარ, ისეთი მშვენიერი,
ტუჩზე ალუბალი გმნიფობს,
მცერდზე მიგიკვრია შენი სიხარული,
თითუნებს უბეში გიყოფს.
ახლა შენი გული სამყაროს დაიტევს,
შვილის ხელი გადევს მხარზე,
გავსებს, გაძლიერებს და უფალს ავედრებ,
მუდამ ბედნიერი გყავდეს.
შვილის თვალებიდან ღვთის მადლი იღვრება,
ზეცას შეჰყურებ და ხარობ,
დედაღვთისმშობელმა კალთა დაგაფარა,
დედა როცა გახდი, ქალო!

გაიღიათ

როცა აგვისტო ცხელ ფრთებს აკეცავს
და სექტემბერი მოდგება კართან,
ვისენებ ძველ დროს... სკოლას, მეგობრებს,
როგორ ველოდით... როგორ გვიყვარდა.
ჩვენ არ გვქონია „აიფონები“,
ინტერნეტ სივრცეს არც კი ვიცნობდით,
მაგრამ ვიცოდით ვინ სად იყო და
ვის ვინ უყვარდა, ისიც ვიცოდით.
არც „ოდნო“ გვქონდა, არც „ფეისბუქი“,
„მესიჯებისთვის“ გვქონდა მელანი,
ათასი უცხო მეგობრის ნაცვლად,
ცოტა გვყავდა და ნაღდი ყველანი.
ონლაინ რეჟიმს ჩვენ არ ვიცნობდით,
სასკოლო რეჟიმს გვაცნობდნენ მხოლოდ,
არა „ვმაზავდით“ არც „შატალოსა“
სასჯელსაც ერთად ვიხდიდით ბოლოს.
თავისუფალ დროს ბურთი გვართობდა,
შინ ვრუნდებოდით სველი „მაიკით“,
ერთმანეთს არ ვეკამათებოდით,
ვის აქვს ფოტოზე მეტი „ლაიქი“.
ყველა დროს ახლავს პლიუს-მინუსი,
მეც დამიმონა ინტერნეტ სივრცემ,
მიდის ცხოვრება ავკარგიანი
და მეც ფეხდაფეხ „მაუსით“ მივდევ.
მე მომიტევეთ ეს უარგონები,
თუ მოვინდომე ცოტა გართობა,
უთქვამთ, ლიმილი წამალიაო,
ხომ გაგახსენეთ ახალგაზრდობა.

სავადრეპალი

ლექსად გაცბედავ სავედრებელს წმინდა მარიამ,
მე ერთი ევა, ცოდვილი და არაფრის შემძლე,
ჩემი სამშობლოს უბედობით შეწუხებული,
ნუ მიგვატოვებ, მოწყალეო, ქართველთა შემწევ.
დედა ვარ, რა ვქნა, მტკივა ჩვენი შვილების ბედი,
გაგვინახევრეს საქართველო, მთლად დაგვიფლითეს,
საკუთარ მიწის დასაცავად გვიკლავენ შვილებს
და ვკარგავთ ასე, ლომგულა და საჯიშე ბიჭებს.
დედის ვედრებას აბა უკეთ ვინდა გაიგებს,
სისხლის ცრემლებით მიაცილე შვილი ჯვარცმამდე,
ო, ლვთისმშობელო, რით ითმინე მისი წამება,
დედავ, მართალო, უწმინდესო მიწიდან ცამდე!
ხედავ, მთლად უცხო ჩვენს მთა—ველებს თავისად ჩემობს,
შენს წილხვედრ მიწას, ერთ დროს ძლიერს, რა დამართნია,
კალთა გვაფარე, სანამ ფეხზე დგას საქართველო,
რომლის გულშიაც ქრისტეს წმინდა კვართი მარხია.
ერთი ცოდვილი დედა ცრემლით დაგიბან ფეხებს,
ბევრჯერ დაცემულთ ტკივილები შენ მოგვირჩინე,
გაყინულ სულებს მოგვაფარე ისევ იმედი,
ოღონდაც ჩვენი საქართველო გადაგვირჩინე.

ახლა რად შემხვდი, ლოდინით დალლილს,
როგორც ყაყაჩო, წითელ კაბითა,
ახლა, როდესაც თმებზე დამთოვა,
ულამაზესი წლები გავიდა...
მზეც რომ გადასცდა უკვე შუადღეს,
და აღარც გრძნობა მოდის ალებად,
მგონია, გულსაც კი დავაჯერე
იმ სიყვარულის გარდაცვალება.
ველარ მოგიტან იმ წითელ ვარდებს,
რომ გპირდებოდი წლების გადაღმა,

თურმე, ყველაფერს თავისი დრო აქვს
და ის ვარდების ბალიც გადახმა.
კვდება ლოდინით დალლილი გულიც,
თუმცა, ამ გრძნობას კვლავ შეინახავს,
ჩავივლი ისე, ვითომც ვერ გნახე
და არც ეგ კაბა არ დამინახავს.
სად არ გეძებე, როგორ გელოდი,
შენ ჩემი თავი რამ დაგავიწყა,
შემომალამდა შენზე ფიქრებში
და მოთმინების ძაფიც გამიწყდა.
თან გამიყოლებს ცხოვრების ნავი,
ეულად, როგორც დღემდე ვიარე,
ბედნიერება თურმე ისაა,
სიყვარული რომ არ აგვიანებს.

ევა ვარ

ევა ვარ, ნუ მომთხოვ ანგელოზს ვედარო,
გულში კი სინანულს დიდი აქვს ადგილი,
უფალთან რამდენჯერ მუხლებზე დავეცი,
მასთანა ვარ ყველაზე ალალი, ნამდვილი.

ევა ვარ, ნაძერნი ადამის ნეკნიდან,
ცოდვიან ცდუნებას ვერ გადარჩენილი,
ავყევი გველის ხმას, ის ვაშლიც ვიგემე
და დავრჩი ედემის ბალიდან დეკნილი.

მაინც მოუთმენლად ველი გაზაფხულებს,
ვარსკვლავებს შევხარი მთვარიან ლამეში,
უფლისგან წყალობად ნაბოძებ დედობას
ნაზ ფიანდაზებად იმედებს გავუშლი.

და ვიდრე ლალატი ვიგემე მავანის,
მზის სხივებს ვაგროვებ უმწეო ხელებით,
შვილების თვალებში ანთებულ იმედით,
სავალს ვიფერადებ ათასგვარ ფერებით.

ევა ვარ, რამდენჯერ მატკინეს, ვატკინე,
იარას ვაფარებ მზით გამთბარ ხელისგულს,
ბოშა ალვისტანა კალთაზე კარტს მიშლის,
ფრთხილად გპარავენო საყვარელ კაცის გულს!

ევა ვარ, ქალური ტვირთით და ცრემლებით,
გული ან როდემდე იტანჯოს, გოდებდეს,
სიყვარულს დავეძებ, ჩემს წილს და ჩემეულს,
ის ჩემი ადამიც მომძებნის ოდესმე.

და თუკი სარეცელს ცეცხლი მოედება,
ჩემში აენთება გრძნობების ალია,
ნუ გაგიკირდება, თავს თუ ვერ ვერევი,
ეს ჩემი კი არა, იმ ევას ბრალია.

ჩინაშენი



მრავალმხრივი შემოქმედი

თვითნასწავლი მხატვარი ირმა მერაბიშვილი ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეში დაიბადა. ბავშვობა ამავე სოფელში გაატარა. მისი შემოქმედების წყაროდ სოფლისა ბუნება იქცა, რომლებსაც საკუთარი სახლიდან ყოველდღე უყურებდა. ზაფხულობით უდის მთაში დასასვენებლად ყოფნის დროს მის გონებაში მთის ულამაზესი ხედები ილექტოდა. ამ ყველაფერს ხელოვანთა ოჯახში აღზრდა ერწყმოდა. ირმას მშობლები - ქრისტინე და გიორგი მერაბიშვილები შემოქმედი ადამიანები არიან. დედა კერავს, ქარგავს, საინტერესო ნიმუშებს ქმნის. კერვისა და ქარგვისათვის საჭირო ესკიზებს თავად ხატავს. ახალგაზრდა შემოქმედი განსაკუთრებული სიყვარულით ბებიას, მხატვარ ქეთევან მერაბიშვილს იხსენებს. ირმას ლაპარაკი ძალიან პატარას უსწავლია. „ლაპარაკთან ერთად ხატვაც დაიწყეო“, - ეუბნებოდა ბებია, რომელიც ცდილობდა, ირმასთვის ფერებზე დაკვირვება და მათი ერთმანეთთან შერწყმა ესწავლებინა. პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარი დედის დაბადების დღისთვის ხუთი წლისამ გააკეთა. პატარა ირმა მცენარეებს წიგნში დებდა და აშრობდა. დედისთვის ასეთი გამომშრალი მცენარე მატიტელა მინას წებოთი მიამაგრა და წარწერაც გაუკეთა. შემდეგ მცენარეების ფირებზე გადატანა დაიწყო. ქმნიდა არაერთ კომპოზიციას. მცენარეებით ნახატებში შტრიხები პეპლებითა და სხვადასხვა მწერით შეჰქონდა. მცენარეებით ხატვამ ირმას არაერთი წარმატება

მოუტანა. მცენარეები, რომლითაც ის ნამუშევრებს ქმნის, იმავე მცენარეს ასახავს. მაგალითად, იასამნის ფოთლებით იასამნის ხეს ხატავს, კომშის ფოთლებით კომშისას. ასეთ ნახატებში ფერებიც შეაქვს. ძირითადად გუაშებით მუშაობს. სურს, შემდგომ ნამუშევრებში ფერები ზეთებით შეიტანოს. მისმა ნახატმა „**მზის ამოსვლა**“, ირმას წლევანდელ ფოლკლორის ფესტივალზე გამარჯვება მოუტანა. ნახატისათვის ფოთლები ადიგენში შეაგროვა. სიუჟეტიც ადიგენის ხედებმა შთააგონა. აღნიშნულ ფესტივალში ირმამ მეორე ნახატიც წარადგინა. ობობას ქსელით შექმნილმა ნამუშევარმა „**ტაძარი**“ ქოურის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია.

ირმაზე ბევრი უსაუბრიათ, მის შესახებ სიუჟეტებიც მოუმზადებიათ, თუმცა ჩვენი ექსკლუზივი გახლავთ ის, რომ ახალგაზრდა მხატვარმა ობობის ქსელით ხატნერას მიჰყო ხელი. თუმცა, მანამდე ირმამ რთული შემოქმედებითი გზა განვლო.

ერთ დღეს დედამ პლასტელინი ფურცელზე დადო და ნემსით დაწენება, ფორმა მისცა და საინტერესო ნამუშევარი შექმნა. ნამუშევარს რელიეფის სახე ჰქონდა. ირმას მოენონა და პლასტელინით ასეთ სტილზე ნამუშევარი რადიოს ფირზე შექმნა. „**პალმები**“ - ასე უწოდა ნახატს, რომელიც მისი სახლის საგამოფენო სივრცეში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

შემდგომ ირმამ ხატვა ჭვარტლიან ფურცელზე დაიწყო. 90-იანი წლების „ლამფების“ პერიოდმა, ირმას შემოქმედებაში განსაკუთრებული კვალი დატოვა. ერთ დღეს, ანთებულ ლამპას ფურცელი გადაატარა. ჭვარტლიან ფურცელზე ხელი გაუსვა, სილუეტები დაიხატა. იდეა მოენონდა და ასე არაერთი ნამუშევარი შექმნა. დაკვამლულ ფურცელზე სხვადასხვა ზომის ნემსებით ხატავდა. შეჰქონდა ფერები. ქმნიდა პორტრეტებს, პეიზაჟებს, მაგრამ ნახატები მალე იშლებოდა და ქრებოდა. მისი შრომა წყალში იყრებოდა. „**ყველა ნახატში სულსა და გულს ვდებდი, მაგრამ ასეთი არცერთი ნამუშევარი არ შემომრჩა**“, - გვითხრა ირმამ.

შემდგომ გაიგო, რომ არსებობდა ობობის ქსელით ხატვა. მხოლოდ ის იცოდა, რომ ამ სტილის ნამუშევრები, ბარხატის ნაჭერზე იქმნებოდა. აიღო ქსელი და დაიწყო ხატვა. ამგვარი ხატვის ტექნიკა პლასტელინზე და დაკვამლულ ფურცელზე მუშაობით გამომუშავებული ჰქონდა. ობობას ქსელით ნაჭერზე ჩრდილები კარგად გადაიტანა. თავდაპირველად სილუეტებს ქმნიდა. ობობას ქსელით სახეებს ვერ გამოყოფდა. „**ორი წლის ნინ დავიწყე სილრმისეული მუშაობა**.

თითებში შეგრძნება სხვანაირად განმივითარდა“, - ამბობს ირმა. აქვე იხსენებს ობობას ქსელით ნამუშევრების ფუძემდებელს, მისსავე თანასოფლელს ია მღებრიშვილს. ამბობს, რომ ქალბატონი ია უდიდესი შემოქმედი იყო და მის შესახებ ბევრი ჰქონდა გაგონილი. როდესაც ობობას ქსელით მუშაობა დაიწყო, ქალბატონი იას ნამუშევრები ნანახი არ ჰქონდა. „ქალბატონ იას სხვა სტილი ჰქონდა. ჩემი ნამუშევრები სხვა სტილისაა“, - გვეუბნება ირმა.

ობობას ქსელზე მუშაობით დაინტერესების შემდგომ, ირმამ ობობას ქსელის შესახებ ინფორმაცია შეაგროვა. შეისწავლა გარემო, თუ სად როგორი ქსელი იქსოვება. შედარებით სუფთა ქსელები წისქვილიდან მოაქვს. ამ ქსელებით ხატებს წერს. სარდაფიდან მოპოვებული ქსელებით პეიზაზებს, ნახატებს, პორტრეტებს ქმნის. შეისწავლა ქსელის გადატანის ტექნიკაც. ქსელები ქსოვილზე ნაზად გადააქვს. შემდეგ გრაგნილებად ახვევს და შინ ისე მიაქვს. სახლში ასეთი არაერთი გრაგნილი აქვს. გვეუბნება, რომ არის ფარდებივით, ძაფებივით ქსელები. ქსელების ხარისხიც და ფერებიც სხვადასხვა-ნაირია, რომლებსაც საჭიროებისამებრ იყენებს.

ირმასთან ერთად ვათვალიერებთ მის ნამუშევრებს. თითოეულ მათგანზე საინტერესო ისტორიებს გვიაბბობს. მაგალითად, ობობას ქსელით ნამუშევარი „პეიზაჟი“ ერთი შეხედვით მარტივია, თუმცა ეს ნამუშევარი ბუნების სილამაზის კარნახითა შექმნილი და დიდი სილრმეა ჩადებული. დაახლოებით ორმოცდათი წლის ქსელებით შეუქმნია ქალბატონის პორტრეტი, რომლის ორიგინალურობა იმაში მდგომარეობს, რომ პორტრეტი მთლიანად ერთი ქსელით არის დახატული. ასევე საინტერესო და უნიკალურია მისი ნამუშევრები „მთები“, „ფარშევანგი“, „ეკლესია“.

ობობას ქსელით ხატნერის კურთხევას წინ შემდეგი შემთხვევა უძლვოდა. გასულ წელს უნმინდესასა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს უდის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში ელოდნენ. ირმას იდეას, პარტიარქისთვის შეექმნა ნამუშევარი, უდის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის არქიმანდრიტის გრიგოლის (ქურციძე) ლოცვა-კურთხევით შეესხა ფრთხი. თემა ეროვნული და გლობალური მასშტაბის უნდა ყოფილიყო. ირმას სურდა ეროვნულობის იდეა მისი კუთხიდან ყოფილიყო დანახული. ნამუშევარს „საქართველოს მომავალი“ უწოდა. ნახატზე აკვანში მწოლიარე ჩვილთან წმინდა ნინო, თამარ მეფე, ანთიმოზივერიელი, ანდრია პირველწოდებული, წმინდა გიორგი და სხვა

წმინდანები მიდიან. სხვა წმინდანების სილუეტები ისეა დამუშავებული, რომ თითოეული ადამიანი მათ საკუთარი შეხედულებისა-მებრ, სხვადასხვა წმინდანად აღიქვამს. „ყოველთვის ვფიქრობ, რომ თოთოეული ნამუშევრით რაღაცა ვთქვა. ჩემი სათქმელი ჩემი სამშობლოა, ჩემი ხალხია და ყველაზე მთავარი — უფალია, რადგან თავად ლმერთია სიყარული ამ ქვეყანაზე“, - გვეუბნება ირმა. პატრიარქს ნამუშევარი მოსწონებია. უთქვამს, ნახატი ისეთ ადგილას მოეთავ-სებინათ, სადაც მას ბევრი ხალხი ნახავდა. ამჟამად, „საქართველოს მომავალი“ უდის წმინდა ნინოს მამათა მონასტრის სატრაპეზოშია დაბრძანებული.

აღნიშნული ნამუშევრის შექმნის შემდგომ ირმა მოიწამლა. ეუბ-ნებოდნენ, რომ ობობის ქსელით მუშაობისათვის თავი დაენებებინა. მართლაც, ერთი წელი მის შემოქმედებაში წყვეტა იყო. თითქოს ახალგაზრდა შემოქმედის სულიერი სამყარო დაცარიელდა. ხვდე-ბოდა, რომ აუცილებლად უნდა გაეკეთებინა რაიმე. გადაწყვიტა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტისათვის, მეუფე თეოდორესათვის ანთიმოზ ივერიელის ნახატი შეექმნა. როდესაც მეუფეს ნახატი მიართვა, მას უთქვამს, რომ ეს ნახატი კი არა, ხატი იყო. შემდეგ, ირმამ მოძღვრის, მამა გრიგოლის (ქურციძე) ლოცვა-კურთხევით, ობობის ქსელით ხატწერას მიჰყო ხელი. ასე დაიწერა პანტელეიმონ მკურნალის ხატი. ამჟამად, ირმა ისააკ ასურის ხატზე მუშაობს.

ხატებზე მუშაობა რთული და ხანგრძლივი პროცესია. ორი-სამი თვის განმავლობაში იქნება წმინდანთა სახეები. მუშაობის დროს იყითხება სპეციალური ლოცვები. ირმას მნიშვნელოვანი ნამუშევრები ძირითადად დამე იქმნება. სიჩუმეში განმარტოებულს ხშირად დასთენებია. მუშაობს ნემსებით, ფუნჯებით, ასანთის ლერებით. იყენებს ყველა იმ ნივთს, რამაც შეიძლება ობობას ქსელს ფორმა მისცეს. მისი ნამუშევრების პირველი შემფასებელი მეუღლეა. ირმა ნამუშევრებს არ ყიდის. გაჩუქრება არ ენანება. „ნამუშევრებს ყველას არ ვჩუქნი. როდესაც რაღაცას ქმნი, შენი გული და სულია მასში ჩადებული. ნახატებს იმ ადამიანებს ვჩუქნი, ვინც ჩემი გული და სულია. ასე თითქოს მათ ვუკავშირდები“, - გვეუბნება ირმა.

გაზაფხულისთვის პერსონალური გამოფენისთვის ემზადება. ფოლკლორის ცენტრისა და ახალციხის ციხის ადმინისტრაციისაგან შემოთავაზება უკვე მიიღო.

ბოლოს გავიგეთ, რომ ირმა საქუთარ შემოქმედებას ორი ფორ-მით ავლენს. წერს ლიტერატურულ ჩანახატებს და ამავე თემაზე ქმნის ნახატებს. მის ლიტერატურულ შემოქმედებაზე ვერაფერს გე-ტყვით, ჩანახატებს ჯერ არ გვაცნობს. იქნებ ამ სფეროშიც ისე-თივე წარმატებული გახდეს, როგორი წარმატებულიც დღეს მხატ-ვრობაშია. აღსანიშნავია ირმას ფოტოხელოვნებით დაინტერესება. ის კონკურსებში სუკეთესო ფოტოს ავტორი არაერთხელ გამზდარა. ამასთან, არაჩვეულებრივად კერავს და ქარგავს. უკრავს სხვადასხვა ინსტრუმენტზე. 14 წლის ასაკში, ვოკალში, საქართველოს მასშტა-ბით, მიღებული აქვს ლაურეატის წოდება. გვეუპნება, რომ შემოქ-მედების სრულყოფისათვის ყველაფერი აქვს: ლამაზი ბუნება, შე-მოქმედი ოჯახი და ორი შვილი, რომლებიც ყველაზე მეტად ულამა-ზებენ ცხოვრებას. ირმა პროფესიით უურნალისტია. ახალციხის სახ-ელმწიფო ინსტიტუტი 2009 წელს დაამთავრა. ამჟამად, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ადგილობრივ თვითმმართ-ველობებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტია.

ლია ზაზაშვილი

პოვიტი

ნინო მინდელი

დავიძადე ქ. თბილისში 1969 წელს უთბილესი და უსაყვარლესი ადამიანების გარემოცვაში. დაფინანსერე ქ. თბილისის 22-ე საშუალო სკოლა. 1986 წელს ჩავირიცხე აგრარულ უნივერსიტეტში, რომელიც დაგამთავრე 1991 წელს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით. იმავე წელს დავოჯახდი. მყავს მეულლე და ორი შვილი.



მემშვიდობება თადღათან შვილი

მემშვიდობება თანდათან შვილი,
მიდის ჩემგან და, არ ვიცი, რა ვქნა,
უფალმა, ერთ დროს, მიბოძა გულით,
მე კი, ცრემლებით ვაცილებ მასთან.

მემშვიდობება, მიხუტებს, მკოცნის,
მარწმუნებს, მისთვის ეს გზაა ხსნილი,
მე არ ვკამათობ, მე მას ვენდობი,
მაგრამ ის ჩემიც ხომ არის შეილი.

მემშვიდობება, ბერის სამოსელს,
ერშიც ატარებს, უკვე გზაშია,
ვიცი, რომ ფიქრობს ჩემზეც, და მაინც,
მისი კელია სადღაც მთაშია.

მემშვიდობება ისე უბრალოდ,
ისე მშვიდად და, ისე ალალად,
თან დედის ლოცვა მიჰყვება მხოლოდ,
სირთულეების გადასალახად.

მემშვიდობება, სინათლეს მისდევს,
ბერის კაბაში, ბერის სულია,
მე კი, სიყვარულს მიტოვებს იმდენს,
ჩემთვის ცხოვრება სიყვარულია.

23.08.2013 წელი.

ხვალ თუ სიცოცხლედ მოვიაზრები

ვეღარც ლექსს ვწერ და... ვეღარც ლექსი მწერს,
ჩემი არ არის თითქოს სხეული,
სულში იები გახუნებულან,
უწყლობისაგან დარდმორეული.

ვეღარც ლექსს ვწერ და... ვეღარც ლექსი მწერს,
ბორკილებშია თითქოს გრძნობები,
სიცარიელე შემომისახლდა,
ვერც ვეთვისები, ვერც ვეომები.

ვეღარც ლექსს ვწერ და... ვეღარც ლექსი მწერს,
მიმძიმს თვალები ღამენათევი,
დაძაბუნებულ ფიქრში სევდაა
და მწუხარება, ხელით სათრევი.

ვეღარც ლექსს ვწერ და... ვეღარც ლექსი მწერს,
სინათლეს ველი, მაგრამ მწუხრია,
სხვა განმიკითხავს, ასე, მიწამდე,
განცდისთვის თავი რომ წაუხრია.

ვეღარც ლექსს ვწერ და... ვეღარც ლექსი მწერს,
ვერ ამოვავსე აზრით წაპრალი,

მზისგან დაფსებულ მზერას წააგავს,
მუზა, გდებისგან ნაპარტახალი.

ვეღარც ლექსს ვწერ და... ვეღარც ლექსი მწერს,
შეაკვდა კალამს გულის ფრაზები,
დღეს გადავიტან სასონარკვეთას,
ხვალ თუ სიცოცხლედ მოვიაზრები.

01.07.15 წელი

კაცად რომ გავჩენილიყავ

კაცად რომ გავჩენილიყავ,
ლექსებს დავწერდი შეშლილებს,
აბა, ქალს კალმის გაფრენას,
რა ძალა გამაბედინებს.

კაცად რომ გავჩენილიყავ,
მოვილერებდი სტრიქონებს,
თამამად ტრფიალს შევძლებდი,
მზერა რომ ჩამოიქროლებს.

კაცად რომ გავჩენილიყავ,
ღამეს ბწყარებად დავგლეჯდი,
დავათენებდი ქარიშხალს,
გულის სილრმიდან აგლეჯილს.

კაცად რომ გავჩენილიყავ,..
მაგრამ ქალი ვარ, საბედო,
არ მინდა ჩემმა კალამმა,
ზომაზე მეტი გაბედოს.

27.07.16 წელი

ვიცი, არაფერს დამაგადლიან (განცდა შიო მლვიმეში)

ლვინისფერ ნისლში ცურავს ტაძარი,
მწუხარის ლოცვაში ფიქრის მაღლია,
აქ სათნოება ხორცშესხმულია,
ვიცი, არაფერს დამამადლიან.

იმედიანად უღერს ზართა დასი,
მოკვეთილია სასოწარკვეთა,
აქ კიბე-კიბე მიიჩევ ზევით,
და აჩიქურთმებ სულს, აღსაკვეცა.

კერ შეუცნობელ სიმყუდროვეში,
სიცოცხლის წლების მთელი ხედია,
აქ სიმარტოვის არ გეშინა,
განვითარები თითქოს გაგიხელნა.

სინანულები ცვივა ცრემლებად,
მძიმე ცოდვები ქრება ცვილივით,
აქ აღსარება განწმენდილია,
და ევლინები მინას, ჩვილივით.

თვალებში ცქმუტავს სხივების სითბო, ქვეყნად ვერავინ გაუმკლავდება, აյ ღმილები ჯადოსნურია, აიტაცებ და... უცებ მრავლდება.

ვერავინ აღწერს სიტყვით იმ ძალას, ადამიანში რომ ძგერს, იმ მუხტებს, აქ სიყვარული თვალნათელია, ხელს გაუწიდი და... გულში გიზუტიცის.

ლუინისფერ ნისლში ცურავს ტაძარი, მწუხარის ლოცვაში ფიქრის მაღლია, აქ შეიძლება დამზოგონ, თორემ, კიკი, არათირს დამამადლიან.

13.04.16 ნული

- 100 -

„Omega”, 2016, 11

პუბლიცისტი

შორენა გაბოშვილი

დაიბადა 1977 წელს. 1999 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის უკურნალისტიკის სპეციალობით.

1999-2002 წელს სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, უკურნალისტიკის სპეციალობაზე.

2000 წლიდან დღემდე მუშაობს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეულ მასნავლებლად.

2016 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გაგლენა საზოგადოებრივ აზრზე (სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე).“ მიენიჭა სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მასობრივ კომუნიკაციაში.

ჟყადარი მეცნიერებელი და ორი შვილი.



ზაქარია დიდიმამიული - მესხი პუბლიცისტი

(გაზეთ „სახალხო საქმეში“ 1919-1920 წლებში გამოქვეყნებულ
ზ. დიდიმამიშვილის პუბლიკაციების მიხედვით)

„XX საუკუნის ათიანი წლების მესხთა მღელვარე ცხოვრების შუაგულში მდგარი საზოგადო მოღვანე და ხრონოგრაფი, - ასე მოიხსენიებს შოთა ლომაძე ზაქარია დიდიმამიშვილს წიგნში „მესხები“. პიროვნებას, ვინც გასული საუკუნის დასაწყისში, ივანე და კოტე გვარამაძეებთან ერთად, აქტიური პუბლიცისტური მოღვაწეობით შეძლო ფართო საზოგადოებისათვის გაეცნო მესხეთის ცხოვრების მტკიცებული პრობლემები, აღნერა და გაეანალიზებინა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, მოვლენა. სწორედ ამის გამო, ზ. დიდიმამიშვილი დღემდე რჩება მე-20 საუკუნის პირველი ოცნლეულის მესხეთის ცხოვრების ერთ-ერთ უცვლელ მემეტიანედ. გარდა ამისა, მას უდიდესი ღვანლი მიუძღვის მხარის საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლასა და კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებაშიც.

ზაქარია კონსტანტინეს ძე დიდიმამიშვილი დაიბადა ქალაქ ახალ-ციხეში 1883 წელს, ეკონომიკურად საკმაოდ დაწინაურებულ ოჯახში. მამამისი კოსტო დიდიმამიშვილი (დიდიმამოვა) ვაჭარი იყო და შვილის განათლებისათვის ძალ-ღონეს არ იშურებდა. პატარა ზაქარია თავი-დანვე განსაკუთრებული ნიჭიერებითა და სიბეჯითით გამოირჩეოდა. ამიტომ ის დაწყებითი განათლების მისაღებად იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასთან არსებულ დაწყებით სკოლაში მიაბარეს, სადაც წერა-კითხვა ცნობილმა მესხმა განმანათლებელმა ივანე გვარამაძემ შეას-წავლა. 1899 წელს მან სკოლა დაასრულა და მასწავლებლის რჩევით სწავლა განაგრძო სარატოვის სასულიერო სემინარიაში. ფინანსური დახმარება კი ცნობილმა ქველმოქმედმა სტეფანე ზუბალაშვილმა გაუ-წია. სწორედ ამ სტიპენდიის დახმარებით შეძლო ზ. დიდიმამიშვილმა ნარმატებით დაემთავრებინა სემინარია.

სამშობლოში დაბრუნებულმა პატრის სამოსელს ერისკაცის ჩოხა, მღვდლობას - აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება არჩია და არჩეულ გზას მთელი შემართებით დაადგა. დედაქალაქში ეკონომიკური მეცნიერების საწყისები შეისწავლა. ერთხანს კიდეც მუშაობდა რუსეთ-საქართველოს შორის საქონლის გაცვლის საკითხებზე. მოგვიანებით მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, დააარსა და წარმატებულ ორგანიზაციად აქცია კოოპერატივი „მესხეთი“, რომლის მოგებიდან სერიოზულ ქველმოქმედებას ეწეოდა. აფინანსებდა ახლად გახსნილ უნივერსიტეტსა და სკოლებს, ბიბლიოთეკებსა და საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულ ახალგაზრდებს.

ზაქარია დიდიმამიშვილი გარკვეული დროის განმავლობაში (1919-1921 წნ.) იყო ქართველ კათოლიკეთა რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე და სოციალ-ფედერალისტური მიმართულების გაზეთ „სახალხო საქმის“ სპეციალური კორესპონდენტი მესხეთის რეგიონში. ამავე დროს აქტიურად იყო დაახლოებული ფედერალისტთა პარტიისთან, რასაც ადასტურებს მისი რეგულარული პუბლიკაციები პარტიის პერიოდული გამოცემის ფურცლებზეც. ამასთანვე, ის თეატრის დიდი მოყვარული და ქომაგიც ყოფილა, ახალციხეში თეატრის მოყვარულთა დასიც კი ჩამოუყალიბებია. ზაქარია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აქტიურად იბრძოდა საქართველო-თურქეთის ომში.

ზაქარია დიდიმამიშვილი, სრულიდ მოულოდნელად, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა 1922 წლის 29 ივლისს.

ზაქარია დიდიმამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება თითქმის შეუსწავლელია. მისმა პირადმა არქივმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. დროის ავტედითობას გადაურჩა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული ჩანაწერები. თუმცა, ეს კვლევას ხელს ვერ უშლის, რადგან 1917-1920 წლების ქართული პრესის ფურცლებზე მრავლადაა შემორჩენილი მისი პუბლიცისტური მასალები. ეს საინტერესო კორესპონდენციები, სტატიები, წერილები და მიმოხილვები ყველაზე ცხელი წერტილიდან მკითხველში ყოველთვის დიდი ინტერესით სარგებლობდა და ხშირად გაზითის წინა გვერდებიც ეთმობოდა.

მის ამგვარ პოპულარობას განაპირობებდა გამორჩეული უურნალისტური ოსტატობა, ფაქტების ზუსტად შერჩევის უნარი, წერის განსაკუთრებული მანერა, ობიექტური რეალობის დეტალური აღნერა. აქტიურ თანამშრომელს მხედველობიდან არ გამორჩენია მხარის ცხოვრების არც ერთი აქტუალური ფაქტი თუ პრობლემა. მასალებში შესანიშნავადაა ასახული მესხეთის სოციალური ცხოვრებისა და პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოვლენები, სახელმწიფო წყობისა და სოფლის მეურნეობის საჭირბოროტო საკითხები, ეროვნული იდენტობისა და განათლების პრობლემები.

გაზით „სახალხო საქმის“ ფურცლებზე 1918-1921 წლებში ზ. დიდიმამიშვილის ათობით საინტერესო პუბლიკაციას შევხვდით. ესენია: „ახალციხის დღეები“, „ახალციხის ამბები“, „ქართველი კათოლიკენი“, „მონერილი აბაზე ბორჯომიდან“, „წერილი ახალციხიდან“, „ხმა მესხეთიდან ვისი ბრალია?“, „კიდევ ქართველ კათოლიკეთა საკითხის გამო“, „ხმა ახალციხიდან“, „ახალციხის ბავშვთა თავშესაფარი“, „ბორჯომის სანაპირო ჯარის ცხოვრებიდან“, „რაბათელების ცხოვრებიდან“ და სხვა.

ზაქარია დიდიმამიშვილი უმეტესწილად ფსევდონიმებით ან ინიციალებით აქცევენებდა მასალებს: „ქ. კ. მ. ლ“., „ქ. კ. მამიშვილი“, „ქ. კ. -ლი“, „ა-ლი“, „ალ--ლი“, „ალმოსავლეთელი“, „მესხი გოგია“, „ნალვლიანი მესხი“, „გულნატკენი“, „გაბო ზეზელოურელი“, „ზარიფ ბეი“ და სხვა.

აღნიშნულ პუბლიკაციათა თემატიკა მრავალფეროვანია, მაგრამ ზ. დიდიმამიშვილი განსაკუთრებულ ინტერესს მაინც მესხეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების მიმართ იჩინდა და ამ კუთხით არაერთი კორესპონდენცია გამოაქვეყნა. გაზითი „სახალხო საქმე“, ისევე, როგორც სხვა პერიოდული გამოცემები, მნიშვნელოვან ად-

გილს უთმობდა მესხეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების გაშუქებას. ამიტომ რეგულარულად აქვეყნებდა წერილების სერიას რუბრიკებით: „ახალციხის ამბები“, „ახალციხის დღეები“, „ახალციხის რამე-რუმე“, რომელთა მეშვეობით მკითხველს საშუალებას აძლევდა გასცნობოდა, ზაქარია დიდიმამიშვილის მიერ მიწოდებულ, 1918-1919 წლებში მესხეთში მიმდინარე საქართველო-თურქეთის ომის დეტალებს, მის მიზნებსა და შედეგებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რუბრიკებმა საზოგადოების ინფორმირებასა და აზრის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს.

ცნობილია, რომ 1917 წლის ზაფხულს გააქტიურებულმა პრო-თურქულმა ელემენტებმა შესანიშნავად მოუმზადეს ნიადაგი მესხეთში თურქეთის ჯარის შემოწრას. მესხეთის ტერიტორიაზე გამართულმა ბრძოლამ განადგურების პირამდე მიიყვანა ისტორიული კუთხე. საბოლოოდ, 1918 წლის 4 ივნისს საქართველოს ხელისუფლების მიერ ოსმალეთის იმპერიასთან დადებული საზავო - „ზავისა და მეგობრობის“ - ხელშეკრულების ძალით „ოსმალეთმა მიიღო მთელი სამხრეთ დასავლეთ საქართველო ანუ სამუსლიმანო საქართველო, მთელი მესხეთი ანუ რისა და აბასთუმნის გამოკლებით“ (ვ.ნ.: 33), რამაც მესხეთში ვითარება უკიდურესად დაძაბა. როგორც ცნობილია, ეს მდგომარეობა ექვსი თვის განმავლობაში გაგრძელდა, ვიდრე ოსმალეთმა საქართველოს ხელისუფლებასთან „მუდროსის დროებითი ხელშეკრულება“ არ დადო და ჯარების გაყვანა არ დაიწყო მესხეთიდან (ვ. ნ.: 37).

ზაქარია დიდიმამიშვილი თავად იყო აღნიშნული მოვლენების მომსწრე და თვითმმართველი. 1918 წლის ივნისის თვეში რიგითი მეომარი-კორესპონდენტი მკითხველს საბრძოლო ხაზიდან დეტალურად აუწყებდა ფრონტის ამბებს, საკუთარი თვალით ნანახესა და განცდილ სიტუაციებს, არა მარტო აღწერდა ბატალიურ შემთხვევებს, არამედ საინტერესოდ აანალიზებდა კიდეც.

„მძიმე ომის ქარცეცხლში გაეხვია მესხეთი. მდგომარეობა ისევ გამწვადა. მაჰმადიანები დაეცნენ ქართველთა სოფლებს. სოფლის მოსახლეობა თავდადებით იცავდა თავის მიწა-წყალს შემოსული რაზმების შემოტევისაგან“, - ასე ამცნო მან მესხეთიდან ფართო საზოგადოებას ომის დაწყების შეასხებ. (გაზეთი „სახალხო საქმე“ 1918 №279: 1)

ომის მსვლელობა საინტერესოდაა განიხილული ზ. დიდიმამიშვილის ანალიტიკურ სტატიაში „განადგურებული მესხეთი და ჯავახ-

ეთი შველას მოელის“. მასალაში გაანალიზებულია მესხეთში თურ-ქული ჯარის შესვლით შექმნილი ვითარება და მოსალოდნელი შე-დეგები. ავტორის აზრით, შეუძლებელი იყო მეზობელი სახელმწი-ფოს იმპერიალისტურ მიზნებთან შეგუება.

მასალის დასაწყისში პუბლიცისტი მკითხველს ახსენებდა მესხე-თის ისტორიულ როლს, ამასთანავე საუბრობდა მხარის ლირშესა-ნიშნაობებზე, რომელთა დანგრევა-განადგურების საფრთხე ერთი-ორად გაიზარდა. თხრობის პათეტიკური მანერა ავტორს ეხმარებო-და ამბის გადმოცემის ესკალაციაში, რითაც მკითხველში ზრდიდა ემოციურ მუხტს.

„ის მხარე, რომელმაც ჩვენი ერის სიამყე გენიოსი შოთა რუსთა-ველი მოგვცა; ის კუთხე, სადაც მრავალი საფლავი, ნანგრევი და კოშკია, სადაც კლდეში გამოჭრილი დიდებული ვარძია თამარის სასახლით. ეს დიდებული კუთხე, სადაც მთის წვერზე კალთიდან მტკვარზე ამაყად გადმომყურავი ახალციხის „მფარველ ანგელო-ზად“ წოდებული საფარი, სადაც შიშველ კლდეზე უპატრონოდ მიგ-დებული ივლიტა..... – ეს საამაყო მხარე საქართველოს კულტუ-რისა და დიდებისა 90 წლის შემდეგ კვლავ ჩაუვარდა ხელში იმათ, ვინც საქართველოს ეს დიდებული ნაწილი ნანგრევებად აქციეს.“ (გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 №264: .3) - ვკითხულობთ მასალაში.

ავტორი გმობდა მეზობელი სახელმწიფოს ვერაგულ პოლიტიკას, რომელმაც დაუნდობელი ხოცვა-ულეტით, ისედაც სიდუხჭირეში მცხოვრები მოსახლეობა გაანადგურა, გაქურდა და უკანასკნელი ლუკმა ხელიდან გამოგლიჯა. ზ. დიდიმამიშვილი საზოგადოებას, ომის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ, ასე ატყობინებდა:

„ეს მხარე ერთ თვეზე მეტია, საშინელ განსაცდელში იყოფება. ახალციხის მაზრაში და ჯავახეთში 40 სოფლიდან ჯერ გადარჩენი-ლია მხოლოდ ოთხი. დარბეული და აოხრებულია მუსხი ანდრიან-მინდა, ერკოტა, ღრელი, ზველი, არალი, უდე, დადეში, გოკია, ტო-ლოში, ხერთვისი და სხვა მრავალი სოფელი, რომელიც საშინელ სურათს წარმოადგენენ. დანგრეული და გადამწვარი სახლები, აუ-ღებელი ხორბალი, შინაური ოთხფეხი საქონელი სხვა ქონებასთან ერთად მტერმა გაიტაცაო“ (გაზეთი „სახალხო საქმე“ №264: .3).

ავტორი დამაჯერებელი არგუმენტებით წარმოაჩენდა ახალციხის მაზრის მოსახლეობის სავალალო მდგომარეობას და აქვე ცდილობ-და, მიექცია ხელისუფლების ყურადღება, რომელიც მოვალე იყო, მესხეთში ვითარების დარეგულირებისათვის ქმედითი ნაბიჯები გა-

დაედგა. ზ. დიდმამიშვილი არც ადგილობრივ მმართველ ორგანოებს ინდობდა, მათ ვითარების გაუარესებაში საჯაროდ ამხელდა და მთელ პასუხისმგებლობასაც აკისრებდა:

„მესხეთ-ჯავახეთში მდგომარეობა თანდათან უარესდება. ჩვენი რესპუბლიკა და მთავრობა მოვალეა, მიხედოს და უპატრონოს იმ ახალციხე-ჯავახეთის ქართველობას, რომელიც გაპარტახებულია და სისხლიდან დაცლილი და რომელიც მოელის ჩვენგან ნივთიერ და ზნეობრივ დახმარებასო“ (გაზეთი „სახალხო საქმე“ №264: 3), - ვკითხულობთ პუბლიკურიაში.

პუბლიკურისტი უკომპრომისოდ უპირისპირდებოდა მთავრობის მიერ მიღებულ ბევრ გადაწყვეტილებას, აკრიტიკებდა მის უმოქედობას და არაერთ საკითხზე ამახვილებდა საზოგადოების ყურადღებას. მისთვის, ისევე როგორც დანარჩენი საზოგადოებისათვის, მიუღებელი იყო ტერიტორიული მთლიანობის დათმობა, რომელიც მესხეთს გადაგვარებას უქადდა: „ასე თუ ისე, არ გვინდოდა დაგვეტომ ბათუმი და დავთმეთ ახალციხეც, ურომლისოდაც დაეტყობა საქართველოს. - დანანებით აცხადებდა ის და აქვე დასძნდა:

„სარული ერთი თვეა, რაც ფოსტა და გაზეთები არ მიგვიღია, ამიტომ გვიცრუვდება იმედები, რადგანაც დაგვივინება ჩვენმა მთავრობამ.

დღეს ჩვენ გვეუბნებიან, დაგვარწმუნებენ, ამიერკავკასიის მთავრობა უცდის საზავო მოლაპარაკების გათავებას, და მხოლოდ მაშინ გადადგაამს ნაბიჯს ახალციხის საქმეების მოსაწესრიგებლადო. დრო გარდის, შველა არსავდან არის და პროვოკაცია კი დღითი-დღე იზრდებაო..“ - (გაზეთი „სახალხო საქმე“ 1918 №279: 2-3).

ნახევარი წლის განმავლობაში მხარეში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა გამოუსწორებული დალი დაატყო მესხეთის ისედაც დუბჭირ ცხოვრებას. ზაქარია დიდიმამიშვილს, გარდა იმისა, რომ დეტალურად ამცნობდა საზოგადოებას ომის დეტალებს, მხედველობიდან არ გამორჩენია არც საომარი მოქმედებების სავალალო შედეგები: ლტოლური პროცესი, ქაოსი, ინდიფერენციზმი, სპეკულაცია. ამ მხრივ საინტერესოა კორესპონდენცია „მოწერილი ამბავი ბორჯომიდან“ (გაზეთი „სახალხო საქმე“ 1918 №377: 4).

ბორჯომი მესხეთის ომის დროს დევნილთა მთავარ თავშესაფრად იქცა, რამაც ქალაქი მრავალი პრობლემის წინაშე დააყენა. დაიძაბა პოლიტიკური ვითარება, გახშირდა ქურდობა, სპეკულაცია დეზერტირობა, რაც მეტად აღელვებდა ავტორის. ყოველივე ამის შესახებ კორესპონდენციაში ვკითხულობთ:

„ძნელად თუ მოიპყება სადმე კუთხე, სადაც სიძვირეს სპეცულაციას, მოვაჭრეთა უსინდისობას ასე ფართოდ ჰქონდეს ასპარეზი გაშლილი, როგორც ამას ბორჯომში ვხედავთ. ფასები პირველმოთხოვნილების საგნებზე საათობით იზრდება. ხალხის არანორმალურ საზრდოობას ზედ დაერთო დამშეულ ლტოლვილთა ჩამოსახლება, რასაც თან დაპყვა სხვადასხვა ეპიდემიური სწეულებანი, რამაც უკანასკნელ დროს მეტად საშიში სახე მიიღო“, - წერდა ის და ამასთანავე, ყურადღებას ამახვილებდა ისეთ მნიშვნელოვან დეტალზე, როგორიც იყო მხარეში სამედიცინო პუნქტების, ამბულატორიების სიმცირე. მისი თქმით, სამედიცინო დაწესებულებების არქონა სანაპირო ქალაქში მძიმე ეპიდემიურ საშიშროებას წარმოშობდა. პუბლიცისტი როგორც ქალაქის, ასევე მხარის პრობლემას უზუგეშოს უწოდებდა და გამოსავალს მხოლოდ მსგავსი დაწესებულებების გამრავლებაში ხედავდა. მსგავს მდგომარეობაში მხოლოდ ბორჯომი არ ყოფილა, იგივე სიტუაცია იყო ახალციხესა და მესხეთის სხვა დასახლებულ პუნქტებშიც.

ომის დასრულების შემდეგ, მხარეში ბევრი პრობლემა გახდა მოსაგვარებელი: ომის შედეგად შექმნლი ანარქია, ქაოსი. ყველაზე მწვავედ კი სოციალური პრობლემა დადგა. ავტორი გულისტკივილს ვერ ფარავდა მხარეში გამეფებული შიმშილის, უსახლკარობის, დევნილობის გამო. არსებულ ვითარებას კიდევ მეტად ართულებდა ხელისუფლების უნიათო დამოკიდებულება აღნიშნული საკითხებისადმი. ზ. დიდიმამიშვილი ხელისუფლების გულგრილობას სხვა პუბლიკაციებშიც არაერთგზის უჩიოდა, მაგრამ კორესპონდენციში „წერილი ახალციხიდან“, რომელიც გაზეთში სამ ნაწილად დაიბეჭდა, ის უკომისრომისოდ დაუპირისპირდა სამთავრობო ორგანოებს და კონკრეტული არგუმენტების საფუძველზე მკაცრად გააკრიტიკა მმართველი ძალა.

„აშკარაა, რომ ახალციხელებს თავზე გვაწერია უპატრონობა, მაგრამ ისეთ უპატრონობას, როგორსაც დღეს განვიცდით, ადგილი არ ჰქონია“ (გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 №703: 2) – წერდა პუბლიცისტი და კიდევ უფრო აკონკრეტებდა მესხეთში შექმნილ სიტუაციას და აანალიზებდა ომის შედეგებს.

როდესაც ახალციხე ქართულმა ჯარმა დაიკავა, მდგომარეობა უმართავი გახდა, სურსათ-სანოვაგეზე ფასების კატასტროფულ ზრდას სპეცულაცია და მექრთამეობაც დაერთო თან. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა შეიარაღებული ბანდების თარეში და

მილიციის უძლურება. ზ. დიდიმამიშვილი შექმნილ სიტუაციას „ვაქ-სანალიას“ უწოდებდა და იქვე დასძენდა:

„ჩვენ ვებრძით მექრთამეობას და ამ მექრთამეობას ისევ ჩვენ ვუწყობთ ხელს, დაყოვნება გვიქადის ანარქიასა და მექრთამეობის გაგრძელებას“, – და საბოლოოდ ერთ დასკვნამდე მიდიოდა – „ყველა ეს ძირს გამოუთხრის რესპუბლიკის განმტკიცებას.“ (გაზე-თი „სახალხო საქმე“, 1919 №703)

ზ. დიდიმამიშვილი ისევე, როგორც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, იმედგაცრუებული იყო, რადგან დაუცველად და უუფლებოდ გრძნობდა თავს. მისი აზრით, რეალობა გაცილებით უფრო მტკიცნეული იყო, ვიდრე საზოგადოებას წარმოედგინა, სწორედ ამიტომ შემოჰკერა განგაშის ზარი: „ქალაქი ანგისანიტარიულ მდგომარეობაშია, სურსათ-სანოვაგის საკითხი მწვავე ხასიათს იღებს. სპეცულაცია მაგრად იყიდებს ფეხს. თანდათან ხშირდება ავადმყოფობა, ქალაქი უწყლოდ სულს ღაფავს“.

პუბლიცისტი შეგუებას ბრძოლას ამჯობინებდა და ხელისუფლებას პრობლემების მოვარებისაკენ მოუწოდებდა:

„საჭიროა დროზე ჯეროვანი ზომების მიღება..... დროა პატრონობისა.. მთავრობამ უნდა მიიღოს საჩქარო ზომები!“ — ვკითხულობთ მასალაში (გაზეთი „სახალხო საქმე“ 1919 №703).

როგორც „სახალხო საქმის“ სხვა პუბლიკაციებიდან ირკვევა, ზ. დიდიმამიშვილის დაუღალავმა კრიტიკამ შედეგიც გამოიღო. შეკეთდა ენთლის წყალსადენი და ქალაქის ძველსა და ახალ უბნებს წყლის პრობლემა მოეხსნა.

როგორც დავინახეთ, გასული საუკუნის 20-იან წლებში ზაქარია დიდიმამიშვილმა დაუღალავი პუბლიცისტური მოღვაწეობით ფართო საზოგადოება არაერთხელ დააფიქრა მესხეთის ბედზე. საჯარო მსჯელობის საგნად აქცია მხარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ამავე დროს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ზოგიერთი მათგანის მოგვარებაშიც.

ჩვენ მიერ განხილული მასალები მხოლოდ მცირე ნაწილია ზაქარია დიდიმამიშვილის მდიდარი პუბლიცისტური შემოქმედებისა, მისი მემკვიდრეობა საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს, რის შემდეგაც ის თამამად დაიკავებს ჯეროვან ადგილს ქართული უურნალისტიკის ისტორიაში.

ვასილ კვინცხაძე

დაიბადა 1937 წლის 23 ნოემბერს, ბორჯომის რაიონის სოფ. დგვარში, მრავალშვილიან ოჯახში. სოფ. ტაძრისის სამ. სკოლის დამთავრების შემდეგ 1957 -1961 წლებში სნავლობდა თბილისის მხატვრული თვითშემოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე. მუშაობდა კულტურის სახლატევრო ხელმძღვანელად და ქორეოგრაფიულ ჯერ ადგიგნის რაიონის სოფ. უდეში, ხოლო 1965 წლიდან ახალციხის სარაიონო კულტურის სახლში.

მესხეთის სახ. დრამატულ თეატრში ქორეოგრაფიულად გაფორმებული აქვს 45 სპექტაკელი.

არის საქართველოს, საბჭოთა კავშირის, მსოფლიო ფესტივალებისა და ოლიმპიადების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.

გასილ კვინცხაძე ხელმძღვანელობდა ქორეოგრაფიულ ანსამბლებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.



ერთი სიმღერის ისტორია

იდგა 1965 წელი. მთელი საქართველო ემზადებოდა რუსთაველის 800 წლის იუბილესათვის, მათ შორის, ახლაციხის რაიონიც. დაკომპლექტდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ხელმძღვანელებად მოინვიეს სიმღერის გუნდში – ქეთევან ლოლობერიძე, დამხმარედ – შოთა ალთუნაშვილი, ქორეოგრაფად – გიორგი სალუქვაძე, რომელსაც ვეხმარებოდით მე და ვახტანგ კვესელაძე. ვმეცადინეობდით კვირაში სამ დღეს. სალუქვაძე (იგი მახარაძელი იყო) თვეში ორ-სამჯერ ჩამოდიოდა, დანარჩენ სამუშაოს მე და ვახტანგი ვასრულებდით.

შედგა სამუშაო პროგრამა. ბატონმა მიხეილ მეძმარიაშვილმა (იგი პროგრამას ხელმძღვანელობდა) მოითხოვა, ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის გამოხსნის ინსცენირება, სადაც გურამ ანდრონიკაშვილი იქნებოდა ტარიელი, მე ავთანდილი, ამირან მამუკაშვილი – ფრიდონი, ციცო ახვლედიანი ნესტან-დარეჯანი. ინსცენირებაში საჭირო იყო ცეკვა „ფარიკაობა“... სასურველი იქნებოდა გუნდს რაიმე ემლერა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ქეთევან ღოღობერიძემ ჩამოიტანა რევაზ ლალიძის საცეკვაო მელოდიის ნოტები, რომელიც გამოყენებული იყო მხატვრულ ფილმში „ხევსურული ბალადა“. მუსიკის მასნავლებელმა გურამ მეგრელიშვილმა იქვე გაარჩია ნოტები და მელოდიაც სასიამოვნოდ აუღერდა. ქეთევანმა წამოაყენა წინადადება, იქნებ, რაიმე ლექსი მოგვეძია, რომელიც მელოდიაში „ჩაჯდებოდა“. მას მანამდე მოსმენილი ჰქონდა ლექსად ჩემი ნაცოდვილარი „ზეიმი ვარძიაში“. მოსწონდა, მაგრამ მელოდიაში არ „ჯდებოდა“ და მითხვა: ვასო, იქნებ როგორმე სიტყვები ჩაამატო, ოღონდ შინაარსი არ შეცვალოთ. მეორე დღესვე მივიტანე ის ვარიანტი, რომელიც პირველად 1966 წელს ჯერ ოფიცერთა სახლში შესრულდა საზეიმო კონცერტზე, ხოლო მეორე დღეს ვარძიაში, როცა მობრძანებულ სტუმრებს ირაკლი აბაშიძე მიესალმა. იგი თამადობდა სუფრას. მეორე თუ მესამე სადღეგრძელოს შემდეგ ახალციხის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა ეს სიმღერა იმ დროს შეასრულა, როცა გორგოლაჭებზე მთლიანად შემწვარი ირმები და ჯიხვები ამობრავდნენ სუფრაზე (ორი 100 მეტრიანი მაგიდა იყო გაშლილი, ოღონდ სტუმრები მხოლოდ ცალ მხარეს უსხდნენ) ახალციხის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ამ მაგიდებთან ახლოს იყო განლაგებული.

ოფიცერთა სახლში საზეიმო კონცერტი, მართლაც, ისე ჩატარდა, როგორც სცენარის მიხედვით იყო, ხოლო ვარძიაში, ციხიდან ნესტან-დარეჯანის გამოხსნის სცენა არ ყოფილა მხოლოდ „ფარიკანბა“, ასევე, „დავლურ-ქართული“ ვიცევეთ.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ბატონმა გიორგი სალუქვაძემ, ვახტანგ კვესელაძემ და მე შემოვიარეთ სამცხე-ჯავახეთი და აღვადგინეთ მესხური ცეკვები: სამსართულიანი - სამნანილიანი „ფერხული“, „იდუმალა“ (ლალ-ოინი) და ცქვიტური „მძიმურით“.

ერთი კიდევ - როდესაც ღონისძიების მზადება მიმდინარეობდა, მაშინდელმა ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა მოისმინეს ალნიშნული სიმღერა და ქეთევანს უსაყვედურეს: „რევაზ ლალიძესთან ვასო კვინცხაძე როგორ გამოვაცხადოთო?“ ქეთევანმა ეშმაკობა იხმარა. ცოტა ხნით, როდესაც მთავრობა მოდიოდა რეპეტიციაზე, ამ სიმღერას აღარ იმეორებდა. დრო გადიოდა, ხელმძღვანელობაც არ კითხულობდა. ქეთევანმა სიმღერა კარგად მოამზადა, ხელმძღვანელობას უთხრა, რომ ტექსტი იოსებ ნონეშვილისააო. კონცერტის წინ, პროგრამის შედგენისას, ნონეშვილი ვეღარ ჩაწერეს, რადგან ნონეშვილი კომისიაში იყო. გიორგი სალუქვაძისა და ქეთევან ღო-

ღობერიძის უდიდესი მოთხოვნით, პროგრამაში ჩემი სახელი და გვარი ჩაიწერა.

მაგრამ შემდგომ წლებში, ადიგენის სიმღერის ანსამბლმა, მაშინ-დელი რაიკომის მდივნის ამირან მექვაპიშვილის მცდელობით, სა-ქართველოს რადიოში ჩანერა: „სიმღერა ვარძიაზე“ – მუსიკა რევაზ ლალიძის, ტექსტი ხალხური. ასე აცხადებდნენ ყოველთვის. თუმცა, საავტორო უფლებაში ვერაფერს გავხდი, ამ ბოლო წლებში ახალ-ციხის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მესხეთი“ ყოველთვის აც-ხადებს: მუსიკა ლალიძის, ტექსტი კვინცხაძის.

სხვათა შორის, ოფიციერთა სახლში (საზეიმო კონცერტზე), ქეთე-ვან ღოღობერიძის მუსიკაზე და ჩემს ტექსტზე შესრულდა სიმღე-რები (ალნიშნულის გარდა), „გაშაირება“ რუსთაველის აფორიზმების გამოყენებით, „განახლებული მესხეთი“.

მოგვიანებით, საკონცერტო პროგრამას შეემატა „ფიქრები თამარ მეფის ფრესკასთან“, რომელსაც ასრულებდა როგორც ახალციხის, ისე აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, გულნარა ნოღაიდელის ხელმძღვანელობით, ოღონდ აქ ტექსტს რატომღაც აცხადებდნენ, როგორც ელენე დიდიმამიშვილისას, ოღონდ ეს ხარვეზი შემდეგ გამოსწორდა.

ზოგი ვარძიაში! ტექსტი - ვასილ კვინცხაძის
მუსიკა - რევაზ ლალიძის

The musical score consists of four staves of music. The first three staves are for voice (soprano, alto, tenor) and the fourth staff is for piano. The lyrics are written below each note in a Georgian script. The music is in common time, with various dynamics and vocal techniques indicated by markings above the notes.

პოვიტი

როდამ თევდორაშვილი

დაგიბადე გარევახეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში. სკოლის დამთავრების შემდეგ დაგამ-თავრე იგნე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფა-კულტეტი ქართული ენა-ლიტერატურის სპეცია-ლობით. შემდეგ დაგოჯახდი. მყავს მეუღლე და სამი შვილი.

2011 წელს გამოვეცი ლექსების კრებული „ძახილი“.

ჩემი ლექსები შევიდა აგრეთვე გორის ლი-ტერატორთა და ხელოვანთა კავშირის პრეზი-დენტის, პოეტ დავით ახლოურის მიერ გამოცე-მულ თანამედროვე ქართული პოეზიის ხუთტო-მეულში.



ტანგო, რომელსაც არ ვიცეპვებ

არ მინდა ტანგო, არ მაცეკვო, ძვირფასო, ნუ მთხოვ,
არ გამიღვიძო გრძნობა ძველი, მიძინებული...

იყავი ისე, ყოფილიყო თითქოსდა უცხო

და დავრჩეთ ასე, ერთურთისგან მივიწყებული.

ვიცი, შენ ალბათ, გაოცდები, არ ფიქრობ ასე

და სიგიურდე გსურს, ვიცეკვოთ ტანგო დილამდე,

შენი თვალები საყვედურის ისრებით მავსებს,

იღვრება თასი მოთმინების — სავსე პირამდე.

გულს ვეურჩები და ბოლომდე იქნება ასე,

ვიგვემავ თავს და გერიდები, როგორც კეთროვანს

და შენ დაგტოვებს, ალბათ, გრძნობა სითბოთი სავსე,

რადგან მე შენთან არ ვიცეკვებ ტანგოს ცეცხლოვანს.

ଓଡ଼ିଆତୀଙ୍କ

ო, როგორ მხიბლავს მოკაშვაშე შენი ციალი,
ზეალმიტაცებს შენს ალებთან ფიქრის გამხელა,
ერთ სიცოცხლედ ღირს მაგ ათასფერ სხივთა ბრიალი,
ამოანათე, ცეცხლოვანო ციცინათელა.
შენც გაქვს გრძნობები, ჩემო, ალბათ, არა იაფი,
მოდი, მალამოდ დაეფინე სულის იარებს,
ააკეკლუცე ჯადოსნური ფერთა კიაფი,
ეს სიყვარულიც მაგ შუქივით ა ა ბ რ ი ა ლ ე.

ଦିନାଂକ

მოვა ზამთარი, დედამინას დაქურება
თოვლის ფიფქებით შეკერილი თეთრი საპანი,
მოგვენატრება მზის სხივების გაზაფხულება,
გადაპენტილი ყვავილებით იასამანი.
გაზოზინებს ეს ზამთარიც და დაამშვენებს
მინდვრებს ფერადი, ჭრელ პეპლების ნაზი კაბანი,
ყვავილთა ეშის სილამაზე გულს ამღერებს
და აყვავდება კვლავ ჩვენს ბაღში იასამანი.
ველარ გაზომა ველარაფრით, რა შორს წასულხარ,
ამ გულმა სევდით აპორგებულ გრძნობის სამანი,
გამოვატანე აპეზარ ქარს შენთან საჩუქრად
ჩემი (კრემლებით დანამული იასამანი.

୧୮୫୩୯୦

ედიშერ ნარიმანიძე

სარმლუროებრივი დაპირისპირება მასხატში*

(1917 წ. ნოემბერი - 1918 წ. ივნისი)

ამიერკავკასიის კომისარიატისთვის ბათუმის, ყარსისა და არტანის ოკრუგების თურქეთისათვის გადაცემა არავის შეუთანხმებია. ქართული და სომხური მიწები თურქეთს გადასცეს ქართველ და სომებს ხალხთა დაუკითხავად, მათი სურვილისა და დასტურის გარეშე.

თურქეთი მაშინვე შეუდგა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მინიჭებული უფლებების რეალიზებას: მოითხოვა პათუმის, ყარსისა და არტაანის ოკრუგების დაცლა. 1918 წლის 10 მარტს თურქეთმა მოითხოვნა კვლავ გაიმეორა. 11 მარტს ამიერკავკასიის სეიმშა თურქეთის მოთხოვნა უარყო. ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმს კარგად ეს-მოძათ, რომ ომი თურქეთთან ადვილი არ იყო, ამიტომ დიპლომატიური გზით სცადეს კონფლიქტის მოგვარება. 14 მარტს ქ. ტრაპი-ზონში დაიწყო ამიერკავკასია-თურქეთის საზავო მოლაპარაკება. ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენეკელი მეთაურობდა (საქართველოს ისტორია, XX ს., ვ. გურულის რედ., თბ., 2003:53).

ამიერკავკასიის დელეგაციის საზაონ გეგმა ითვალისწინებდა შე-
თანხმებას 1914 წლის სასაზღვრო ფარგლებში. თურქეთის მხარე კი
მომართავაკების წინა პირობად მოითხოვდა ბრესტის ხელშეკრულე-
ბით მითითებული ტერიტორიის დაცლას (ა. სურგულაძე, პ. სურ-
გულაძე, საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბ., 1991:193-194). ა. ს.
ჩხერიმელის ცდებს - ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოკრუგები
მთლიანად ან ნაწილობრივ შეენარჩუნებინათ, შედეგი არ მოჰყოლია
- თურქეთის დელეგაცია კატეგორიულად მოითხოვდა ბრესტ-
ლიტოვსკის ზავის პირობების შესრულებას. თურქეთის არმიამ საო-
მარი მოქმედებები დაიწყო: (საქართველოს ისტორია, XX ს., ვ. გუ-
რულის რედ., თბ., 2003:3): 1918 წლის 12 მარტს დაიკავეს ერზერუ-
მი (არზერუმი) (ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა

* პირველი ნაწილი დაიბეჭდა არავი №10-ში გვ. 133-146

მესხეთის გამო, თბ., 1989:16), 19 მარტს ხელთ იგდეს არტაანი და დაიწყეს ქრისტიანი მოსახლეობის ხოცვა-ულეტვა (საქართველოს ისტორია, XX ს., ვ. გურულის რედ., თბ., 2003:53). თურქეთი მიზნად ისახავდა ამიერკავკასია - თურქეთის მიმდინარე მოლაპარაკების პარალელურად სასურველი „დეფაქტოს“ შექმნას. ომის მიზეზად თურქეთი ქრისტიანებისგან, კერძოდ, სომხებისგან მუსულმანთა შევიწროებას ასახელებდა. ამაზე თურქეთის წარმომადგენელი ჯერ კიდევ იანვარში „ჩიოდა“ (შ. ლომსაძე, მესხები, თბ., 1995:264). როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, პროვოკაციამაც არ დაახანა. მარტის თვეში უკვე მოხდა შეტაკება სოფ. გოკიოს მაჰმადიანებსა და სომებს მოსახლეობას შორის (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წე., თბ., 2005:51).

1918 წლის მარტში აჯანყებული ქართველი მაჰმადიანები თავს დაესხნენ ვალეს. გენერალმა შ. მაღლაკელიძემ ვალეს და სოფ. უდეს თავის დასაცავად გადასცა ქვემეხი (შ. მაღლაკელიძე, მოგონებანი, ჟ. „განთიადი“, №1, 1991:26).

1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში ახალქალაქში „დაშნაკები“ გაბატონდნენ.

მაჰმადიანი ბეგები და „დაშნაკები“ ერთმანეთს შეეჯახნენ და გლეხობაც ასევე ერთმანეთს გადაჰქიდეს. „დაშნაკების“ აზრით, რადგან თურქებმა მილიონობით სომები ამოხოცეს, ბავშვებს არ ინდობდნენ, ხიშტებზე აგებდნენ, ამიტომ მათ აქ უნდა ეძიათ შური.

1918 წლის მარტში, სომხური სოფლების სამოცამდე სომებმა უსულ-ხაჩოს ხელმძღვანელობით ახალქალაქის რაიონის სოფელ გოკიოს, სადაც სამოცი კომლი მაჰმადიანი, მეტწილად, აღალარები ცხოვრობდნენ, ალყა შემოარტყეს და დაუშინეს ტყვია. მაჰმადიანები მცირე იარაღით იცავდნენ თავიანთ სოფელს. მათ გარეთ გამოსვლის საშუალება არ ჰქონდათ, ტყვია სეტყვასავით ცვიოდა. ღამდებოდა, მაგრამ სომხებმა სოფელში შესვლა მაინც ვერ მოახერხეს. მაჰმადიანებმა გაარღვიეს ალყა და უკლებლივ ყველა მამაკაცმა თავს უშველა. სოფელში მარტო ქალები და ბავშვები დარჩნენ. გათენებისას, სოფელს რომ აღარავინ იცავდა, მაშინ გაბედეს შესვლა, სადაც მხოლოდ შეშინებული ბავშვები და ქალები დახვდათ.

იმ დროს კოთელიელ ქრისტიან ქართველებს და გოკიოელ ქართველ მაჰმადიანებს კარგი მისვლა-მოსვლა და მეგობრობა ჰქონდათ. მასწავლებელი ანანიაშვილი რამდენიმე კაცით ამბის გასაგებად იყო მისული. მაჰმადიანმა ქალებმა კოთელიელები რომ დაინახეს, იცნეს

და ითხოვეს სომხების თავდასხმისა და აწიოკებისგან ეხსნა მოსახლეობა. ანანიაშვილი უსულ-ხაჩოს შეეხვენა, რომ მისთვის დაეთმო ისინი, რამეთუ სოფელ ტოლოშის ქართველები ტყვეობაში იმყოფებოდნენ და მათზე გადაცვლიდნენ. სომხების განზრახვით ამ სოფლის მოსახლეობა უნდა დაეხოცათ. ბევრი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ უსულ-ხაჩო დათანხმდა. კოთელიელებმა ქალები და ბავშვები თავიანთი ურმებით სოფ. კოთელიაში გადაიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მდგომარეობა ცოტა მიწუნარდა, ღამე სოფ. ხერთვისში თავისიანებთან გააპარეს(ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №6(90), ივნისი, 2006:7).

ამ დროს მხარეში განვითარებულ მოვლენებს დაწვრილებით აღწერს ახალქალაქის სამხარეო კომისარი. თავის რუსულად შედგენილ მოხსენებით ბარათში თბილისის საგუბერნიო კომისარისადმი, ის წერს: „მუსულმანები ძარცვავდნენ ქრისტიანებს, ართმევდნენ იარაღს, არბევდნენ მათ სოფლებს. აღმამფოობელი იყო მათი საქციელი ქართული სოფლების: ერკოტის, ტოლოშის, როკეთის, დადეშის და სხვათა აოხრებისას. მუსულმანები ძალადობდნენ მოსახლეობაზე, გადაკეტეს გზები არდაგანისკენ. ამას მოჰყვა ახალციხის ამბები, არდაგანის ასეულის განიარაღება, ლტოლვილები ართვინ-არტანუჯის ოლქიდან და მათი ხოცვა-ჟლეტა. ყოველივე ამან აავსო ქრისტიანი მოსახლეობის მოთმინების ფიალა. ბოლოს სოფ. გოკიოს თავდასხმამ ჯარის ნაწილებზე და ჩილდირელი მუსულმანების თავდასხმამ სომეხთა სოფელ კარნახზე უკვე გამოიწვია საპასუხო რეაქცია. გოკიოს (75 კომლი) თავს დაესხა ქრისტიანი მოსახლეობის რაზმი. დარბევაში მონანილეობას იღებდნენ ბაჟურიანელი ოსებიც. სოფლის მოსახლეობა მეზობელ ალასტანს შეეფარა. მამაკაცები ჩილდირის ოლქში გაიქცნენ და იქიდან გააფთრებით იბრძოდნენ ქრისტიანების ნინააღმდეგ. გოკიოს დარბევას მოჰყვა მაპმადიანთა სხვა სოფლებზე: ალჯვა (8 კომლი), ხოსპიო (42 კომლი), ყულალისი (22 კომლი) თავდასხმა.

ეს პროვოკაციული მოვლენები პირდაპირ თურქეთის წისქვილზე ასხამდა წყალს. ჯარი უკვე დაძრული იყო მხარის „ქრისტიან მოძალადეთაგან“ გასათავისუფლებლად... (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წნ., თბ., 2005:51-52).

სერვერ-ბეგ ათაბეგმა, რომელიც ყველა ბეგზე მდიდარი და მამულების პატრონი იყო, შეიტყო თუ არა გოკოის ამბავი, ძალიან განრისხდა. მან თავისი ერთი პოლკი დაძრა ფოცხოვიდან ჯავახეთისაკენ. მისი ჯარი ფოცხოვის „ბაშიბოლუზებისგან“ შედგებოდა. ყველას შავი თხის გუდა გადაეკიდათ მხარზე ნადავლის წასაღებად, ამიტომ მათ „ფოცხოვუნ ყარაგუდლიო“, ე. ი. „ფოცხოვის შავგუდიანები“ უწოდეს. სერვერ-ბეგი მათ გიაურების დახმოცვის სანაცვლოდ ბრძოლებში მოპოვებულ ნადავლს დაპირდა. სერვერ-ბეგმა თავისი ჯარით სოფ. ურაველი გადმოიარა სოფლებზე ძველზე და ჭობარეთზე, გადმოვიდა ასპინძაში და ხერთვისში ავიდა. მის ჯარს ახალ-ახალი ბანდები მიემატა და მთელი არმია შეიქმნა. მათ თვითონ არაფერი გააჩნდათ და გლეხებს ყველაფერს ართმევდნენ. სერვერ-ბეგს უნდოდა, რაც შეიძლება მალე შეჭრილიყო ჯავახეთის სოფლებში და შური ეძია გოკიოს ახლომდებარე სომხურ სოფლებზე. გზა სოფ. საროზე უნდა გაევლო. ამას ისიც დაემთხვა, რომ ხერთვისელი აბას-აღა და საროელი მდვდელი ვლაძემერ ვახტანგის ძე თუთბერიძე (შორაპნის მაზრის სოფ. ფუთიდან იყო) ბევრი მოლაპარაკების შემდეგ ვერ მორიგდნენ - ქართველი ქრისტიანები და მაჰმადიანები ერთმანეთს წაეკიდნენ. ამიტომაც იყო, რომ აბას-აღამ ჯერ საროს აღება განიზრახა, შემდეგ მლვდლის თუთბერიძის ფიზიკურად მოსპობა(ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №6(90), ივნისი, 2006:7).

საროელებმა გენ. შ. მაღლაკელიძეს დახმარება სთხოვეს. შ. მაღლაკელიძემ, გაგზავნა პოლკოვნიკი გიორგი კობეშავიძე. მას გაატანა ქვემეხი და გააყოლა 6 არტილერისტი სოფ. უდიდან და ვალიდან (ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №12(96), დეკემბერი, 2006:26).

საარქივო მასალები, მემუარული უანრისა და დოკუმენტური ხა-სიათის მასალები, ზაქარია დიდიმამიშვილის, შალვა მაღლაკელიძის, ვიქტორ ნოზაძის, ზაქარია ალელიშვილის და სხვათა მოგონებები კარგად ასახავს 1917-1919 წლებში საქართველოს სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთში მცხოვრებ მაჰმადიანთა აჯანყებას, მათ ბრძოლას დამოუკიდებელი მუსულმანური ავტონომიის შესაქმნელად. მაჰმადიანი ქართველები უპირისპირდებოდნენ ქრისტიან თანამოძმებს, სამშობლოს ინტერესებს. ეს ბრძოლა ტრაგიკული იყო, ქრისტიან სომხებთან ერთად, ქართველი ქრისტიანები ღვრიდნენ იმ

ადამიანთა სისხლს, რომლებიც ისტორიამ წამებული გზით ატარა: წაართვა რწმენა, ეროვნული სული და ცნობიერება. ამ პრძოლის აღწერა კიდევ ერთხელ გვაძრუნებს იმ ტკივილისკენ. ზაქარია ალელიშვილის მოგონებები დეტალურად აღწერს ჯავახეთის ერთი სოფლის საროს პრძოლის ისტორიას, ქართველ მაჰმადიანთა ამაო სისხლისღვრას და ძმებს შორის გამართულ ბაზალეთს. ზაქარია ალელიშვილი იგონებს, რომ მაჰმადიანებმა შეარჩიეს ბნელი, ნისლიანი ღამე და კალიასავით მოედვნენ საროს ხრამებს და ალყა შემოარტყეს სოფელს. ჯავახეთში ეს ამბავი არავინ იცოდა, ყველას არხეინად ეძინა. გათენდა, საროელები ეზოში გამოვიდნენ თუ არა, მაჰმადიანებმა მათ სეტყვასავით დააყარეს ტყვია. მაჰმადიანებმა ტელეფონის ხაზი ვერ შეამჩნიეს, რომელიც მიწაზე ეგდო და გადაუჭრელი დარჩათ. ამით ისარგებლეს საროელებმა და სწრაფად დაუკავშირდნენ ჯავახეთის სოფელებს. არავინ იცოდა, როდის მოვიდოდა დამხმარე ძალა. საროელებს სულ 50 მეთოვე ჰყავდათ, მათ შორის მოხუცები ბერდანკებით იყვნენ შეიარაღებულნი. აქ იმყოფებოდა პოლკოვნიკი გიორგი კობეშავიძე. ყველა საროელი მასთან შეგროვდა. ისინი მისგან ელოდნენ რჩევას. პოლკოვნიკმა გიორგი კობეშავიძემ ხალხი გაამხნევა, მებრძოლებს კი მონინააღმდეგესთან ბრძოლისკენ მოუწოდა. კობეშავიძემ კარგად იცოდა, რომ მაჰმადიანები სულ „ბაშიბოლუზები“ („თავგაუმაძლებები“, -ე.ნ.) იყვნენ, მათ დისციპლინა და სამხედრო ცოდნა არ ჰქონდათ, რომ მათი მოგერიება ადვილად შეიძლებოდა. მან მოხუცები სოფელში დატოვა, დაავალა, რომ საფრებიდან ესროლათ თოფები და არ შემოეშვათ მაჰმადიანები, სანამ დახმარება არ მოვიდოდა. პოლკოვნიკი კობეშავიძე ძალიან ჩქარობდა, რადგან თუ ნისლი გადაიყრებოდა, მაჰმადიანები მათ ადვილად შეამჩნევდნენ და საქმეს წაახდენდნენ. იგი სმალამოლებული წაუძღვა ოციოდე კაცს. მღვდელიც თოფით ხელში გაჰყვა მას. ისინი ხან მუცელზე მიხოხავდნენ, ხან ქვებს ეფარებოდნენ. საროელებმა კარგად იცოდნენ ადგილმდებარება, ამასთან ნისლიც იდგა, რაც ხელს უწყობდა მათ გადაადგილებას. რამდენიმე მაჰმადიანი ყორეს მოფარებოდა და ნისლის გადაყრას უცდიდნენ, რომ სოფლისთვის აეტებათ სროლა. საროელები დარწმუნდნენ, რომ ყორესთან მაჰმადიანები იყვნენ ჩასაფრებულები, ახლოს მიხოხდნენ ფრთხილად, რომ თითქმის ესმოდათ მათი ლაპარაკი. პოლკოვნიკმა კობეშავიძემ „ვაშა“ დასძახა და თავისი რაზმით მოულოდნელად დაესხა თავს. მაჰმადიანები ამ მოულოდნელმა თავდასხმამ დააბნია,

მათ ველარ გაუწიეს წინააღმდეგობა და გაქცევით უშველეს თავს. ქართველმა ქრისტიანებმა გამარჯვება მოიპოვეს. საუბედუროდ, მტრის ბრძანი ტყვიამ პოლკოვნიკი კოშეშავიძე სასიკვდილოდ დაჭრა, რომელიც გზაში გადაყვანის დროს, სოფელ ვარგავში გარდაიცვალა (ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №6(90), ივნისი, 2006:7). საროელების ხელმძღვანელობა მღვდელმა იყისრა. ისინი სწრაფად გაიშალნენ შემაღლებულ გორაზე.

ხიზაბავრაში ამ დროს დახახლოებით 400 კაცი იყო შაშხანებით შეიარაღებული. მათ უნდოდათ თავიანთ სოფელში გამაგრებულიყვნენ და ეშინოდათ, საროელებს რომ დახმარებოდნენ. მაშინ ხიზაბავრელმა ეფრემ ველიჯანაშვილმა მოუწოდა თანასოფლელებს: „ეგ ხომ ლალატია, საროველები ჩვენი ძმებია, სასწრაფოდ უნდა მივეშველოთ. როდის ყოფილა, რომ ჩვენს მამა-პაპას ზურგი შეეციოს თათრებისათვის. მე წინ გაგიძლვებით და ვინც უარს გამიბედავს, წვრილშვილიანად გადავბუუგავო“. ამ მამაცი კაცის სიტყვებმა დიდი გავლენა მოახდინეს ხიზაბავრელებზე. როცა საროს მიუახლოვდნენ, მათ მტკვრის მხრიდან შეუკრეს მაჰმადიანებს გზა და ტყვია დაუშინეს (ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №6(90), ივნისი, 2006:7).

ეფრემ ველიჯანაშვილის ჯარმა ბევრი მაჰმადიანი ჩახოცა საროს ხეობაში, რომლებიც უწესრიგოდ გარბოდნენ ხერთვისისკენ. აქ ერთი ბილიკი-გზა ჩადიოდა კლდეებში, სადაც მათ უნდა ჩაევლოთ. ველიჯანაშვილის დავალებით, 25 კაცი წინასწარ შეიპარა ხრამიდან და გზა შეუკრა მაჰმადიანებს. მაჰმადიანები რომ ზედ მიაწყდნენ, ხიზაბავრელებმა მაშინ დაუშინეს ტყვია. აქ ბევრი ფოცხოველი მოკლეს, ზოგიც კლდეებიდან გადაცვივდნენ და დაიღუპნენ. ველიჯანაშვილმა კარგად იცოდა, რომ თუ მტრები საროს ხელში ჩაიგდებდნენ, დიდ-პატარას მთლიანად ამოულებელდნენ. იგი ვარაუდობდა, რომ თუ მტერი ბაკურიანის გზას გადაჭრიდა და ხელში ჩაიგდებდა მთელ ჯავახეთს, ხიზაბავრასაც ის დღე ელოდა, რაც საროს. ამიტომ მან გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სარო ბოლომდე დაეცვა. ამ მამაცმა კაცმა დიდი გმირობა ჩაიდინა ჯავახეთის მოსახლეობის გადარჩენაში. ამასთან მთელი ჯავახეთის მოსახლეობაც წამოსულიყო და ზემოდან გზა შეეკრათ მაჰმადიანებისათვის. ხიზაბავრელები ლოდებს შუა ჩასაფრდნენ და ზურგიდან დაუწყეს სროლა. მაჰმადიანებს ეგონათ, რომ ქრისტიანებს ბევრი ჯარი ჰყავდათ

და ზურგიდან ურტყამდნენ. მტერმა დამხმარე ძალა რომ შენიშნა, უკან დაიხია, რადგან მეთაური ბეგები წინასწარ გაიპარნენ - მათ ზურგი იბრუნეს. ბეგები ხერთვისისკენ უკუიქცნენ. საროდან ხერთვისში ერთი ვიწრო გზა გადიოდა-საცალფეხო. მაპმადიანთა რაზმს ამ გზით უნდა გაევლო, მაგრამ ქრისტიანებმა ორივე მხრიდან დაუშინეს ტყვია. მათ არ იცოდნენ რა აქაური გზები, კლდებზე ცვიოდნენ და იღუპებოდნენ. სერვერ-ბეგმა დიდძალი დახოცილი დაფრილი დატოვა საროს ხრამებში. შავი გუდები სირცხვილით ცარიელი ველარ წაიღეს და იქვე დაყარეს. ჯავახეთის მთელი მოსახლეობა გამოვიდა თანამემამულეთა საშველად, მტერს უკან მისდევდნენ, ტყვიას აყრიდნენ და უმოწყალოდ ხოცავდნენ მომხვდურებს. საროს ამბავი რომ გაიგეს ჯავახელებმა-ვარგავიდან, კოთელიდან, ბარალეთიდან, ჭიხარულადან, ბალანთიდან, ვარევნიდან, პრტენა-ჩუნჩხიდან, ქილდიდან, გოგაშნიდან, აფნიიდან, ზედათმოვკიდან, აგარიდან, მურჯახეთიდან ხალხი შაშხანებით ხელში საროსკენ გაემართა მისაშველებლად.

სოფელ ვარგავის მღვდელმა შეშაბერიძემ შეაგროვა ხალხი, ვისაც იარაღი გააჩნდა და წინ გამოუძღვა. მას მარჯვენა ხელში ჯვარი ეჭირა, მაღლა ალემართა და ხალხს ამხნევებდა: „შვილებო, ხომ გაგიგონიათ ასპინძის ომი, ერეკლე მეფემ რომ დაამარცხა თურქის ჯარი, რომელიც ბევრით ალემატებოდა ქართველებისას... საროს ხალხი განსაცდელშია და უნდა გადავარჩინოთ თათრების რისხევისაგან, ჩვენი მამა-ბაბის სახელი არ უნდა შევარცხვინოთ, თათრები სულ გამოუცდელები არიან და ეგენი წინ ვერ დაგვიდგებიანო“.

მღვდელს ხელში ჯვარი ეჭირა, მაგრამ მხარზე თოფი გადაეკიდა და ხალხს წინ წაუძღვა სოფელ წერაკუნტისაკენ, საიდანაც თოფების სროლის ხმა ისმოდა.

სოფელ წერაკუნტიდან იმ ხეობაში, რომელსაც „ფინდიხლის“ (ე.ი. „თხილნარს“, -ე.ნ.) ეძახდნენ, უამრავი მაპმადიანი იყო გადმოსული. მათ განზრახული ჰქონდათ, რომ წერაკუნტის ხრამებიდან ამოსულიყვნენ და ზევით ქარაფზე გზა გადაეჭრათ სარო-ხიზაბავრავარგაველებისათვის. სოფელ ვარგავის მკვიდრი, პავლე დავლაშერიძე, რომელიც განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდა ამ ბრძოლებში, დროზე მივიდა კაპანში, ჩასაფრდა და მაპმადიანებს წინ წამოწევის საშუალებას არ აძლევდა. მას ვაზნები უთავდებოდა და აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. სწორედ ამ დროს მას სოფელ საროდან და ვარგავიდან რაზმები მიეშველნენ. მათ სეტყვასავით

დაუშინეს ტყვია, მაგრამ მაჰმადიანები ნელ-ნელა მაინც მოიწევდა წინ და ძნელი იყო ამ მცირე ხალხით მათი შეჩერება. ჯავახეთის სოფლებიდან თანდათანობით მატულობდა ხალხი და ეს ამხნევებდა ქრისტიანთა რაზმს.

სოფელ საროსა და ვარგავის რაზმებს მღვდლები მეთაურობდნენ და მორალურად ამხნევებდნენ მებრძოლებს.

სროლა ორი საათი გაგრძელდა, მაჰმადიანებმა კი ვერა და ვერ შეძლეს ხრამიდან ვაკეზე ამოსვლა.

ახალქალაქიდან ერთი ტყვიამფრქვევი ჩამოეტანათ და აპაზ-ბეგის მხრიდან მოისმოდა მისი კაკანის ხმა. შეტევაზე ვერცერთი მხარე ვერ ბედავდა გადასვლას, რადგან ეს ხრამები ძალიან ქვიანი და მიუდგომელია. მაჰმადიანებმა ტყვიამფრქვევის ხმა რომ გაი-გონეს ზურგიდან, შეშინდნენ, ქრისტიანებმა არ მოგვიმწყვდიონო და ვაკეზე ამოსვლა ხრამიდან, თუმცა ვერ შეძლეს.

მაჰმადიანებს ეგონათ, რომ ქრისტიან ქართველებს დიდი ჯარი ჰყავდათ და უწესრიგოდ დაიწყეს უკან დახევა. ქრისტიან ქართვე-ლებს მხედველობიდან არ გამოჰქარვიათ ეს და უკან დაედევნენ. ხერთვისის გზა პოლკოვნიკ გიორგი კობეშვილისა და ხიზაბავრელი ეფრემ ველიჯანაშვილის ჯარებს შეეკრათ მტრისთვის. ორი მღვდელიც თავისი რაზმებით მაჰმადიანებს კვალდაკვალ მისდევდა.

მაჰმადიანებმა რამდენიმე ზარბაზანი გადმოიტანეს სოფ. იდუ-მალაში, რომელიც 4 კმ-ითაა დაშორებული ასპინძიდან და იქ გა-ჩერდნენ. მათ ბრძანება არ ჰქონდათ ხალილ-ფაშასაგან, რომელიც ახალციხეს უახლოვდებოდა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის წი-ნააღმდეგ გაელაშქრათ, ამიტომ ქართველ მაჰმადიანთა მებრძოლ ჯგუფებს დახმარება ვერ გაუწიეს. აბას-ალას ხევნისათვის ყურა-დღება არავის მიუქცევია. ასე ჩაიხოცა ფიცხოვის ბანდა „ფინდიხ-ლის“ ხეობაში (ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №7(91), ივლი-სი, 2006:5).

როცა თურქეთის ჯარებმა სოფ. კარნახში ზარბაზნები დაუშინეს სომხებს, სომხები შეშინდნენ, თავიანთი პოზიციები მიატოვეს და გაიქცნებ.

თურქებმა ახალქალაქი აიღეს. ახალქალაქის და მისი მიმდებარე სოფლების კათოლიკე სომხებმა თავი შემდეგნაირად გადაირჩინეს: მათ ახალქალაქის შენობებს ცეცხლი წაუკიდეს, ქალაქი გაძარცვეს

და თურქების მომხრეებად გაასაღეს თავი. თურქებმა დაუჯერეს მათ, რადგან კათოლიკე სომხებმა თათრული ენა კარგად იცოდნენ.

სოფ. კარწახიდან გაქცეულმა სომხებმა ქართველებს არაფერი შეატყობინეს. სოფლების: აფნიის, გოგაშნის, ქილდის, ჩუნჩხის, პრტენის მოსახლეობამ მაშინ შეიტყო სომხების წასვლა, როცა ცხვარ-ძრ ოხით და შებმული ურმებით ღამე მიადგნენ ახალქალაქს. თურქებმა, როგორც კი შეამჩნიეს, რომ ქართველი მოსახლეობა ქალაქს მიადგა, ტყვია დაუშინეს. ხალხმა ყველაფერი მიატოვა და უკან გაიქცა. საქონელი და დატვირთული ურმები თურქებმა იგდეს ხელთ. ბაკურიანიდან ქართულმა ჯარმა სოფელ არაგვაში ორი ზარბაზანი გადმოიტანა. მათ კაპიტანი ბოლქვაძე მეთაურობდა. აქ ასევე იყვნენ: კაპიტანი ალექსიძე, პორუჩიკები - ბერეჟიანი, ზაუტაშვილი და სხვ. მათ ორი დღე შეაჩერეს თურქები ახალქალაქში, ვიდრე გაქცეული ხალხი მიაღწევდა წალკასა და ბაკურიანს. შემდეგ ისინიც თავიანთი ზარბაზნებით ბაკურიანში გადავიდნენ. საუბედუროდ, იმ ღამეს მთებზე თოვლი მოვიდა და დევნილებს მთაზე მოუნიათ გაჩერება. ამ ადგილს „ჯამუშდვიზს“ (ე.ი. „კამეჩის ველს“-ე.ნ.) ეძახდნენ. იმ ღამეს სიცივისაგან დიდძალი საქონელი და ხალხი დაიხოცა.

მწვავე ბრძოლები გაიმართა აგრეთვე ქრისტიანი ქართველების სოფელ ქილდასა და სოფელ კვარშის მაჰმადიანებს შორის(ზ. ალელიშვილი, შევი ლრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №7(91), ივლისი, 2006:5).

1918 წლის მარტში ადგილობრივმა მაჰმადიანებმა ურავლის და იდუმალის საზოგადოებიდან იძულებული გახადეს ერკოტელები და ეტოვებინათ სახლ-კარი და გაქცეულიყვნენ. რისი წალებაც მოასწრეს, წაიღეს, რაც არა (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წ., თბ., 2005:70), - ბაკურიანში გაქცეული ერკოტელების ქონება - ცხვარ-ძროხა, საოჯახო ნივთები) (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წ., თბ., 2005:70) - დაიტაცეს და გაძარცვეს ადგილობრივმა მაჰმადიანებმა ურავლისა და ლებისის საზოგადოებიდან. მათ შორის ოსკერიის, ქუნცის, აძგვიტის (ანუვიტის, -ე.ნ.) და როკეთის მაჰმადიანებმა. ადგილობრივ მაჰმადიანებს მეთაურობდნენ: ოშორელი მოლა მურთაზ მუსტაფა-ოლლი, ყამზელი რეშიტაი, ვარნეთიდან ჰასან ბაში-ოლლი და რეშიდ ოლლი(მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 -

1944 წწ., თბ., 2005:71). იმ გაზაფხულზე მაჰმადიანებმა მოკლეს ორი ერკოტელი - შიო სატიძე და ეგნატე ტივაძე, გადაწვეს სახლ-კარი. ერკოტელები სოფელ საროდან ხედავდნენ, როგორ იწვოდა მათი სახლები ერკოტაში. ამ დარბევაში მონანილეობდა ერკოტის მეზობელი სოფელი ვარნეთი(მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:70). ქრისტიანების გაქცევის შემდეგ ერკოტაში მოვიდნენ და და-სახლდნენ სომხებისგან დარბეული გოკიოს მაჰმადიანები, რომლებ-იც აქ აპრილსა და მაისში დარჩნენ (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორ-ტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:71).

1918 წ. (ე.6.) 28 მარტს დაარბიეს ჯავახეთ-ერუშეთის სოფლები, ზედა თმოგვი და აგარა(მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარ-სულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:33). თმოგვში 7 კაცი მოკლეს მაჰმადიანებმა(მ. ბერიძე, პირდაპირი რე-პორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:370).

აჯანყებული ქართველი მაჰმადიანები არ ცხრებოდნენ. საჭირო იყო ქართული სოფლების დაცვა. გენერალი შ. მაღლაკელიძე დღე-დაღამ თავდაუზოგავად იბრძოდა. მას არ ჰქონდა კავშირი ამიერ-კავკასიის კომისარიატთან. მაღლაკელიძის განცხადებით, გეგეჭკო-რი მოითხოვდა, რომ გენერალი მაღლაკელიძე გამოეცხადებინათ მტრად, რადგან ის თითქოს არავის ხელისუფლებას არ ცნობდა(შ. მაღლაკელიძე, მოგონებანი, უ. „განთიადი“, №1, 1991:25). შ. მაღლა-კელიძის არც თუ უმართებულო შენიშვნით, თბილისში ვერ წარ-მოედგინათ ის, თუ რა საშიშროების წინაშე იდგა სამცხე-ჯავახეთი: „თბილისი ვერაფრით გვეხმარებოდა და, იმ მაჰმადიანთა გავლენით, რომელნიც ამიერკავკასიის კომისარიატში შედიოდნენ, თვით კომი-სარიატი ჩემს გადაყენებასა და პასუხისმგებაში მიცემას მოითხოვდა. მე კი საკუთარი ინიციატივით განვაგრძობდი ამ კუთხეში ქართვე-ლების დაცვას. თბილისში არ ესმოდათ, თუ რა ხდებოდა სამცხე-ჯავახეთში. ჩემთვის ეს საკითხი ნათელი და გარკვეული იყო. საქმე ეხებოდა მთელ მესხეთს. დარჩებოდა იგი ჩვენს ხელში, თუ შევიდო-და იქ ოსმალეთი, ვინაიდან აჯანყება მოწყობილი იყო ოსმალეთის აგენტების მიერ და მიზნად ისახავდა ოსმალეთთან ამ მხარის შეერთებას“, - წერდა შემდეგში შ. მაღლაკელიძე (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006:12).

გენერალი შ. მაღლაკელიძე არ დაემორჩილა არც კომისარიატს, არც გეგეჭკორს და არც ქარცივაძეს, რომ მოლაპარაკება ბორჯომში ეწარმოებინათ. მან მოითხოვა მათი აწყურში მობრძანება (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006:25).

ამის შემდეგ შ. მაღლაკელიძე აწყურში შეხვდა ამიერკავკასიის კომისარიატის მთავრობის დელეგაციის (ახმედ-ბეგ ფეფინოვი, არჯევანიძე, ნიკოლოზ ქარცივაძე). მათ მოითხოვეს, ეს კუთხე დელეგაციისათვის ჩაეტარებინათ. შალვა მაღლაკელიძემ უარი განაცხადა. უკიდურეს დელეგაციის თბილისში დაბრუნების შემდეგ შ. მაღლაკელიძეს მოუვიდა კატეგორიული ბრძანება, რომ თბილისში წასულიყო და განეული საქმიანობის შესახებ ხელისუფლებისათვის შესაბამისი მოხსენება წარეგზავნა. თანამშრომლების დაუინებული თხოვნით გენ. შალვა მაღლაკელიძე არ წავიდა და მოხსენება ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარეს ძიძიგურს გაატანა (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006:12). აწყურში ის შეიძყრეს მაჰმადიანებმა და სასტიკი წამებით მოკლეს (დ. კოშორიძე, სამცხე-ჯავახეთი, წარსული და დღევანდელობა, თბ., 1987:18). (მაჰმადიანებმა მას ჯერ ყურები მოსჭრეს, შემდეგ მარჯვენა ხელი და ბოლოს ცულით თავი გააგდებინეს) (შ. მაღლაკელიძე, ნაწყვეტი ახლო წარსულიდან - მესხეთის გარშემო, უ. „ქართლოსი“, პარიზი, №30-35, 1939:342). მასთან ერთად ანამეს მისი მხლებელი ორი ქართველი ჯარისკაცი (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006:18). ეს მოხდა 1918 წლის მარტში (ე.ნ.).

შალვა მაღლაკელიძემ ბოროტმოქმედინი სასტიკად დასაჯა და გზა ბორჯომისკენ ისევ გახსნა (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006:12).

შ. მაღლაკელიძის სიმტკიცით განაწყენებულმა ამიერკავკასიის კომისარიატმა გადაწყვიტა, რომ ხელისუფლება გადაეცა მაჰმადიანებისათვის, კერძოდ, პოლკოვნიკ ყაჯარისათვის. პოლკოვნიკმა ყაჯარმა იმდენი მოახერხა, რომ თბილისში მყოფი ამიერკავკასიის კომისარიატის ნდობა დაიმსახურა და ამიერკავკასიის მთავრობის უკმაყოფილება შ. მაღლაკელიძის წინააღმდეგ გამოიყენა. პოლკოვნიკი ყაჯარი იმუამად უკვე აბასთუმანში იყო გამაგრებული თავისი მაჰმადიანთა მე-8 პოლკის ნაწილით. შ. მაღლაკელიძეს ის არასანდო პიროვნებად მიაჩნდა და თავის შემცვლელად გენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილი სურდა, იგი ლირსეული და პატრიოტი ადამიანი იყო,

ახალციხეში თავისი სურვილით იყო მისული და გენერალ შ. მაღლა-კელიძეს ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა. შ. მაღლაკელიძე ამიერკავკასიის მთავრობის შემოთავაზებულ წინადადებაზე და-თანხმდა იმ პირობით, თუ ახალციხის დაცვა და ახალციხე-ახალ-ქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორობა გენერალ მაყაშვილს ჩაბარდებოდა. ეს, მართლაც, ასე მოხდა და 1918 წ. გაზაფხულზე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად, შ. მაღლაკელიძის ნაცვლად, დაინიშნა გენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილი.

გენ. აბელ (ბალო) მაყაშვილმა ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მასში ხედავდნენ მესხე-თის დამცველსა და ქომაგს. მაყაშვილის მიმართ ხალხის სიყვა-რულზე მიუთითებს დღემდე სამცხე-ჯავახეთში შემორჩენილი ხალ-ხური ლექსი:

„შენ შეგყურებთ, მაყაშვილო,
შენ ხარ ჩვენი ღმერთი,
ურჯულოსგან იქნებ იხსნა

მესხეთ-ჯავახეთი“ (შ. თეთვაძე, ოთ. თეთვაძე, სომხები საქართველოში, თბ., 1998:12).

აჯანყებული ბეგების ძირითადი შტაბი განალაგებული იყო სო-ფელ ივლიტის ახლოს, ე.წ. „ვარლამოვზე“ (რ. ანდლულაძე, 1919 წლის თებერვალი მესხეთში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №3(111), მარტი, 2008:2). (ყოფილი საკონსერვო ქარხნის მიმდებარე ტერიტორია, -ე.ნ.). აჯანყების სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელები იყვნენ:

1) ქ. სტამბოლში განსწავლული, აგარის ბეგი ომარ-ფაიკ ნამინ ზადე (ყიფიანი) (1872-1938 წწ.), დედით სოფელ ოშორიდან, გვარად ხიკოშვილი (რ. ანდლულაძე, 1919 წლის თებერვალი მესხეთში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №3(111), მარტი, 2008:2). 1901-1902 წლებში მან მამულები შეიძინა ანყურსა და სოფ. აგარაში. ჰქონდა ბალი, ნისქვილი, ხე-ტყის სახერხი მანქანა და ბორანი მდ. მტკვარზე (სცსა, ფ. 1833, აღნ. 1, ს. 4, ფ. 56 სოფელ საყუნეთთან(ე. 6). იგი 1903-1905 წლებში ცხოვრობდა თბილისში და უურნალ „მოლა ნა-სრედინის“ გამომცემლობაში თანამშრომლობდა. აჯანყების პე-რიოდში სოფ. ანყურში მასწავლებლობდა. მას სოფლებში ჰყავდა თურქეთის სასარგებლოდ მომუშავე აგენტები, ვითომ წერა-კითხვის მასწავლებლები: 30 აზერბაიჯანელი და 10 მესხი მაჰმადიანი ახალ-

გაზრდა. ადრე იყო „ახალგაზრდა თურქთა“ აჯანყების აქტიური მონაწილე(გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006:20-21). 2) **ზია-ბეგ ავალიშვილი** - სამაზრო აგრონომი, რუსული განათლებით, მთელი არსებით თურქი (უყვარდა ჩოხით სიარული). 3) **ზორი ზორიანცი** - „დაშნაკი“. იგი ამ აჯანყების დროს იყო ქ. ახალციხის თავი და შეკრული იყო აჯანყებულ ბეგებთან. 4) **ბალ-ჩი-ბეგ მაჩაბელი**-მაპმადიან მაჩაბელთა უკანასკნელი შთამომავალი. მუშაობდა თურქეთის სასარგებლოდ. 5) „ველური დივიზიის“ ოფიცერი, როტმისტრი, ადრე ახალციხის მაზრის უფროსი გუდივი, ეროვნებით ინგუში. ასევე ინგუშია ურავლის, შემდეგ ანურის ზონის ბოქაული ზურხან მუსაკივივი. 6) **ბადირ-ხანი-ქ.** განჯიდან, სპეციალურად ჩამოსული მასწავლებლად. 7) **აზიზბეკ კალინბეგოვი** - აზერბაიჯანელი ექიმი. ეჭირა პროთურქული პოზიცია (რ. ანდლულაძე, 1919 წლის თებერვალი მესხეთში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №3 (111), მარტი, 2008:2). 8) ეთნიკურად ქურთი იბრაჟიმ-ბეი ჯიპანგიროლლუ(მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:121). 9) **ახმედ-ბეგ ფაფინოვი (ფეფინაშვილი)** - ომარ ფაიკის დისტვილი, თურქეთისათვის ყველაზე სასარგებლო პიროვნება იყო. შ.მაღლაკელიძის უნივერსიტეტელი მეგობარი, ერობათა და ქალაქთა კავშირის რწმუნებული კავკასიის ფრონტზე. ამავე დროს იყო მეკავშირე თურქეთის დაზვერვასა და რუსეთში თურქეთის სასარგებლოდ მომუშავე აგენტებს შორის. 10) ექიმი **ლორთქიფანიძე** (სახელი უცნობია) - ქართველი მაპმადიანი, რომლისთვისაც ახალციხეში ცხოვრება საგანგებოდ მოითხოვეს. ეს ექიმი არავის არ მკურნალობდა, მხოლოდ გავლენიან მაპმადიანებს ხვდებოდა ხოლმე და თვით ახალციხის გარნიზონის ოფიცრებში დიდი ნაცნობობა ჰქონდა და პატივიც. რევოლუციის პირველ დღეებში ის სწავლად ფოცხოვის მხარეში გადავიდა და იქ თურქეთის სამხედრო ინსტრუქტორებს წვრთნიდა და სელმძღვანელობდა. მხოლოდ შემდეგ გაირკვა, რომ ის იყო თურქეთის გენერალური შტაბის ოფიცერი, ახალციხეში მოსული დაზვერვისა და ჯაშუშობის მიზნით. 11) **ალი-ეფენდი ეფენდივი** - სამცხე-ჯავახეთისა და ფოცხოვის უმაღლესი სასულიერო პირი, ყაზი. მან გენ. შალვა მაღლაკელიძეს მაპმადის რჯულის მიღება ურჩია, რადგან, მისი აზრით, რაც მეტი მაპმადიანი ქართველი ეყოლებოდათ, მით საქართველოს საქმე უფრო საიმედო იქნებოდა. ალი-ეფენდი აშკარად თურქეთის მომხრე იყო და შ. მაღლაკელიძეს უმტკიცებდა,

რომ ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება მაშინ უფრო გაადვილდებოდა, თუ ქრისტიანული საქართველოც ხონთქრის მფარველობაში იქნებოდა (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006:19-20). 12) **სერვერ-ბეგ ათაბეგი (ჭაყელი)** - მაჰმადიან ჯაყელთა უკანასკნელი წარმომადგენელი, გენერალ შ. მაღლაკელიძის მეგობარი. სერვერის მამა, ფეიზულა ბეგი, იყო ახალციხის ფაშა. რუსეთმა გადმოიბირა ეს ფაშა და მისცა ტიტული „პრინც ქობლიანსკი-ადიგენსკი“, უბოძა გვარი „ათაბეგოვი“, ე.ი. „მამა ბეგებისა“. გენერალ შ. მაღლაკელიძის ცნობით, როცა ის ახალ ხელისუფლებას ქმნიდა, სერვერ-ბეგი დიდი მემამულე იყო. ქურთები არტანის ოლქიდან მას ემორჩილებოდნენ. ახალციხესა და აბასთუმანში ჰქონდა საკუთარი სახლები. რამდენიმე უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული: გერმანიაში აგრონომიული და რუსეთში, პეტერბურგში, იურიდიული. თავისუფლად იცოდა გერმანული, რუსული, ფრანგული, თურქული ენები, ქართული უჭირდა და შეიძლება ითქვას არც იცოდა. იყო უცოლშვილო, იქნებოდა დაახლოებით 30 წლის, მეტისმეტად მომჭირნე. სამხედრო საქმე თვითონ ისწავლა, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო სასწავლებელში არასოდეს უსნავლია. ფაშა არ იყო, მაგრამ იყო „პრინც ქობლიანსკი“. სხვები - ავალიშვილები, ფალავანდიშვილები, ამილახვერები არ ატარებდნენ ამ წოდებას - მათ ბეგებს უწოდებდნენში. მაღლაკელიძე, მოგონებანი, ჟ. „განთიადი“, №1, 1991: 22,26).

სერვერ-ბეგ ათაბეგის არაქართული განწყობილების ჩამოყალიბებაში ოჯახმაც დიდი როლი ითამაშა. ფეიზულა ბეგის სიკვდილის შემდეგ (ახალციხეში რომ გარდაიცვალა ტახტის მემკვიდრე გიორგი და ხელით რომ მიჰქონდა მისი კუბო, კუბოს ქვეშ მდგარს გული გაუსკდა) მათ ოჯახში გაბატონდა სომეხი მოურავი. გენერალი შალვა მაღლაკელიძე წერს: „...სომეხი მოურავი, სხვათა შორის, მისი დედის არაკანონიერ ქმრად ითვლებოდა,... ე.ი. სერვერ-ბეგი სომხის ხელში იყო მუდამ და მუდამ უსისინებდა ახალგაზრდა კაცს ქართველების წინააღმდეგ. სერვერ-ბეგის შური ქონდათ დანარჩენ ბეგებს, როგორც ყველაზე მდიდარის და მათ შორის ამის გამო არ იყო კეთილი განწყობილება. ის მოურავი ძალიან უწინებდა ხელს სერვერ-ბეგის მტრულად განწყობილებას მომავალი საქართველოსადმი. დედა ყაზანელი თათარი ყავდა... ეს ქალი მთლიანად ჩვენი წინააღმდეგი იყო ე. წ. ქმრის წყალობით. ამ პირობების გამო სერვერ-ბეგი განზე იდგა, არც გვმტრობს და არც კეთილი განწყობილე-

ბით არის "...(შ. მაღლაკელიძე, მოგონებანი, ჟ. „განთიადი“, №1, 1991:26-27).

შალვა მაღლაკელიძე სრულიად სამართლიანად აკრიტიკებდა ამიერკავკასიის მთავრობას არა მარტო მესხეთის გამო, არამედ მეფის რუსეთის დაუკვირვებელი, მოუქნელი პოლიტიკისა და ამ მხარეში ბეგებს შორის და მაპმადიან მოსახლეობაში თურქული ორიენტაციის საბოლოოდ განმტკიცებისათვის.

სერვერ-ბეგის სამკუდრო-საციცოცხლოდ გადაკიდებაში, შ. მაღლაკელიძის არც თუ უმართებულო შენიშვნით, ბრალი ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს მიუძლოდათ, ვინაიდან მათ არაფერი ულონიათ მასთან რაიმე კონტაქტის დასამყარებლად... პირიქით, ევგენი გეგეჭყორის თავმჯდომარეობით მოქმედმა ამიერკავკასიის კომისარიატმა განკარგულება გასცა სერვერ-ბეგისთვის ადგილმამულები და სახლები ჩამოერთმიათ ახალციხესა და აბასთუმანში, თვითონ კი ოსმალეთის აგენტად გამოაცხადეს. შ. მაღლაკელიძე წერს: „სერვერ-ბეგ ათაბაგი ამ დროს არის უკვე ჩვენი მტერი, იმიტომ, რომ პირველი, რაც გააკეთა ჩვენებმა, კომისარიატმა კავკასიისამ, სახლები ჩამოართვეს ახალციხეში, ე.ი. ქონება. სერვერ-ბეგი ოსმალეთის აგენტად ჩათვალეს. გეგეჭყორმა გამოვზავნა ვინმე ევგენი დარჩია ამ საქმის მოსაგვარებლად“... (შ. მაღლაკელიძე, მოგონებანი, ჟ. „განთიადი“, №1, 1991:27). ქობლიანელი პრინცი, არტაანში გაიქცა და იქიდან იმუქრებოდა: „არც ერთი ქართველის ფეხი არ იქნება ჩემს ბალშიო, რამედ დიდ პოლიტიკაზე კი არ ამბობს, ჩემი ბენარისთვისო, ბალისთვისო!...“ - წერდა შ. მაღლაკელიძე (17:27). ამ ბენარის ბალში თავად ათევდა დამეს, ყმებს არ ენდობოდა, მერე თითოეულ ვაშლს ქალალდში ახვევდა და ხულოს გზით, ბათუმის გავლით მარსელში აგზავნიდა(შ. მაღლაკელიძე, ნაწყვეტი ახლო წარსულიდან - მესხეთის გარშემო, ჟ. „ქართლოსი“, პარიზი, №30-35, 1939:27). ყარსში წასვლის წინ სერვერ-ბეგს შ. მაღლაკელიძისთვის შემოუთვლია: „ყარსში მივდივარ და იცოდე, არ დაგზოგავო“ (შ. მაღლაკელიძე, მოგონებანი, ჟ. „განთიადი“, №1, 1991:27). მენშევიკთა ასეთ პოლიტიკას სერვერ-ბეგის მიმართ შ. მაღლაკელიძე უგუნურად მიიჩნევდა(შ. მაღლაკელიძე, მოგონებანი, ჟ. „განთიადი“, №1, 1991:27). ვაშლის ბალების შენარჩუნებისათვის ბრძოლა მალე „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის „მაღლალი“ იდეით „შეიმოსა“. სერვერ ბეგმა აიყოლია ქართველ მაპმადიანთა დიდი ნაწილი და კუთხის ქრისტიანი მოსახლეობა გეონ-

ციდისითვის გაიმეტა(მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსული-დან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:35).

სერვერ ბეგის ავანტურა, რა თქმა უნდა, თურქეთის მიერ იყო ინსპირირებული და კოორდინირებული. შ. მაღლაკელიძე შესაძლებლად თვლიდა ამ განსაცდელის თავიდან არიდებას, თუკი მთავრობა გონივრულ კურსს აირჩივდა ბეგებთან ურთიერთობაში. მათი პოლიტიკა მარტივი იყო და, როგორც ადრე, ვიწრო მემამულურ ინტერესებს ახლაც ვერ სცილდებოდა(შ. მაღლაკელიძე, ნაწყვეტი ახლო წარსულიდან - მესხეთის გარშემო, უ. „ქართლოსი“, პარიზი, №30-35, 1939:27).

სერვერ-ბეგ ათაბეგი (ჯაყელი) სამცხე-ჯავახეთში თურქეთის აგენტების მუშაობას არ თანაუგრძნობდა და თუ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, არა თურქული ორიენტაციის გამო, არამედ იმ ყოვლად მიუღებელი აგრარული რეფორმის მიზეზით, რომლის ძალითაც სერვერ-ბეგ ათაბეგი, დიდი მიწათმფლობელი, უნდა გააღატაკებულიყო (ამ ნიადაგზე შეუერთდნენ მას სხვა ქართველი მაჲმადიანი ბეგებიც).

ამასთან თურქი აგენტები, რომლებიც სამცხე-ჯავახეთში გამუდმებით მუშაობდნენ, წამქეზებლობასაც არ ერიდებოდნენ და გაუნათლებელ, რელიგიური ფანატიზმით დაბრმავებულ ღარიბ მოსახლეობასაც ადვილად ამხედრებდნენ არსებული მთავრობის წინააღმდეგ და ისინიც ზოგჯერ შიშის გამო, ზოგჯერ არცოდნის გამოც იძულებულნი იყვნენ მხარი ბეგებისათვის დაეჭირათ და იარაღით გამოსულიყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:256).

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:245) შექმნის წინა (ე.ნ.) პერიოდში მძიმე სიტუაცია იყო მთელს ქვეყნაში, მაგრამ ყველაზე რთული ვითარება მაინც საქართველოს ერთ-ერთ ძველ რეგიონში - სამცხე-ჯავახეთში შეიქმნა. რთული ვითარება გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზებით - მოგეხსენებათ მეთექვსმეტე საუკუნიდან მოყოლებული სამცხე-საათაბაგოში თურქეთის გავლენა ვრცელდება. თურქეთი დაპყრობილ ტერიტორიაზე ეპრძოდა ყოველივე ქართულს: აღმსარებლობას, ენას,

ქართულ წეს-ჩვეულებებს, მიწათსარგებლობისა თუ მიწათმფლობელობის წესებს და ა.შ. განსაკუთრებული აგრესიულობით ქრისტიანობის დევნა-შევიწროება მიმდინარეობდა, რომლის შედეგადაც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა მუსულმანური სარწმუნოება მიეღო და ამით თავი გადაერჩინა. მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილმა შეძლო შეენარჩუნებინა ქრისტიანული სარწმუნოება და ეს გმირობა მას სიცოცხლის ფასად უჯდებოდა (დეპორტირებული მესხები - ნარსული და დღევანდელობა(საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:245).

ისტორიულად ცნობილია, რომ გამაპმადიანებულ ქართველებს, უმეტესად გლეხობას, მესხეთ-ჯავახეთში ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროსაც ქართული ენა დავიწყებული არ ჰქონდათ, სახლში და ურთიერთშორის ლაპარაკობდნენ ქართულად, თათრულ ენას კი ხმარობდა თავადაზნაურობა (ბეგები) და ის პირნი, ვინც სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდნენ(დეპორტირებული მესხები - ნარსული და დღევანდელობა(საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:238). საერთო ქართული ორგანიზმიდან მოწყვეტისა და ოსმალო-თურქების 250-ზლიანი ბატონობის მიუხედავად, მესხებმა ქართული ენა შეინარჩუნეს (ე.ნ.). ის, რაც ოსმალობმა ვერ შეძლეს, - მესხებმი ქართული ცნობიერების წაშლა, - რუსებმა ძალიან კარგად მოახერხეს (ე.ნ.).

სამწუხაროდ და საუბედუროდ ქართული ენის დავიწყება ინტენსიურად გრძელდებოდა მე-19 საუკუნეში, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ საქართველო ამ დროს განთავისუფლებული იყო ოსმალური ულლისაგან, ეს მდგომარეობა აიხსნება რუსეთის მთავრობის კოლონიური პოლიტიკით (დეპორტირებული მესხები - ნარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:238).

მესხთა გათურქების პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა ახალ-ციხის თურქებისაგან განთავისუფლების და აქ რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ(ე.ნ.).

მას შემდეგ, რაც ადრიანოპოლის ზავით (1829 წ.) სამცხე-ჯავახეთი კვლავ საქართველოს დაუბრუნდა, მეფის ხელისუფლებამ ე.ნ. „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკით ხელი შეუწყო მოსახლეობის

ეროვნულ-რელიგიურ გათიშვა-დაქსაქსულობას (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:262). საქმე იმაში იყო, რომ 80000 მალოროსიელი კაზაკის დასასახლებლად (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა(საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:238) რუსეთი (ე.ნ.) თავისუფალ მიწას ეძებდა. ასეთ ვითარებაში მათ ქართველ მაჰმადიანთა თურქეთში გადასახლება და აქ თავისუფალი სახაზინო მიწების მომრავლება ამჯობინა, მაგრამ ამასობაში მოვლენები ისე განვითარდა, რომ მაჰმადიან მესხთა გამოთავისუფლებულ ადგილებში (უმთავრესად ჯავახეთში) მალოროსიელი კაზაკების ნაცვლად არზრუმელი სომხები შემოასახლეს, რის საფუძველზეც ქართველი მაჰმადიანები თათრებად იქნენ გამოცხადებულნი (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:238). 1828 - 1829 წლების რუსეთ - თურქეთის ომის პროცესში ოსმალური პროპაგანდისა და თვით მეფის რუსეთის „ქრისტიანული“ პოლიტიკის შედეგად, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მკვიდრი მაჰმადიანური ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა (ე.ნ.). ამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი წერდა: „...მთელ ამ კუთხეში ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. რუსეთის აქ შესვლას 1828 წელს ამ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა მოჰყვა შედეგად, მეტადრე ჯავახეთითგან და უფრო ნაკლებ სამცხითგანაც. რუსებმა რომ ახალციხე აიღეს, კავკასიის მაშინდელს მთავარმართებელს ქართველი თავადაზნაურები წარუდგნენ და საქართველოს მეფეთა წყალობის წიგნები მიუტანეს, რომლებითაც სამცხე-ჯავახეთში მათი მფლობელობითი უფლება მტკიცდებოდა და იმ საბუთების ძალით თავიანთ უფლების აღდგენას თხოულობდნენ. მაგრამ პასკევიჩს არამც თუ ეს თხოვნა არ შეუწყინარებია, პირიქით, განრისხდა კიდეც. ამავე დროს ოსმალეთითგან, ყარსისა და არზრუმის საფაშოებითგან, იქაური სომხობა გამორბოდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა. რუსეთის მთავრობამ კი მათ მფარველობა გაუწია...“ (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:246). მთავრობამ გამაჰ-

მადიანებულ ქართველს მესხის მაგიერ თათარი დაარქვა, მის მშობლიურ ენად თურქული აღიარა, ხოლო ქართველი კათოლიკე სომეხად გამოაცხადა. ქართველები, რომელთა მშობლიური ენა თურქეთის 250 წლიანი ბატონობის შედეგად თურქული გახდა, თურქებად აღრიცხეს. მათი ეროვნების განსაზღვრას საფუძვლად დაედო მშობლიური ენა. ამრიგად, გამაპმადიანებული ქართველები, სარწმუნოების მიხედვით (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა(საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:262), თურქებად ჩანერეს. ცნობილია, რომ მაპმადიანურ რელიგიაში პიროვნება გაიგივებულია სარწმუნოებრივ აღმსარებლობასთან. ამიტომ, წარმოშობით ბევრ ქართველს, ვინც ბედუკულმართობის გამო მაპმადიანურ რელიგიას აღიარებდა და შესაბამისად თურქულად ლაპარაკობდა, თათრებად აღრიცხავდნენ. მეფის ხელისუფლება ყველა ღონით ცდილობდა, რომ გამაპმადიანებული ქართველების ეროვნული გადაგვარებისათვის შეეწყო ხელი. მათში ამოეშალა ეროვნული ცნობიერება. ეროვნულობის დაკარგვამ თავისისებური ზეგავლენა მოახდინა მათ ცნობიერებაზე, ეს აისახა ადგილობრივ ქართველ ქრისტიანებთან დამოკიდებულებაზეც (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:263).

მთელი XIX ს-ის მანძილზე, სამცხე-ჯავახეთის თურქთაგან განთავისუფლების შემდეგ აქ არათერი გაკეთებულა იმისათვის, რომ ქართული სახელმწიფოებრივი მმართველობა და მინათმფლობელობის წესები აღმდგარიყო (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:26). სამწუხარო რეალობაა ის ფაქტიც, რომ არც 1828 წლის, ანუ სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის თურქთაგან გათავისუფლების შემდეგ გაუმჯობესებულა ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა. რუსეთის ხელისუფლებამ აქ თითქმის ხელუხლებლად დატოვა თურქული მმართველობის სისტემა. რუსული დამპყრობლურ-შოვნისტური მმართველობა, რომელიც 1828 წლიდან 1917 წლამდე გაგრძელდა, ყველაფერს აკეთებდა, რომ აქ ადგილობრივ მცხოვრებს, ქართველ მოსახლეობას, რომელთაც ბედის უკუღმართობის გამო, 250 წლის თურქული ბატონობის შედეგად დაკარგული ჰქონ-

დათ ეროვნულობის განცდა, არ შემობრუნებოდა ცნობიერება და ის გაუცხოების განცდა არ განელებოდა, რომელიც მშობლიურ წიაღში დააბრუნებდა (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევან-დელობასაერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წა-კითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:246). არ ექცეოდა ყურადღება საგანმანათლებლო და კულტურულ საქმიანო-ბას, რომელიც 250 წლის განმავლობაში თურქული მძიმე ბატონო-ბის ქვეშ მყოფ ადგილობრივ მოსახლეობას ისევ ქართულ ცნობიე-რებას დაუბრუნებდა. ეს არც შედიოდა რუსეთის პოლიტიკურ გეგ-მებში. ახალმა დამპყრობელმა - რუსეთმა, არა თუ არ შეიწყნარა მათი(ადგილობრივი გამაჰმადიანებული ქართველების) ქართული ენა, არამედ გამაჰმადიანებული ქართველები აღრიცხა თურქებად (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთა-შორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსე-ნებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:256).

ადგილობრივი მოსახლეობა ჩამოშორებული იყო ხელისუფლები-საგან მთელი XIX - XX სს-ის განმავლობაში და აქ ძალაუფლება სო-მეხი ბურუუზისა და არამკვიდრი მაჰმადიანების (ინგუშების, ლე-კების, აზერბაიჯანელების) (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფე-რენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:245) და ოსების (ე.გ.) ხელში იყო თავმოყრილი (დეპორტირე-ბული მესხები - წარსული და დღევანდელობა(საერთაშორისო სა-მეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17- 18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:245). მათ რუსეთის ადმინისტრაცია თანამდებობებზე ქართველი მაჰმადიანების ნაცვლად ნიშნავდა(ე.გ.).

ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული იყო ისევ თურქულ ენაზე მიეღო განათლება და ამ მიზნით(დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა(საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:246) განაწყენებული მაჰმადიანი მესხი თავადები(ბეგები) სასწავლებლად (ე.გ.) თავიანთ შვილებს (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა(საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:246) ბაქოში და (ე.გ.) თურქეთის ქალაქებში (დეპორტირე-ბული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სა-მეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-

18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:246) (ერზრუმში (ე.ნ.), სტამბოლსა და ანკარაში(დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:246) აგზავნიდნენ. იქ კი მათ ძირითად განათლებასთან ერთად ჯაშუშებადაც წვრთნიდნენ. ამის გამო იყო, რომ ქართველი მაპმადიანების ახალი თაობა პანისლამიზმისა და პანთურქიზმის რწმენით მოიწამდლა და მთლიანად დაივინყეს მშობლიური ქართული ენა და ქართველობა (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:246). შემდეგ მათი უმრავლესობა რელიგიურ ფანატიკოსებად და ხოჯებად განსწავლული, ნამდვილ ფანატიკოს პანთურქისტად დაბრუნდა შინ(ე.ნ.). რუსეთის ხელისუფლება მესხი ბავშვებისათვის ანატოლიიდან იწვევდა თურქ მოლებს და მასწავლებლებს, რომლებიც მესხებს მშობლიურ ენაზე ლაპარაკს უკრძალავდნენ (ე.ნ.). აქ ადგილზე არსებობდა ადგილობრივ ფეოდალთა ზედა ფენა(დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:246), რომლებმაც სამაჰმადიანო საქართველოს მომავლისადმი ბრძოლა დაუკავშირეს რელიგიურ პანისლამისტურსა და პანთურქისტულ პრინციპს, არ ცნეს ახლად შექმნილი მთავრობა ამიერკავკასიის(შემდეგ უკვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის) სახით და განუდგნენ მას(დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:247).

1918 წლის 8-9 აპრილს თურქეთის არმია ამიერკავკასიის საზღვრებში შემოიჭრა. შეიქმნა კრიზისული სიტუაცია. 12 აპრილს ევგ. გეგეჭკორმა ტრაპიზონის კონფერენციაზე ამიერკავკასიის დელეგაციის მეთაურს ა. ჩეხენკელს სთხოვა ამიერკავკასიის წინააღმდეგ თურქეთის საომარი ოპერაციების შეჩერება. 13 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის სეიმის ფრაქტიათა გაერთიანებულმა კრებამ ერთხმად მიიღო ირაკლი წერეთლის რეზოლუცია ტრაპიზონიდან ამიერკავკასიის დელეგაციის გამოწვევის შესახებ. ეს იმას ნიშავდა, რომ ომი გრძელდებოდა. 9 აპრილს არაოფიციალურად დაწყებული ომი, 13 აპრილს ოფიციალური გახ-

და. თურქეთის არმიის შემაჩერებელი ძალა საქართველოს არ ჰყავდა. 15-21 აპრილს თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი, სამცხე-ჯავახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. თურქეთის არმიის შეჩერება ქართულმა ჯარმა მხოლოდ მდ. ჩოლოქთან შეძლო.

ასეთ მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში 1918 წ. 9 (22) აპრილს შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. სეიმის მიღებული დადგენილებით, ამიერკავკასია გამოცხადდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად. სხდომაზე სეიმმა მოისმინა საზავო დელეგაციის მოხსენება და მიიღო დადგენილება საზავო მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ(საქართველოს ისტორია, XX ს., ვ. გურულის რედ., თბ., 2003:53-54).

ამ დროისათვის თურქეთის ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებას-თან საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა, სხვადასხვა მიზეზებით არ წყვეტდა საომარ მოქმედებებს და ცდილობდა ზავის დადების მომენტში მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნა. მესხეთში კი მას აქტიურად ეხმარებოდნენ სწორედ პროთურქული ორიენტაციის ზედა ფენების წარმომადგენლები, რომლებსაც ისლამისტური აგიტაციით მოტყუებული გამაპმადიანებული მოსახლეობაც უჭერდა მხარს (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:248).

ქართველმა მაპმადიანებმა კვლავ დაინყეს სამცხე-ჯავახეთის არაერთი ქრისტიანული სოფლის აწიოკება და დარბევა. 1918 წ. აპრილში სოფელ ზედა თმოგვს მოულოდნელად თავს დაესხნენ ქართველი მაპმადიანები. სასწრაფოდ შეიკრიბა თოფ-იარაღიანი 20-მდე ვაჟუაცი, რომლებმაც მომხდურნი შეაჩერეს და სოფელს სამუალება მისცეს თადარიგი დაეჭირათ და თავქვე დაშვებულიყვნენ ვარძიისკენ. ამ ვაჟუაცებმა ცოცხალი ფარი შეუქმნეს სოფელს და გახიზვნის საშუალება მისცეს ხალხს. ამის შემყურე გოგაშნელებმაც მეორე მხრიდან თავისი საუკეთესო ვაჟუაცები გამოუგზავნეს და-სახმარებლად და თვითონაც მოსახლეობის გახიზვნის სამზადისი დაინყეს. მტკვარი ადიდებული იყო. გოგაშნელები ალაგურთან (ადგილმდებარეობა) დახვდნენ ზედა თმოგველებს. სასწრაფოდ მოჭრეს ვეებერთელა ძენის ხეები და ხიდი გადეს მტკვარზე, ზედ ნაბდები დააფინეს და არა მარტო ხალხი, საქონელიც გადაიყვანეს. გოგაშენს სამხრეთიდან მტრის სხვა რაზმი შეესია. ქალებმა წა-

მოავლეს ხელი ბარგს და ჩაუყვნენ საცალფეხო ბილიქს ქარაფზე. მოსალამოვდა, როცა ვანის ქვაბებს მიაღწიეს. იქ მათ ზედა თმოგველები დახვდნენ. მალე მამაკაცებიც ფეხდაფეს მოჰყვნენ. გადარჩენისათვის ცველამ ლმერთს მადლობა შესწირა(ზ. მაღრაძე, მთვლემარე რაინდები, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №6(78), ივნისი, 2005:3).

1918 წ. აპრილში მაპმადიანებმა შეუტიეს ახალციხეს და უდეს (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები ნარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:33).

ახალციხეში გენერალ ბალო მაყაშვილის სამსახურში მყოფი გენერალი არჯევანიძე 1918 წლის აპრილის დასაწყისში ატყობინებდა სეიმს მუსულმანური ბანდების გააქტიურების შესახებ(მ. ლომისაძე, მესხები, თბ., 1995:273).

1918 წ. 22 აპრილს (ძვ.სტ.), აღდგომის დღეს, ქილდელი ქართველები, როგორც წესი, ეკლესიის გარშემო ანთებული სანთლებით ლიტანიას უვლიდნენ. სოფელ კვარშის (დღეს ნასოფლარია, - ე.ნ.) მაპმადიანებმა შუქი რომ შეამჩნიეს, სროლა ატეხეს, რამდენიმე ტყვია ეკლესიის კედელსაც მოხვდა. ხალხს ეს მაპმადიანთა თავდასხმა ეგონა და თავი ეკლესიას შეაფარეს. მეორე დღეს, დილით, ქილდელები გაემართნენ კვარშელი მაპმადიანების დასასჯელად. მათ ორმოცამდე თოფი ჰქონდათ. მეთაურები იყვნენ ყოფილი უნტეროფიცერი მაქსიმე მაღრაძე, ყოფილი ეფრეიტორი ილარიონ ალელიშვილი და ნარიმან მაისურაძე.

ეფრეიტორი წინ გაუძლვა ხალხს კვარშაზე თავდასასხმელად. მალე ორივე მხრიდან თოფების ხმა გაისმა. ეს ამბავი ჩუნჩხელებმა რომ გაიგეს, სწრაფად შეაგროვეს ჩუნჩხელთა და პრტენელთა რაზმი და გამოეშურნენ დასახმარებლად. ჩუნჩხელებს მეთაურად დაენიშნათ ჩაფარი თევდორე ქართველიშვილი, თანაშემწედ თევდორე აღდგომელაძე ჰყავდა. რადგანაც სოფელ ორჯის (დღეს ნასოფლარია, - ე.ნ.) მაპმადიანებს წინასწარ მიეტოვებინათ სოფელი და ნასულიყვნენ, ჩუნჩხის რაზმის მეთაურმა ჯერ ორჯა გაძარცვა, მერე კვარშას მიადგა. სამხრეთიდან ჩუნჩხისა და პრტენის რაზმები უტევდა კვარშას, ჩრდილოეთიდან-ქილდისა. კვარშა ხერთვისს გადმოჰყურებდა, სადაც დახხლოებით 30 მაპმადიანი ცხოვრობდა და თავისი დიდი კლდეებით დიდ სიმაგრეს წარმოადგენდა. ატყდა საშინელი სროლა, მაგრამ მაპმადიანები მედგრად იცავდნენ თავიანთ სოფელს, მასში შეჭრა შეუძლებელი გახდა. ბრძოლა დილიდან სალა-

მომდე გაგრძელდა(ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №7(91), ივლისი, 2006:5).

1918 წლის აპრილში, აღდგომის დღეს (რ. ანდლულაძე, 90 წლის წინანდელი წარსულის ფურცლები, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №2(122), თებერვალი, 2009:9). (22 აპრილს (ძვ.სტ.),-ე.ნ.), აჯანყებული მუსულმანები ისე მოულოდნელად დაესხნენ თავს არლის მოსახლეობას, რომ არლელები ძლივს გაიხიზნენ უდესა და ვალეში. აქაურმა მაპმადიანმა ქართველებმა ისინი, როგორც საკუთარი თანასოფლელი ქრისტიანი ქართველები, ისე დაიცვეს განადგურებისაგან. ამ დროისათვის ვალეს ცალკე ჰქონდა ხაზი, უდეს ცალკე და სომხური მოსახლეობის სასაზღვრო სოფლებს - ცალკერ. ანდლულაძე, 90 წლის წინანდელი წარსულის ფურცლები, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №2(122), თებერვალი, 2009:9).

1918 წ. 25 აპრილს ქართველი მაპმადიანები თავს დაესხნენ სოფლებს ძველს და ჭობარეთს. გაიტაცეს მსხვილფეხა საქონელი და სურსათი, აპირებდნენ ქალებისა და ბავშვების გატაცებასაც(დ. კოქორიძე, სამცხე-ჯავახეთი, წარსული და დღევანდელობა, თბ., 1987:126). ერთი ხეოთელი მაპმადიანის მოთავეობით იქაური ქალრძალი დააშიშვლეს და აცეკვეს (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:149).

8. დიდიმამიშვილის 1918 წლის 28 აპრილის ცნობით, უდის წინააღმდეგ მოქმედებდა სერვერ-ბეგ ათაბეგ ქობლიანსკი, რომელმაც თავისი შტაბი გადმოიტანა ქართველი კათოლიკების მიერ დაცლილ სოფელ არალში(რ. ანდლულაძე, 90 წლის წინანდელი წარსულის ფურცლები, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №2(122), თებერვალი, 2009:9).

სოფელ ანდრიაწმინდას თურქები რომ შემოესივნენ, სოფელი აანიოკეს. სოფლის ხალხი მოიყვანეს და ეკლესიაში შერეკეს. ხალხმა იმდენი იძალა, რომ ეკლესიიდან რის ვაი-ვაგლახით გაიქცა და გაიხიზნა სხვადასხვა მუსულმანურ სოფლებში - ზოგი ანდაში, ზოგი ღრომაში (დღეს ნასოფლარია, - ე.ნ.). აქაური მშვიდობიანი მოსახლეობა თავიდანვე კარგ ურთიერთობაში იყო მათთან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დააბეზღეს, ადგილობრივი მოსახლეობა მაინც შეეცადა მათ გადარჩენას. მტრებმა ისინი აიძულეს და მოსთხოვეს, რომ გადმოეცათ ქრისტიანი ქართველები. მაშინ მათ ანდრიაწმინ-

დელებს შეწუხებულებმა უთხრეს, რომ ისინი მათ ველარ შეინახავდნენ, ამიტომ თავიანთი თავისთვის თვითონ მიეხედათ. მულა-ალა ანდელი ღამით თავად გაუძლვა ანდრიანმინდელებს, ხევ-ხევ ატარა და ახალციხეში მშვიდობიანად ჩაიყვანა. ეს მოხდა 1918 წ. მაისის ბოლოს.

სოფელ ანდრიანმინდას თავისი დაცვა ჰყავდა - ახალგაზრდული რაზმი. ისინი დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მომხვდურ მტერს, თუმცა იმ დღეებში 12 საუკეთესო დამცველი მაინც დაკარგეს (გ. ივანიძე, სოფელი ანდრიანმინდა, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №2(98), თებერვალი, 2007: 8).

ქვაბლიანელი მუსულმანები სოფელ ტატანისსაც შეესივნენ. ისინი უკეთეს ნადავლს შეძლებული ოჯახებისაგან მოელოდნენ. ასეთებად კი ითვლებოდნენ ძმები ივანე, გიორგი, მათე და სტეფანე სამსონიძეები. ტიფით მწოლიარე ივანეს თოფის ლულა მიუტანეს პირთან და დასძახეს: „სად არიან შენი ძმები, გიაურ!“ (გიორგი და მათე ჰყავდათ მხედველობაში, რომლებიც „სტრაუნიკებად“ (მცველებად, -ენ.) მსახურობდნენ ახალციხეში). ივანემ რა იცოდა, ვინ სად იყო, ან როგორ ეტყოდა ძმების ადგილსამყოფელს. თავდასხმელებს არ უსვრიათ, მაგრამ ძალზე დაქანცულა ივანე ტყვიის მოლოდინში.

გადარჩა ივანეს ძმა გიორგიც, რომელსაც ბნელ დამეში დაეცნენ და ბუხრიდან ჩამოჭრას ლამობდნენ (ვ. სამსონიძე, ტატანისი, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №5(89), მაისი, 2006:5).

მტკვრის მარცხენა სანაპიროს 10 ქართული სოფელი (აგარა, ზედა თმოგვი, ტოლომი, როკეთი, ქუნცა, დადეში, ერკოტა, ძველი, ჭობარეთი და მუსხი) სამი თვის განმავლობაში მუსულმანთა პანდების ალყაში იყო მოქცეული (გ. ივანიძე, სოფელი მუსხი, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №11(83), ნოემბერი, 2005:8).

სოფ. მუსხზე ერთ-ერთი თავდასხმისას მაპმადიანებმა სოფლის ახალგაზრდობა ეკლესიაში შეუშვეს, კარები გადაუკეტეს, უპირებდნენ ცეცხლში ამონვას. საბედნიეროდ, ვიღაცამ მოახერხა მალულად გაქცევა მეზობელ სოფ. ურაველში და იქიდან დროულად ვინმე „ნაჯიბას“ მოყვანა მაშველად. ის იყო მაპმადიანი ქართველი. ამ კაცმა გადაარჩინა მაშინ სოფელი დიდი უბედურებისაგან. ძველი მუსხის ეკლესის ზარს დღესაც ატყვია მაპმადიანთაგან ნასროლი ნატყვიარევი(რ. ოქრომელიძე, ოჯახი და მისი ყმაწვილკაცობა, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №2(206), თებერვალი, 2016:6).

სოფ. მუსხები მორიგი თავდასხმისას მაპმადიანებმა ორმოცდაა-
თამდე ქართველი გამოიყვანეს და ეკლესის წინ დაამწკრივეს. მაპ-
მადიანებმა მოილაპარაკეს, ერთი ტყვიით რამდენ ქრისტიანს მოკ-
ლავდნენ და სასროლად თოფები შემართეს. ის იყო, ცეცხლი უნდა
გაეხსნათ და დაეხოცათ ეს ხალხი, რომ ხეოთელმა (უფრო ზუსტად
ურავლელმა, - ე.ნ.) მაპმადიანმა ქართველმა, სახელად ნაჯიფამ
(ნაჯიბამ, - ე.ნ.), რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, მათ გა-
ნუცხადა, რომ ამხელა უდანაშაულო ხალხი არ დაეხოცათ, თან იმ
დროს ქართული ჯარი რომ შემოსულიყო სოფელში, მათ ცუდი დღე
დაადგებოდათ. მაპმადიანებმა ნაჯიფას დაუკერეს, თოფები ძირს
დაუშვეს, ხალხს აღარ ესროლეს და მათ უფლება მისცეს სახლებში
წასულიყვნენ (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან,
მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:368).

სოფელ მუსხს შეიარაღებული მოსახლეობა იცავდა. ისინი სოფ-
ლის მისადგომებთან იყვნენ გამაგრებულნი, ტყვია-წამალს ახალ-
ციხიდან ფარულად ეზიდებოდნენ. მუსულმანთა ბანდებთან ბრძო-
ლაში 20 მუსხელი დაიღუპა. როცა მუსულმანები სოფელში შე-
მოიჭრნენ, მათ სოფლიდან ყველაფერი მიჰქონდათ, ხალხს ტანსაც-
მელსაც კი ხდიდნენ და ვინც გაუქალიანდებოდა, მაშინვე ესროდნენ
და კლავდნენ. თავგანწირვის მიუხედავად, სოფელი მუსხი მაინც
იძულებული გახდა, გარიდებოდა მტერს, გადაერჩინათ მოხუცები,
ქალები და ბავშვები (გ. ივანიძე, სოფელი მუსხი, გაზ. „ლიტერატუ-
რული მესხეთი“, №11(83), ნოემბერი, 2005:8).

1918 წ. 20 მაისს სოფ. ურავლისკენ გაგზავნილმა ქართულმა ჯარ-
მა საშუალება მისცა სოფელ მუსხის გლეხობას გახიზნულიყო სოფ-
ლიდან. გახიზნა 80 კომლი. ლია ცის ქვეშ დარჩენილი მუსხელები-
სათვის დროებითი თავშესაფრის მიცემა განიზრახეს სოფელ არჯუ-
ლიდან გაცეულ მუსულმანთა ბინებში, მაგრამ დაწვას გადარჩენილი
ორი სახლი სომხებმა დაწვეს და მუსხელები დარჩენ ლია ცის ქვეშ
ღვთის ანაბარა(ზ. დიდიმამიშვილი, ახალციხის დღეები - დღიური,
ხელნაწერი (1918-1919 წწ.), სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუ-
მის ხელნაწერთა ფონდი(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ.) 111, ს. 1136, ფ. 19).

1918წ. 3 მაისიდან ქალაქებში ახალციხესა და ახალქალაქში
საალყო, ხოლო მაზრებში სამხედრო წესები გამოცხადდა. სპეცია-
ლური საშვის გარეშე აიკრძალა მიმოსვლა და სურსათის გატა-
ნა(სცსა, ფ. 1946, აღნ. 1, ს. 10, ფ. 9-12). გააქტიურდნენ აჯანყე-
ბულ ქართველ მუსულმანთა ბანდებიც და ახალციხე-ახალქალაქი

მოწყვიტეს საქართველოს. შეწყდა ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობად. კოჭორიძე, სამცხე-ჯავახეთი, წარსული და დღევანდელობა, თბ., 1987:105). რეგიონი მთლიანად მოწყდა გარე სამყაროს. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე მოსახლეობას აღარავითარი ინფორმაცია აღარ გააჩნდა. ადგილობრივი დარიბი მოსახლეობა აბ-სოლუტურად დაუცველი აღმოჩნდა. ზ. დიდიმამიტვილი დღიურში წერდა: „ქ. ახალციხის მოსახლეობა თავს ტყვეებად გრძნობენ... შველა არსაიდან არის, ვიმყოფებით უმწეო მდგომარეობაში, ყველასგან დავიწყებული, ისე ვითომდც ახალციხისა და ჩვენი არსებობა ქვეყანაზე არავინ იცოდეს. ოსმალეთი ახალციხის მაზრის მაჰმადიანებს უგზავნის ზარბაზან-ყუმბარებს ახალციხისა და მისი მაზრის დასაპყრობად... ჩვენ კი დაგვივიწყა მთელმა კაცობრიობამ და არ ვიცით, როდის დავალნევთ თავს ამ აუტანელ მდგომარეობას“ (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:249).

ქრისტეს აღდგომის დღეს (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:53), 1918 წ. 22 აპრილს (ახ.სტ. 5 მაისს), საროელებმა იქეითეს, მაჰმადიანები ჩუმად ამოვიდნენ, საროს ზევით, თოკისკენ მიმავალ გზაზე დაბანაკდნენ, საფარი გაიკეთეს და 7 მაისს (ე.ნ.) თავს დაესხნენ სოფელს. საროს „აგუდინესს“ ეძახდნენ. საროზე შეტევა ქრისტიანი ქართველების გამარჯვებით დამთავრდა (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:53). ხერთვისში იყვნენ მაჰმადიანი ზაზაძეები. მათ სახლში ჰყავდათ ქრისტიანი ტყვეები დამზყვდეული. მათი განთავისუფლება უნდოდათ და ხიზაბავრიდან ხერთვისში ჩავიდა ონისიმე მაზმიშვილი. გაღმიდან კლდეებიდან დაუშინეს მაჰმადიანებმა ტყვია და კარებთან მოკლეს (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:166).

1918 წ. (ე.ნ.) მაისის პირველ რიცხვებში ამოხოცეს გრიგორიანული სომხური სოფლების მცხოვრებნი (კათოლიკე სომხებისათვის ხელი არ უხლიათ) (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:33).

1918 წ. (ე.ნ.) 10 მაისს მაჰმადიანები თავს დაესხნენ მუსხსა და ანდრიანმინდას (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:33).

1918 წლის აპრილის ბოლოს ამიერკავკასიის მთავრობამ ძლიერ მოახერხა დახმარება გაეწია ხიზაბავრის გმირი ათასეულისათვის. კაპიტან ალექსიძის მეთაურობით გამოიგზავნა ბატარეია. იყო ქვეითი და ცხენოსანი ნაწილებიც. ორი ზარბაზანი სოფ. ხიზაბავრაში გორაბანის პლატოზე დადგეს, ხოლო ორი - სოფელ დამალაში.

კაპიტან ალექსიძის ნაწილები გმირულად ეკვეთნენ მტერს ასპინძასთან და სასტიკად დაამარცხეს. ამ ბრძოლაში მონაწილეობდა ხიზაბავრის ათასეულიც, რომელმაც დაკარგა 167 კაცი, დაიჭრა - 85.

ასპინძასთან გამარჯვების სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. მთავრობამ დამხმარე ნაწილები ჯერ სოფ. ვარევანში გადაიყვანა, შემდეგ - ბაკურიანში. ამგვარად, ისევ ხიზაბავრა-საროს ათასეული დარჩა მტრის პირის პირის პირი.

მუსულმანებს სოფ. დამალიდან რომ არ შემოევლოთ და ზურგიდან არ დაერტყათ ათასეულისათვის, მეორე ასეულს კვლავ რუსებული ჩააბარეს და სოფელ ვარევნის ქართველებითა და სომხებით გააძლიერეს. მესამე ასეული მიხეილ ხუციშვილის მეთაურობით ახალქალაქის დასახმარებლად გაიგზავნა. 1918 წლის 15-20 მაისს ახალქალაქი აიღეს(პ. პაპაშვილი, განწირული ათასეული, გაზ. „ასპინძა“, №36(1890), 23. 03. 1967:3).

გენერალ-გუბერნატორი აბელ(ბალო) მაყაშვილი საბრძოლო ოპერაციების პარალელურად, ცდილობდა აჯანყებული მაჰმადიანი ბეგების თავის მხარეზე გადმობირებას.

მაჰმადიანი ქართველი ბეგების ერთი ნაწილი, განსხვავებით პანთურქულ პოზიციაზე მდგომი მაჰმადიანი ბეგებისა, ქრისტიანი ქართველების მიმართ ძმური დამოკიდებულების შენარჩუნების მომხრენი იყენენ, რომლებიც თავიანთი ქმედებებით ხელს უშლიდნენ აჯანყებულ ბანდებს ქრისტიანი ქართველების დარბევაში.

აჯანყებული ბეგებიდან ქრისტიანი ქართველების მიმართ კეთილგანწყობით გამოირჩეოდა სოფ. ოშორის ბეგი, მაჰმედ-ბეგ აბაშიძის სიძე, ახმედ-ბეგ ავალიშვილი, რომელიც მაჰმადიანთა პირველი აჯანყების დროს 1917 წელს სერვერ-ბეგის მომხრე იყო, მას ასპინძის სხვა ბეგებთან ერთად ხერთვისის დაცვა და გამაგრება ევალებოდა, მაგრამ გენერალ ბალო მაყაშვილის სარდლობით ქართული ჯარის გამოჩენისთანავე, მას შემდეგ, რაც ქართველ მაჰმადიანთა ბანდებმა უკან დაიხიეს და ავალიშვილიც ქრისტიან ქართველთა მხარეზე გადავიდა, იყი ქართულ ჩოხაში გამოწყობილი თავად ეწვია გენერალ მაყაშვილს მოსალაპარაკებლად აწყურში. შე-

თანხმებაზე გადაწყდა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შერიგება - მაყაშვილი აჯანყებული ბანდების დასასჯელად ქართულ ჯარს ჯავახეთში აღარ გააგზავნიდა, ხოლო ახმედ-ბეგ ავალიშვილი იქ მყოფ მაჰმადიანურ ბანდებს დაშლიდა, რადგან შესვედრისას ახმედ-ბეგი მაყაშვილს ეფიცებოდა, რომ ჯავახეთში მდგარი მაჰმადიანთა ბანდა მისი ხალხი არ იყო და ისინი ჩილდირიდან და არდაგანიდან მოსული რაზმები იყვნენ: „ჩვენც თქვენი სისხლის ქართველები ვართ და აპა ქართველებს როგორ გილალატებდითო“ (1).

მაჰმადიანებისაგან ქრისტიანი ქართველების დაცვას ცდილობდა აგრეთვე სოფ. შალოშეთის ბეგი მუშტად-ბეგ მაჩაბელი. მის ერთგულებას უნდა უმადლოდნენ ზედა თმოგვის ქრისტიანი ქართველები, რომელიც არაერთხელ გადაარჩინა ამ პატრიოტმა ბეგმა (1).

სამცხე-ჯავახეთში არსებობდა (ე.ნ.) ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ურთიერთდამოკიდებულების საინტერესო ფორმა ე.ნ. „მოყვრობა“. ქართველი ქრისტიანი „მოყვარეს“ უნიდებდა ნაცნობ მაჰმადიან ქართველს, რომელთანაც მხოლოდ ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა და მათ ოჯახებს შორის იყო მიმოსვლა ჭირსა და ლხინში. ე.ნ. „მოყვრებმა“ ბევრი ქართული ოჯახი დაიფარეს იმ წლებში. თუ „მოყვარე“ მაჰმადიანებს მიანიშნებდა რომელიმე ოჯახზე, რომ მისი ხაცნობი იყო, მას ანგარიშს უხევდნენ და ასეთ ოჯახს ხელს არ ახლებდნენ (დეპორტირებული მესხები - ნარსული და დღევანდელიბა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:272).

ზ. დიდიმამიშვილის დღიურში ერთ ასეთ ჩანაწერს ვხვდებით: „სხვათა შორის, ამ სამოქალაქო ომის ატეხვაში ბრალი მიუძღვის ჩვენ სოფლებსაც: ზველს, ჭობარეთს, მუსხს და ანდრიანშინდას, რომლის გლეხობაც მიჩვეულია, ერთი აქციოს ასად და აი, სწორედ ამ ერთის ასად გადაქცევამ და ტყუილმა ცნობებმა ატეხა ომი იმ დროს, როდესაც ქართველებსა და ოსმალებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყო“ (შ. ლომსაძე, მესხები, თბ., 1995:362).

ჩვენ უკვე ვნახეთ, რაც იყო ეს „სამშვიდობო მოლაპარაკება“ და არც თავად ზ. დიდიმამიშვილს დასჭირვებია დიდი დრო, ოსმალეთის ნამდვილი ზრახვების ამოსაცნობად და იმის მისახვედრად, ვინ იყვნენ სამცხე-ჯავახეთში დატრიალებული სისხლიანი დრამის ნამდვილი „რეჟისორები“. დასახელებული სოფლების მკვიდრთა „დანაშაუ-

ლი“ კი მხოლოდ ის იყო, სიკვდილს რომ თავი გამოარიდეს და სამშვიდობოს გამოღწეულებმა გადატანილ უბედურებაზე ილაპარაკეს.

ახალციხეშიც კი, კუთხის დედაქალაქში და იმდროინდელ მოვლენათა ეპიცენტრში, ადამიანებს წარმოდგენა არ შეეძლოთ იმ ჯოჯოხეთური ტანჯვისა და დამცირებისა, რაც ქრისტიანმა ქართველმა გლეხობამ გადაიტანა.

ზ. დიდიმიშვილი ეროვნული მთლიანობის დამცველი და მომხსერ იყო და ომის პირველი დღეებიდან წუხდა ჯარის ნაწილებისა და უცხოტომელი „თანამებრძოლების“ გამო, რომელთა უმსგავსო და უდისციპლინო, ხან კი აშკარად პროვოკაციული მოქმედება (მართლიორობისა და ძარცვის ფაქტები მომრავლდა. იყო მაჰმადიანთა სოფლებზე შურისძიების და მათი გადაწვის შემთხვევები), მაჰმადიანი მოსახლეობის კიდევ უფრო დიდ ნაწილში აღვიცებდა ქრისტიანებისადმი აგრესიას.

ეს გულშემატკივარი კაცის წუხილი იყო, რომელმაც იცოდა, რომ თუკი ეს კონფლიქტი დიდ მასშტაბებს მიიღებდა და რელიგიურ დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა, ათეული წლები ვეღარ ამოავსებდა გაჩენილ უფსკრულს. ეს უსამართლო საყვედურიც ქართველი გლეხობის მიმართ ამ კონფლიქტის თავიდან აცილების სურვილით იყო ნაკარნახევი.

მრავალეროვანი ქალაქი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. მან ვერ შეძლო თავისი სოფლელი თანამოძმების დაცვა, ვერც მათი უბედურების, დამცირების, ტანჯვის გააზრება და გაზიარება მოახერხა (შ. ლომსაძე, მესხები, თბ., 1995).

ამ ომის ახალციხე თვეობით იყო ხოლმე მთლიანად მოწყვეტილი საქართველოს. არ მუშაობდა ტელეგრაფი, არ მოდიოდა ფოსტა, განსაკუთრებით ჩაიკეტა ქალაქი 1918წ. გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში. ქალაქის მმართველობის ყველა ცდა, რამენაირად დაკავშირებოდნენ თბილისს, მარცხით მთავრდებოდა, - წარგზავნილებს აწყურში იჭერდნენ, კლავდენენ, ან ატყვევებდნენ. ასეთ პირობებში ახალციხის მოსახლეობას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ბედი ეწია ჯავახეთ-ერუშეთის ქრისტიან ქართველობას. ისინი ხედავდნენ მხოლოდ ახლომდებარე სოფლების პრობლემებს. უდე და არალი იმდენად ახლოს იყო, რომ იქიდან თოფის ხმაც კი ისმოდა ქალაქში (29,60). 1918წ. გაზაფხულზე თურქებმა მათ ხელშეუხებლობა აღუთქვეს, თუკი ბრძოლას შეწყვეტდნენ. სოფლელები დათანხმდნენ, მაგრამ იარაღი არ ჩაუბარებიათ. თავის მხრივ, თურქებმა ალყა არ

მოხსნეს, თუმცა ხელშეუხებლობის პირობა გარკვეული დროის შემდეგ მაინც დაარღვიეს (ე.ნ.). ამ დროს ახალციხის კათოლიკური სოფლების მოსახლეობა დარბეულ იქნა (ე.ნ.). რაც შეეხება ახალციხის მაზრის სხვა ქართულ (29;60) მართლმადიდებლურ (ე.ნ.) სოფლებს (ზველი, ჭიბარეთი, მუსხი, ანდრიაწმინდა), ისინი ურავლის საზოგადოების მაჰმადიანების მეტად აგრძესიულ გარემოცვაში იყვნენ მოქცეული და არავითარი რელიგიური იმუნიტეტი არ გააჩნდათ (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:60).

ტრაპიზონის კონფერენციის ჩაშლიდან ბათუმის კონფერენციამდე ერთი თვე გავიდა. ამ პერიოდში ქართველ მუსულმანთა 40 კაცისაგან შემდგარმა დეპუტაციამ, რომელიც არავის არ აურჩევია და თურქი ემისრების კარნახით იყო შემდგარი, მოითხოვა მესხეთი ავტონომიის უფლებით შესულიყო თურქეთის შემადგენლობაში(ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბ., 1991:194).

1918 წლის 11 მაისს ბათუმში განახლდა ამიერკავკასია-თურქეთის საზავო კონფერენცია. ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა. პირველსავე შეხვედრაზე გაირკვა, რომ თურქეთი პოზიციას არ ცვლიდა, პირიქით - უფრო მეტს მოითხოვდა. 1918 წლის 12 მაისს ბათუმიდან გამოგზავნილ საიდუმლო წერილში აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს აცნობებდა: 1) თურქეთი ითხოვს ახალციხეს, ახალქალაქსა და ერევნის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრას; 2) თურქეთის თავის თავზე იღებს წესრიგის დაცვას ამიერკავკასიაში; 3) თურქეთი ითხოვს ომის შემთხვევაში ამიერკავკასიის რეინიგზით სარგებლობის უფლებას. კონფერენციის მიმდინარეობისას თურქი დიპლომატები და სამხედროები დროს არ კარგავდნენ. 1918 წლის 18 მაისს თურქებმა დაიკავეს ალექსანდროპოლი (საქართველოს ისტორია, XX ს., ვ. გურულის რედ., თბ., 2003:55).

1918 წლის 15 მაისს სოფ. ურავლისკენ წასულმა ქართულმა ჯარმა 16 მაისს დილით დაიწყო მოქმედება. ღრელისა და ანდრიაწმინდის მხრიდან უშენდნენ ზარბაზნის ყუმბარებს მაჰმადიანთა სოფელ იენგიქვევს (ქართ. „ახალსოფელი“, -ე.ნ.). ჯარი ახალციხეში დაბრუნდა 18 მაისს. ბრძოლაში დაიღუპა ქართული ჯარის პროპორშიკი ალექსანდრე ზედგინიძე, სოფელ ძველიდან (ზ. დიდიმაშვილი, ახალციხის დღეები - დღიური, ხელნაწერი (1918-1919 წწ.),

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ.) 111, ს. 1136, ფ. 19).

სოფელ ვალეში მყოფი არლელები შეუერთდნენ ვალელ მოხალი-სებს და ერთად წვრთნიდნენ სახალხო ლაშქარს. ამ ლაშქარს არ-ლელთაგან წვრთნიდა ლაფიერ აფრიკამაშვილი. „ვალის ხაზის“ დაცვის დროს თურქთა ხელით დაიღუპა ათამდე არლელი: ათანა და პეტიკო აფრიკამაშვილები (იგი მძინარე დაკლეს), პავლე თათეშვილი, აკო აფრიკამაშვილი თავისი ორი ვაჟით და სხვები. მოსახლეობის დიდი ნა-ნილი დაიღუპა შიმშილით და ავადმყოფობით. ზაქარია დიდიმამიშვი-ლის ცნობით, 1918 წლის 19 მაისს ახალციხეში ელოდნენ სოფ. არალ-ში დატყვევებული მაჰმადიანთა შტაბის ჩამოყვანას, მაგრამ შტაბის დატყვევება ტყუილი გამოდგა და მის მაგივრად ჩამოყვანეს სამი დაჭრილი ქრისტიანი გლეხი. დაჭრილების სიტყვით, 18 მაისს მაჰმა-დიანებმა მოკლეს ერთი არლელი გლეხი და შეტაკების დროს მსუბუ-ქად დაჭრეს ოფიცერი ელიზბარშვილი. მათივე სიტყვით, ქრისტია-ნებმა მაჰმადიანებს წართვეს 3 თოფი. შეტაკებაში მუსულმანებს გაცილებით დიდი ზარალი მოუკიდათ, ვიდრე ქრისტიანებს (რ. ან-დლულაძე, 90 წლის წინანდელი წარსულის ფურცლები, გაზ. „ლიტე-რატურული მესხეთი“, №2(122), თებერვალი, 2009).

გენერალმა ბალო მაყაშვილმა თავის განკარგულებაში მყოფ 200 ჯარისკაცს ადგილობრივი გლეხებიც დაუმატა და ამ ძალით, ამიერ-კავკასიის მთავრობის დაგალებით, მას ახალციხე უნდა გაემაგრები-ნა, რადგან აჯანყებული ადგილობრივი მუსულმანები ქალაქს საფრთხეს უქმნიდნენ. აქ იყო აგრეთვე ქალაქის თავი ზორი ზო-რიანცი. ის დიდი ნდობით სარგებლობდა - სომხები მას ადიდებდ-ნენ. მას ჯანფინდნების დიდი რაზმით ჰყავდა, რომლითაც გენერალ-თან ერთად ახალციხე უნდა გაემაგრებინა.

ადგილობრივმა მუსულმანებმა რომ შეიტყვეს თურქეთის ჯარის მოახლოება, უფრო გათამადნენ. მათ ანურის ქვემოთ, სლესის ციხესთან გზები შეკრეს და თავიანთი „ბაშიბოლუზები“ ჩააყენეს, რითაც ბორჯომი მოსწყვიტეს ახალციხეს და გენერალ-ლეიტენანტი მაყაშვილი თავისი მცირე რაზმით ახალციხეში მოაწყვდის (ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №9(93), სექტემბერი, 2006:6).

თურქეთის ჯარი ახალციხისკენ მოიწევდა...

ხალილ-ფაშა თავისი ჯარით ახალციხეს მოადგა. რადგანაც მას ნება არ ჰქონდა იარალი ეხმარა და ქალაქი დაენგრია, გენერალს და

ზორიანცს სთხოვა უომრად ჩაეტარებინა ახალციხე. მაყაშვილმა, როგორც გამოცდილმა გენერალმა, კარგად იცოდა, რომ ხალილ-ფაშას მცირე რაზმით ვერ გაუმკლავდებოდა და საგონებელში ჩავარდა. თბილისიდან - ამიერკავკასიის მთავრობიდან არაფერი ამბავი არ მოსდიოდათ, არ იცოდნენ, როგორ მოცეულიყვნენ. ვინც გარემოცვიდან გავიდოდა და თბილისიდან ამბავს მოიტანდა, გენერალი მაყაშვილი დიდ ფულს და ჯილდოს დაპირდა. რამდენადაც მუსულმანებს ყველგან გზები ჰქონდათ ჩაეტალი, თბილისისკენ წასვლას ვერავინ ბედავდა. ახალციხეში იმ დროს იმყოფებოდა ვარგაველი მღვდელი შემაბერიძე, მატაურაშვილის გვარით ცნობილი. მან იყისრა თბილისიდან ცნობის მოტანა. მისი საყვარელი საქმიანობა მეთევზეობა იყო. ვარძიიდან მცხეთამდე მტკვარზე დადგმული ჰქონდა ფაცერები, თარფები და ოჩები. ხშირად ადგილობრივ მუსულმანებთან რჩებოდა, რადგან მათ ამუშავებდა თარფის დადგმაზე. მოსახლეობამ თავი მოიყარა ქალაქის ცენტრში - მოედანზე, მღვდელს გამბედაობა და მამაცობა შეუქეს. ზოგი ულოცავდა, ზოგი ტიროდა, ზოგი ხელებს უკოცნიდა და ეხვევნებოდა, რომ მათთვის ეველა და თურქების რისხვისაგან გადაერჩინა ისინი.

მღვდელმა იმ ღამესვე ოთხი ცხვრის ტყავის გუდა გაბერა, ზედ ფიცრები დაალაგა თოხივუთხით, რაზეც ერთი კაცი თუ დაეტეოდა. შემდეგ ხელში ჯოხი აიღო და ნავჭიკი ადიდებულ მტკვარში შეაცურა. მას სლესის ციხემდე კი, სადაც მუსულმანები იდგნენ, თითქმის 25 კილომეტრი უნდა ჩაეცურა, რათა გასცლოდა მაჰმადიანებს. იმ ღამეს მან ბევრი იწვალა, ქვიან ადგილებში წყალი აქეთ-იქით ახეთქებდა ნავტიკს. მთლად დასველდა ცივ წყალში, მაგრამ არ უშინდებოდა და წინ მიცურავდა. სლესის ციხის შემორჩენილი მაღალი კონცხიც გამოჩნდა, მაგრამ საუბედუროდ, ირიურავა და ციხესთან გავლა უკვე შეუძლებელი იყო. მღვდელი მიხვდა, რომ მაჰმადიანები მას ადვილად შეამჩნევდნენ, ამიტომ სწრაფად გაცურა ნაპირისკენ. მაჰმადიანმა მებადურებმა შენილბული ნავჭიკი შეამჩნიეს თუ არა, დარაჯებს შეატყობინეს. მუსულმანებმა გულმოძგინედ დაუწყეს ძებნა ნავჭიკის პატრონს. მღვდელმა გენერლის მიერ გამოტანებული წერილი სახელდახელოდ მიწაში ჩაფლა, ადგილიც გამოიცვალა. ის მაშინვე მიხვდა, რომ თურქები დაიჭრდნენ, აღმოუჩენდნენ წერილს და ჯამუშად გამოაცხადებდნენ. გულს ისიც უთუთქავდა, რომ ხალხის დავალება ვერ შეასრულა და მოღალატედ მონათლავდნენ.

მუსულმანებმა მღვდელი აღმოაჩინეს. ჯერ გაჩიხრიკეს, მერე კი თოფის კონდახებით დაუწყეს ცემა და იგი სლესის ციხის უფროსს, სარიყამიშში რუსებთან ტყვედნამყოფ, ვინმე ჩაუშს (ე.ი. ჯარისკაცს, - ე.ნ.) მიჰვარეს. (ის ომარ - ეფენდის ჩამოეყვანა და, როგორც გამოცდილი მეომარი, სლესის ციხეში დაენიშნა „ბაშიბოლუზების“ უფროსად).

მან იცნო მღვდელი, რომელმაც რუსების მიერ სარიყამიშში ტყვედ ჩავარდნილი ათასობით თურქი ტყვე იხსნა სიკვდილისაგან.

რადგან მღვდელს ვერაფერი აღმოუჩინეს, რაც მის ჯაშუშობას დაადასტურებდა, მისი გადარჩენა უკვე შეიძლებოდა. იგი ჩაუშშა პირადად მიჰვარა აბასთუმანში ფაშას და ყველაფერი უამბო მისი კაიკაცობის შესახებ. ხევწით მიმართა, რათა იგი გაენთავისუფლებინა. ფაშამ ჩაუშს სიფხიზლისთვის მადლობა გამოუცხადა და მღვდელს დახმარება აღუთქა. ხალილ-ფაშამ მღვდელს სანდო მცველები მიუჩინა და ბათუმში დიდ ფაშასთან გააგზავნა. იქ კი ტყვეობიდან გაანთავისუფლეს და თბილისში ჩამოვიდა (ზ. ალელიშვილი, მესხი მღვდელი და ჩაუში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №7(55), ივლისი, 2003:5).

რამდენიმე ხნის შემდეგ გენერალმა კვლავ შეაგროვა ხალხი და გამოუცხადა მღვდლის დაგვიანებაზე. საჭირო იყო სხვა კაცის გამონახვა თბილისში გასაგზავნად და დიდ ფულს დაპირდა, ვინც ამას იკისრებდა. ახალციხელი ბატონის ბაბურთსკის ოსმა მოურავმა იკისრა თბილისში წასვლა, რადგან იგი ტყებში იყო ნავალი და გზებიც კარგად იცოდა. ეს ოსი, შეიარაღებული, ღამე სოფელ მუსხიდან წავიდა, რუსთავის ქედი გადაიარა, გასცდა მაპმადიანებს და შევიდა ტყები. იგი ისევ იმავე გზით მალევე დაბრუნდა თბილისიდან და ამიერკავკასიის მთავრობისგან ცნობა ჩამოუტანა გენერალს, რის საფასურადაც დიდი თანხა მიიღო საჩუქრად. როცა ჩამოვიდა, ახალციხელები ზედ აყრიდნენ ფულს ამ ოსს. თბილისიდან მაყაშვილს სწერდნენ, რომ მათ ძალები არ გააჩნდათ, რომ გამკლავებოდნენ თურქებს, ამიტომ ურჩევდნენ გენერალს თვითონ როგორმე მორიგებოდა ხალილ-ფაშას(ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №9(93), სექტემბერი, 2006:6).

1918 წლის 26 მაისს თურქეთმა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ფედერაციულ მთავრობას წაუყენა ულტიმატუმი 72 საათის განმავლობაში გადაეწყვიტა ახალი

საზღვრების, საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის ჯარების გატარების და სამხრეთ კავკასიაში რეფერენცუმის თაობაზე თანხმობის საკითხი (ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბ., 1991:195-196).

1918 წლის 26 მაისს, ამიერკავკასიის სეიმის დაშლის დღეს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ აღადგინა საქართველოს სახელმწიფობრივი დამოუკიდებლობა.

თურქეთის საზავო დელეგაციამ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებით ცვლილებებს არავითარი ანგარიში არ გაუწია. 26 მაისს სეიმის სახელზე გაგზავნილი ულტიმატუმი 27 მაისს წარედგინა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს (ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბ., 1991:199) 6. რამიშვილს.

თურქეთთან საზავო მოლაპარაკების გაგრძელება ითავა 6. რამიშვილმა, რომელიც 31 მაისს ჩავიდა ბათუმში.

ამ დროს თავი წამოყვეს ქილდაში ჰასან-აღამ და ასპინძელმა კათხა ჩახალამ თავიანთი ბანდებით. კათხა ჩახალას ბანდამ საროში ამოხოცა ლადო და ზაქა ასპანიძები, ვანო გურგენიძე, ლევან ლონდარიძე. ხიზაბავრაში - გაბრიელ ლაზარეს ძე მურადაშვილი, მისი მეუღლე ევგენია მურადაშვილი-ორსული ქალი, ბალიაშვილი-ესეც ქალი, რომლებიც მაჰმადიანებს არ გაჰყვნენ და წამებით მოკლეს. სარქის ადეიტვილი და მამუკა მაზმიშვილი მოკლეს ფულისთვის. მათ დიდი თანხა მოსთხოვეს, თუმცა არაფერი გააჩნდათ და მაჰმადიანებმა უმოწყალოდ დახოცეს (ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №12(96), დეკემბერი, 2006:7). ოქმელი ყადირ ხაშილას ძე და მისი მოხუცი მამა აზიზა გაიძახოდნენ (ე.ნ.), დახოცეთ ეს გიაურები, რატომ ინდობთო(15;7).

1918 წლის მაისში მაჰმადიანებმა ხიზაბავრელებს „თალანი“ მოუწყეს (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:267). მათ თავს დაესხნენ ხერთვისელი, ასპინძელი, იდუმლელი, ლაშიხეველი, ოთელი და ოშორელი მაჰმადიანები (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:266). სოფელი ხელუხლებლად დატოვეს, ვერაფრის წალე-

ბა ვერ მოასწრეს. როცა შედიოდნენ ქართველი მაპმადიანები სახლებში, ქრისტიანებს სულ რჯულს აგინებდნენ. მაპმადიანებმა სერო ბალიაშვილს თავი მოსჭრეს, ბასილა მურადაშვილი კი ტყვიით მოკვლეს, მისი მეუღლე სოფიო ჯერ ცემეს, ანამეს, მკერდი მოკვეთეს, მერე ქმარს ზედ დააკლეს. ხნამია და კიტა ადეიშვილებს, პეტრე მაზმიშვილს კი ხმლებით გამოჭრეს ყელი. „თალანზე“ ოშორელმა მაპმადიანებმა საყდარში მყოფ ღვთისმშობლის ძეგლს ცხვირი და ხელები მოამტვრიეს (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:267), იძახდნენ - რა უნდა გვიყოს თქვენმა ღმერთმაო. მღვდელს კარების ზღურბლზე თავი დაადებინეს და უნდოდათ თავი მოეჭრათ, მაგრამ მოლამ გადაარჩინა. იოსებ ბალიაშვილი წაიყვანეს, ცემეს, შემდეგ ხელ-ფეხი გაუკრეს და მინდორში დააგდეს-გაიყინებაო, მაგრამ გადარჩა (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:267).

1918 წლის მაისის თვეში თურქეთიდან შემოჭრილი თურქების წაქეზებით ადგილობრივმა მაპმადიანებმა ძველს და ჭობარეთს „თალანი“ დაარტყეს. სოფლებიდან ვეღარ მოასწრო გაქცევა მოსახლეობამ. მათ ხალხი, როგორც საქონელი, ისე შერევეს ბოსლებში - ქალები ცალკე და მამაკაცები ცალკე. ქალები გააუბატირეს (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:270).

1918 წლის 23 მაისს სოფელ პრტენას დაარტყეს „თალანი“. ხალხი ცხრა წყაროს გზით გადავიდა ბაკურიანში.

1918 წლის მაისში სოფელ ვარევნიდან ხალხი გაიხიზნა რეხაში.

ვალიდან და უდიდან მომძლავრებულ მოსახლეობას სოფლის მღვდლის სახლში დახვდათ თურქთა ჯარის შტაბი, შტაბის უფროსი კი ცხოვრობდა ვერდან ბათმანაშვილის სახლში. შტაბიდან და მისი უფროსის სახლიდან გაყვანილი ყოფილა პირდაპირი, საველე სატელეფონო ხაზი სოფელ ბენარამდე, სადაც აჯანყების მეთაურს სერვერ - ბეგ ჯაყელს ჰქონდა ძირითადი შტაბი. მაისის ერთ ღამეს, წისქვილიდან გვიან მომავალმა „ქურთმა ეზომ“ (ეზოფინე სიმონის ასული მათოშვილი, რომელსაც მეუღლე და ორი შვილი მოუკლეს)

დაინახა, რომ ყველა გლეხის სახლის კარები გარედან იყო გადაკეტილი და ცარცით ჯვარედინი ხაზები ჰქონდათ გაკეთებული. მან მეზობელ იორდანე ბათმანაშვილისაგან შეიტყო, რომ შტაბში ელოდებოდნენ სატელეფონო შეტყობინებას, რათა იმ ღამით სოფელი გადაეწვათ. იორდანე თურმე აჯანყებულთა მხრიდან მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ ყოფილა.

„ქურთმა ეზომ“ მოახერხა და ჭალებში გადავიდა და მდინარე ქვაბლიანის მარჯვენა სანაპიროზე სატელეფონო ხაზები რამდენიმე ადგილზე გადაჭრა. თურქმა მეკავშირეებმა ვიდრე სატელეფონო ხაზი აღადგინეს, მანამდე ბრძანებაც გაუქმდა, არლელებს კი სოფელ ბენარაში შტაბის დაცვასთან მაინც მოუხდათ შეტაკება.

ამის შემდეგ არლელი მოხალისეები უდელებთან გაერთიანდნენ და შექმნეს 800 კაციანი სახალხო ლაშქარი. სოფელ უდიდან ლაშქარს ხელმძღვანელობდა პეტრე მერაბიშვილი, არლიდან - პატრი შალვა ვარდიძე და ლაფიერ აფრიამაშვილი (რ. ანდლულაძე, 90 წლის წინანდელი წარსულის ფურცლები, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №2(122), თებერვალი, 2009:9).

გენერალ-ლეიტენანტი აბელ(ბალო) მაყაშვილი დიდი სიხარულით შეხვდა 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას. ამასთან დაკავშირებით 1 ივნისს ახალციხეში გამართულ ხალხმრავალ კრებაზე სიტყვით გამოვიდა, ხალხს მიულოცა საქართველოს დამოუკიდებლობა და აღუთევა, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა მესხეთის შენარჩუნებისათვის (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006:26).

ბათუმში საზავო მოლაპარაკება დასრულდა 1918 წლის 4 ივნისს. „ზავის და მეგობრობის“ ხელშეკრულება თურქეთს აკუთვნებდა მთელ მესხეთს აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით. საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მომხდარიყო ერთი თვის განმავლობაში (ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბ., 1991:199).

1918 წ. (ე.ნ.) 3 ივნისს მთელი ჯავახეთი თურქების ხელში აღმოჩნდა (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:33).

მოხდა ისე, რომ 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულების ძალით, ქართულ ჯარებს უნდა დაეცალათ მესხეთი თურქეთისათვის გადასაცემად. იმავე დღეს მაყაშვილთან ახალციხეში გამოცხადდა

თურქეთის დელეგაცია, რომელმაც განუცხადა, რომ სამი დღის განმავლობაში ქართულ ჯარს ახალციხე უნდა დაეცალა (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006:26,28).

1918 წ. 1 ივნისისთვის ჯავახეთის სოფლები: სარო, ქილდა და გოგაშენი ისევ იბრძოდნენ (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წ., თბ., 2005:33).

1918 წლის მაისის ბოლოს უფრო გააქტიურდნენ და გაახშირეს თავდასხმები თურქთა და ქართველ მუსულმანთა ბანდებმა სარო-სიზაბავრაზე. შეტევა ხერთვისიდან დაიწყეს. მტერმა 7 ათასზე მეტ მეპრძოლს მოუყარა თავი. მათ სარო-ხიზაბავრის გზები დაიკავეს, გორაბანსა და სანიორას მთაზე გათხარეს სანგრები და სოფლებს სროლა დაუწყეს. გაიმართა უთანასწორო ბრძოლა. ცეცხლის რკალი თანდათან ვინროვდებოდა და მალე ათასეული ფარ-ხმალს დაყრიდა, პორუჩიკ ზაუტაშვილს და ეფრემ ველიჯანაშვილს მათთვის რომ არ მიემართათ პატრიოტული სიტყვით. ათასეული ხელჩართულ ბრძოლაზე გადაიყიდა. მტრის სანგრებამდე 100 მეტრიდა იყო დარჩენილი, რომ პორუჩიკი ზაუტაშვილი სასიკვდილოდ დაიჭრა. იგი სასწრაფოდ გაიყვანეს და... ბაქურიანში გადაასვენეს (პ. პაპაშვილი, განირული ათასეული, გაზ. „ასპინძა“, №36(1890), 23. 03. 1967:3).

შეტევის წარმატებით დამთავრებას დიდად შეუწყო ხელი სოფ. ჩუნჩხელთა დახმარებამ. მათ ჩუნჩხის პლატოდან პირდაპირ ზურგში დაარტყეს და არევ-დარევა შეიტანეს მტრის რიგებში. ორ ცეცხლშუა მოქცეული მტერი გაიქცა. მან დაკარგა 2500-ზე მეტი მეომარი, ბევრიც ტყვედ ჩავარდა.

ალსანიშნავია, რომ მტერთან ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ ქალები და მოხუცები. ისინი ხიზაბავრიდან ტყვია-წამალს ეზიდებოდნენ ვარანტის ხევამდე, აქედან კი დაჭრილები გაყავდათ და უვლიდნენ.

მტერი განადგურდა, მაგრამ არა საბოლოოდ. დახმარების იმედი არსაიდან იყო. დამარცხების შემდეგ მუსულმანებმა დიდხანს ველარ შეძლეს ბრძოლის განახლება. ხიზაბავრა-საროელებსაც უნდა ეზრუნათ გახიზვნაზე, თუ არა და ტყვედ ჩავარდებოდნენ.

1918 წლის ივნისის დასაწყისში, გახიზვნამდე, ათასეულის შტაბმა ხერთვისში მცხოვრებ თამილ-ბეგის შუამავლობით მაპმადიანებს ტყვეები გაუცვალა. მათი რიცხვი 1500-1800 სულამდე აღწევდა. ტყვეებში ბევრი სომეხი იყო. მეტად შესაბრალისნი იყვნენ ქალები და ქალიშვილები... მაპმადიანებს ყოველგვარი მხეცობისთვის გა-

დაეჭარბებინათ. სომხები ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგდათ დასაპურებლად და მოსაღონიერებლად. ამასთან ნება დაერთოთ ეშველათ თავიანთი თავისითვის.

ივნისის პირველ რიცხვებში მოსახლეობამ დატოვა ოფლით, სისხლითა და ცრემლით ნაშენი კერა და გახიზვნა დაიწყო ბაკურიანისკენ. მიდიოდნენ ურმებით, მიჰყავდათ ცხვარი, საქონელი. ურმებზე, ცხენებსა და ვირებზე ბარგთან ერთად იყვნენ მოხუცები, დავარდნილები, ბავშვები. ვისაც შეეძლო, ზურგზე ვეება ტვირთი ეკიდა. როცა ცხრანყაროს მიაღწიეს, რომელიც ზღვის დონიდან 2260 მეტრის სიმაღლეზეა, ლტოლვილებს დიდმა სეტყვამ მოუსწრო. ბევრი შიშველ-ტიტველი მგზავრი გაცივდა და ანთებით გარდაიცვალა, დაზიანდა უამრავი პირუტყვი (პ. პაპაშვილი, განწირული ათასეული, გაზ. „ასპინძა“, №36(1890), 23. 03. 1967:4).

ჯავახეთის მოსახლეობის ნახევარი გაიხიზნა(26:3).

ორივე სოფელს - არალს და უდეს (ე.ნ.) ისე პქონდათ შესასვლელები გამაგრებული, რომ 1918 წლის(ე.ნ.) ივნისიდან წლის ბოლომდე თურქთა რეგულარულმა ჯარმაც კი ვერაფერი დააკლო (რ. ანდლულაძე, 90 წლის წინანდელი წარსულის ფურცლები, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №2(122), თებერვალი, 2009:9).

1918 წლის (ე.ნ.) სიმძიმე განსაკუთრებით დააწვათ წმინდა ქართულ სოფლებს. სხვა მდგომარეობა იყო შერეულ სოფლებში. შერეულ სოფლებში: თოკში, ტოლოშში, როკეთში, ზველში, ნაქალაქევში, ქუნცაში, აწყვიტაში, ოშორაში, ინდუსაში და ა.შ. კარგი მეზობლობა პქონდათ. შემოსევების დროს ასეთი სოფლების ქრისტიანი ქართველები არ გარბოდნენ. მათ იფარავდნენ მეზობელი მაჰმადიანი ქართველები. გარბოდა წმინდა ქართული სოფლების მოსახლეობა (დეპორტირებული მესხები - წარსული და დღევანდელობა (საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, 17-18 მაისი, 2013 წელი), თბ., 2013:272).

გენ. მაყაშვილმა, 1918 წლის 6 ივნისს, ზორიანცის მეთაურობით, დელეგატები გაგზავნა ხალილ-ფაშასთან. მოლაპარაკების შემდეგ ფაშაშ პირობა მისცა გენერალს გაესტუმრებინა იგი თავისი ჯარით, იარაღით და ყველა, ვინც მოისურვებდა მასთან ერთად ნასვლას, თან წაეყვანა. სხვა გზა არ პქონდა - გენერალი დათანხმდა(ზ. ალელიშვილი, შავი ლრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №9(93), სექტემბერი, 2006:6).

მეორე დღეს რაბათიდან გამოჩნდა თურქეთის ჯარი, რომელსაც წინ მოუძღვდა ხალილ-ფაშა. მას მოსდევდნენ ადგილობრივი ბეგები. ხალილ-ფაშა შავ არაბულ ცხენზე იჯდა და ამაყად მოაბიჯებდა (14;6). 1918 წლის 7 ივნისს, საღამოს, ახალციხეში ოსმალეთის 100 კაციანი რეგულარული ცხენოსანი ჯარი შემოვიდა. იგი მანამდე ახალციხიდან 20 კმ-ზე სამხრეთით სოფ. ენთელში იყო დაბანაკებული (დ. კოჭორიძე, სამცხე-ჯავახეთი, წარსული და დღევანდელობა, თბ., 1987:109). ახალციხეში, ე.ნ. „ვირების მოედანზე“, გენერალმა და ზორიანცმა აქ მოიყვანეს თავიანთი ჯარები. მოედანზე აუარებელი ხალხი მოვიდა. ხალილ-ფაშა რომ მოუახლოვდა, გენერალის ბრძანებით ჯარი მას მიესალმა და თოფები მაღლა ასწიეს. თურქეთის ჯარიც ასე მოიქცა. ზორიანცმა, როგორც ქალაქის წარმომადგენელმა, ფაშას პურ-მარილი მიართვა და კეთილი მობრძანება უსურვა. მაშინ ფაშამ გენერალიც იხმო, მაგრამ ისინი აუარებელ ხალხთან რომ დაემცირებინა, არ იკადრა არცერთისათვის ხელის ჩამორთმევა და ცხენიდანაც კი არ ჩამოსულა. გენერალ მაყაშვილს ნება დართო იქიდანვე თავისი ხალხით გასცლოდა ახალციხეს. ზორიანცი გაიყოლეს, რომ გადაებარებინა იარაღის საწყობი (ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №9(93), სექტემბერი, 2006:6).

გენერალმა მაყაშვილმა ახალციხიდან ჯარის გამოყვანა 1918 წლის 23 ივნისამდე გააჭიანურა (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006:28).

თურქთა 100 კაციანი რეგულარული ცხენოსანი ჯარი 9 ივნისს ახალციხის ციხეში დაბანაკდა. 13 ივნისს 500 ქვეითი ჯარისკაცი იქნა დამატებით შემოყვანილი. მათში 50-ის გარდა ყველა თურქთა იარაღით აღჭურვილი ადგილობრივი მაპმადიანი იყო. 16 ივნისს რაბათის ციხიდან რუსულ-ქართული ემბლემა ჩამოიღეს და მის ადგილზე თურქული ნახევარმთვარე აღმართეს. კვლავ თავისუფლად დაიწყეს „სეირნობა“ ქრისტიანული მოსახლეობის სისხლისმსმელმა ბეგებმა, რომლებიც თითქმის ვერ გრძნობდნენ ქრისტიანი ქართველი მოსახლეობის წინაშე ჩადენილ უდიდეს დანაშაულს (დ. კოჭორიძე, სამცხე-ჯავახეთი, წარსული და დღევანდელობა, თბ., 1987:109-110).

ახალქალაქსაც ეს დღე ელოდა. როგორც კი დაინახეს სოფ. კარწახიდან სომებმა ჯარისკაცებმა, რომ თურქეთის ჯარი მოდიოდა, ზარბაზნებიც კი მიატოვეს და გაიქცნენ. მთელი რაიონის ხალხი გარბოდა, ზოგი ბაჟურიანისკენ, ზოგი კი წალკისკენ დატვირთული

ურმებით. ახალქალაქს თვითონ წაუკიდეს ცეცხლი და იგი იწვოდა. ქართულმა მოსახლეობამ ეს ამბავი არ იცოდა. თურქები ახალქალაქში შევიდნენ და სოფ. ქილდაც ალყაში მოაქციეს. როცა დილით შებმული ურმები, ცხვარ-ძროხა მიადგა ქალაქს, თურქებმა ქალაქიდან დაუშინეს ტყვია. ადგილობრივმა მოსახლეობამ ყველაფერი - ურმები, საქონელი, მოხუცები, ზოგმა ქალები, ბავშვები დაყარა და უკან გაიქცა სოფელ პრტენაში. ახალქალაქის წყალი ძალიან ადიდებული იყო და გასვლა არ შეიძლებოდა. ხალხი კი ბლომად მოადგა და არ იცოდა, როგორ გასულიყო მდინარის მეორე ნაპირზე. ხერთვისელი ქართველი მაჰმადიანები სულ ახლოს იყვნენ მოსულები. ყველა დაფაცურდა. სოფლიდან სასწრაფოდ რამდენიმე ხე ჩაიტანეს, საცალფეხო ხიდი გადეს და რის ვაი-ვაგლახით თავს უშველეს. თურქები ქალაქში რამდენიმე დღე დარჩნენ. ხალხმა ამით ისარგებლა - ზოგმა გაქცევით უშველა თავს და გადავიდნენ ბაკურიანსა და წალკაში. თურქებმა, ვისაც მოუსწრეს, ყველა ამოხოცეს და მესამე დღეს ბაკურიანის გადასასვლელზე გაჩერდნენ (ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №9(93), სექტემბერი, 2006:6). სოფელ კუმურდოში თურქებმა დიდი ქვაბებით წყალი აადუდეს, ქალებს ბავშვები ხელიდან გამოსტაცეს და იქ ჩაყარეს. მაჰმადიანებმა კუმურდოში დახოცეს ხალხი და ორმოში ჩაყარეს (მ. ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, მესხეთი და მესხები, 1918 - 1944 წწ., თბ., 2005:267).

ჯავახეთის მოსახლეობამ მთლიანად ბაკურიანში მოიყარა თავი. მათი ბინა ლია (კა იყო (პ. პაპაშვილი, განწირული ათასეული, გაზ. „ასპინძა“, №38(1892), 28. 03. 1967:4). შიმშილს, სიტიტვლესა და ტყეში ხეების ძირში ცხოვრებას ის შედეგი მოჰყვა, რომ გაჩნდა ავადმყოფობა - მუცლის ტიფი (ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №9(93), სექტემბერი, 2006:6), რომელმაც თითქმის ყველა ოჯახს მიაკითხა და 2-3 სული გამოაცალა ხელიდან. მარტო სოფელ სიზაბავრას მუცლის ტიფმა 500 სული დააკლო (პ. პაპაშვილი, განწირული ათასეული, გაზ. „ასპინძა“, №38(1892), 28. 03. 1967:4). დახოცილებს ტყეში, მთებზე მარხავდნენ ყოველგვარი წესის გარეშე (ზ. ალელიშვილი, შავი ღრუბელი მესხეთ-ჯავახეთში 1918-1920 წლებში, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №9(93), სექტემბერი, 2006:6).

1918 წლის 23 ივნისს, დილის 8 საათზე, ქართული ჯარი გენერალ-ლეიტენანტ მაყაშვილის მეთაურობით გამოვიდა ახალციხიდან და გასწია ბორჯომისაკენ. როცა გამოვიდნენ, თან წამოიღეს ყველაფერი, რაც ქართულ ჯარსა და საქართველოს ეკუთვნოდა (გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის, 1917-1921, თბ., 2006:28). მაყაშვილის ბრძანებით, ჯართან ერთად ქალაქიდან გასვლის უფლება მიეცა მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებს და მათ მოსამსახურებს. თუმცა ადგილობრივი მცხოვრებლებიდანაც ბევრმა მოახერხა მათ გაჰყოლოდა (გაზ. „სახალხო საქმე“, №210, 1918).

ახალციხიდან გამოსული შეკარალებული ქართული ჯარი მიუახლოვდა აწყურს. აქ მას უთხრეს, რომ შეჩერებულიყო. აწყურში იყო თურქეთის გუბერნატორის - ვალის შტაბი. იგი იყო უფროსი ვალი. მას მიემხრო ზოგიერთი ადგილობრივი ბეგი. ეს ვალი გამოვიდა თავისი შტაბიდან და უთხრა მაყაშვილს, რომ მას ჰქონდა თურქეთის სარდლობის ბრძანება, რომ უნდა დაეკავებინა ტერიტორია ბორჯომამდე და მათი იარაღის ჩაბარების ბოლო ადგილი იქ იყო, იგი არღვევდა საქართველოს მთავრობის დადგენილებას, ამიტომ ვერ გაუშვებდნენ და მათ სისხლს ნუ დაალვრევინებდა. მაყაშვილმა მას უთხრა, რომ იგი იარაღს არ ჩაბარებდა (ფრანგულად ლაპარაკობდნენ). ვალიმ მაყაშვილს შესთავაზა ყავის მირთმევა და მოლაპარაკება. მაყაშვილი არ დაჯდა. ვალის ეგონა, რომ მაყაშვილი იარაღს ჩაბარებდა. ძალითაც არ უნდოდა, იმიტომ რომ ეშინოდა, იცოდა, მაყაშვილს საკმაო ძალები რომ გააჩნდა. ვალიმ მაინც მიაწოდა ყავა მაყაშვილს და უთხრა, რომ ეს ბრძანება უნდა შეესრულებინა. ამის თქმა იყო და, მაყაშვილმა შეთავაზებული ყავა სახეში შეასხა ვალის. ვალი გაშეშდა, ხმა ვერ ამოიღო და გამოუშვა გენერალი მაყაშვილი ბორჯომში იარაღით უბრძოლველად... (შ. მაღლაკელიძე, მოგონებანი, ჟ. „განთიადი“, №1, 1991: 30).

ამრიგად, 1918 წლის 4 ივნისიდან სამცხე-ჯავახეთში დამყარდა თურქეთის პოლიტიკური ბატონობა, რაშიც, სხვა მიზეზებთან ერთად, ლომის წილი ქართველი მუსულმანების მიერ 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის ივნისამდე სამცხე-ჯავახეთში მოწყობილ აჯანყებასაც ედო.

ქართველ მაპმადიანთა აჯანყება (1917 წ. ნოემბერი - 1918 წ. ივნისი) მრავალტანჯული სამცხე-ჯავახეთის ისტორიის ერთი მონაკვეთის ტრაგიკული ფურცელია. სამცხე-ჯავახეთმა ერთხელ კიდევ იგემა გარეშე და შინაური მტრების შემოსევები და თავდასხმები,

რასაც მოჰყვა სისხლისღვრა და ადამიანთა მსხვერპლი, შიმშილი და ეპიდემია, მშობლიური ადგილებიდან მკვიდრი ქართული მოსახლეობის გახიზვნა.

ამ აჯანყებამ გამოააშკარავა ის, რომ თურქებს ადრევე ჰქონიათ მოწყობილი სადაზვერვო აპარატი და პანთურქულ ნიადაგზე ამ მუშაობაში ქართველი მუსულმანებიც იყვნენ ჩათრეული, რომელთაც რუსეთი ეზიზღებოდათ, ხოლო ქართული ეროვნული პროპაგანდა სამცხე-ჯავახეთში სუსტი იყო, ფაქტიურად, არც კი არსებობდა, რაც ხელს უწყობდა იმას, რომ თურქეთის სასარგებლოდ ნიადაგი მომზადებულიყო. ყოველივე ამ მუშაობას კი თავისი ისტორიული ფესვები ჰქონდა.

აჯანყების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი იყო აგრარული რეფორმის გატარება, რომელიც ამიერკავკასიის კომისარიატმა წამოიწყო. ამ რეფორმის შედეგად მიწათმფლობელებს (ბეგებს) ჩამოერთვათ დიდი რაოდენობის მინა. ამ ფაქტმა ბეგები კიდევ მეტად გააბოროტა და განაწყო ანტიქართულად.

აჯანყებული ქართველი მუსულმანებისათვის ძალზე „ეგზოტიკურად“ გამოიყურებოდა აჯანყების გამომწვევი კიდევ ერთი მიზეზი - 1917 წლის 17 ნოემბერს აბასთუმანში ჩატარებული კავკასიაში მცხოვრები მუსულმანების ყრილობის მიერ შიღებული დადგენილება.

ქართველ მუსულმანთა აჯანყებისა და მოძრაობის მიზეზი საქართველოს წინააღმდეგ იყო არა ცალკეულ პოლიტიკოსთა შეცდომები, არამედ უფრო ღრმა და ვრცელი. ეს იყო თურქეთის მიერ საქართველოს მიმართ თურქეთის საუკუნოვანი დაპყრობითი ინტერესები და პანთურეიზმის დიდი ხნის ქადაგების ნაყოფი.

რუსეთის სიძულვილითა და პანთურქული იდეოლოგით დაბრმავებული ქართველი მუსულმანები თურქეთმა ქრისტიან ქართველებს მიუსია. ეს იყო ერთი დიდი ტრაგედია საქართველოს ისტორიაში.

თუკი ქრისტიანი ქართველებისთვის მკაფიო და გასაგები იყო, თუ რატომ იბრძოდნენ და იღუპებოდნენ, თუკი მათთვის ნათელი იყო მიზანი - სამცხე-ჯავახეთის შენარჩუნება საქართველოსთვის, ამას ვერ ვიტყვით ბევრ იმდროინდელ მუსულმან ქართველზე, რომლებმაც თავიანთი გაორებული და ტრაგიკული ბედის წყალობით საბედისწერო არჩევანი გააკეთეს.

სარჩევი

პოეზია კობა იაკობ-აბა არაბული	3
პროგრ ჯუმა ჯუმითელი გარტოოპის ოთახი „სად არის გოგონა ან მისი სახლი...“ ორი ძმის ზღაპარი	25
ინტერვიუ კარმი ყმა და სავსე კაცი	37
პოეზია ნინო ალადაშვილი	58
პოეზია ლევან ინაური	65
პოლიტიკური პროგრ მალხაზ ლომსაძე ზაფხულის ერთი ღლე	74
იმიტრანტული პოეზია ნანა მეტრეველი - საბერძნეთი	82
ჩანახატი მრავალმხრივი შემოქმედი	92
პოეზია ნინო მინდელი	97
პუბლიცისტიკა შორენა გაბოშვილი ზაქარია დიდიგამიშვილი - მესხი პურლიცისტი	101
ვასილ კვინცხაძე ერთი სიმღერის ისტორია	109

ისტორია
ედიშერ ნარიმანიძე
სარმაზუნოეპრივი დაკირისაირება მესხეთში

114

გამოცემლობა

„ახალციხის ჟივერსიტეტი“

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com